საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (395)
24 - 30 მაისი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ეს მოსამართლეები ისევ დაიწყებენ საშინელი განაჩენების გამოტანას» 9

«სანამ ამერიკის ელჩი ადგენს საქართველოს პარლამენტში შესასვლელი ადამიანების სიას, ჩვენი საქმე კარგად ვერ იქნება» 3

«თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის პრინციპია, სახელმწიფოს სათავეში დეგენერატები იყვნენ, დეგენერატი კი ატომურ ბომბზე უარესია»



# ივანიშვილის მარიონეტები და ჩვენი მიწა 2

## მიწის უცხოელებისთვის მიყიდვიდან გამომდინარე საფრთხეებზე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია 20 წლის წინათ გვაფრთხილებდა 8

## საქართველოს ხელისუფლების მოხეტიალე ცირკი მოგზაურობას განაგრძობს 7

## ბუნდესვერი წარსულთან ბრძოლას აგებს 11

მამა გიორგი (რაზმაძე): 4

## ორ-სამ წელიწადში ქართველ გლეხს გოჯი მიწა აღარ დარჩება

«სირიის სამთავრობო ძალებმა რამდენჯერაც შეუტიეს ტერორისტების პოზიციებს, ამერიკის ავიაციამ იმდენჯერ დაბომბა ისინი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს ტერორიზმის წახალისებას?» 4

## თუ «ნატო-ნატოს» უაზრო ყვირილს თავს არ დავანებებთ, იქით ცხენისწყალთან და აქეთ მარნეულთან გაგვივლებენ საზღვარს



6

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მთავრობამ შეიძლება დიდი ხანძარი სწორედ მაშინ გააჩინოს, როდესაც არც მწვადის და არც შამფურის დაწვა სურს. ეს მხოლოდ ერთი საკითხია, რომლის მიმართ „ოცნება“ საიმიჯო დანაკარგს განიცდის, თუმცა, საარჩევნო სისტემის შეცვლასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია. აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ უსუსურ ლიდერებს ივანიშვილისთვის წარმატებაზე გაცილებით მეტი პრობლემა მოაქვს, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — ეს მისი საკადრო გადაწყვეტილება იყო და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება.**

# ივანიშვილის მარიონეტები, მათი კონსტიტუცია და ჩვენი მიწა

**კონსტიტუციის განხილვის ხმაურიანი პროცესი დასასრულს უახლოვდება. ჩვენ შეგვიძლია შევაჯამოთ შუალედური შედეგები, რომლებიც „ქართული ოცნებისთვის“ ფრიად არასახარბიელოა. 2011-12 წლებში, როდესაც ივანიშვილის გუნდი არჩევნებისთვის ემზადებოდა, სააკაშვილის მიერ გაუპატიურებული კონსტიტუცია უსამართლო მმართველობის ერთ-ერთ მთავარ სიმბოლოდ აღიქმებოდა. არავინ კამათობდა იმაზე, რომ მას გაუმჯობესება სჭირდება. კონსტიტუციის არასრულყოფილება 2012-16 წლებში რამდენიმეჯერ დადასტურდა, მაგრამ მაშინ ივანიშვილს, არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავდა და პრობლემის გადაწყვეტა სამომავლოდ გადაიდო.**



ასეთ სასტარტო პირობებში, როდესაც კონსტიტუციის შეცვლას თითქმის მთელი ერი მოითხოვდა, ხელისუფლებამ პროცესი წარმოუდგენლად ცუდად წარმართა. ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ალტერნატიული წინადადებების განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს და ხელისუფლებას, საკუთარი იდეების გატანის გარდა, არაფერი აინტერესებს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ კომისიის მუშაობის დასკვნით ეტაპზე სახელისუფლო პარტია, ფაქტობრივად, იზოლაციაში აღმოჩნდა. ბრალს დიქტატში მას დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციებზე მდგომი ჯგუფები და პირები სდებდნენ. საკუთარი თავის წინააღმდეგ ყველა ოპონენტის გაერთიანების უნარი თავისთავად პოლიტიკურ უმწიფრობაზე მიუთითებს. ამავე დროს, ხელისუფლების წარმომადგენლები ძალზე უსუსურად გამოიყურებოდნენ, როდესაც ამა თუ იმ მოსაზრებას არგუმენტებით გამყარება სჭირდებოდა. ამის გამო, გადასვლა პრეზიდენტის არაპირდაპირ არჩევნებზე, რომელიც სავსებით ბუნებრივია საპარლამენტო რესპუბლიკაში, მოსახლეობის უმრავლესობამ აღიქვა, როგორც პირდაპირი თავდასხმა დემოკრატიაზე და ამას გამოკითხვების შედეგებიც ადასტურებს. იყო ირაკლი კობახიძის ანეკდოტური რეპლიკა „მცირე ბონუსზე“ (გაუნაწილებელ მანდატებზე), ძალიან სუსტი არგუმენტები ბლოკების აკრძალვის სასარგებლოდ და ა.შ. საბოლოო ჯამში, პარტია, რომელსაც ამომრჩეველმა კონსტიტუციის ჩასწორებისთვის კარტ-ბლანში მისცა, კუთხეში მიმწყვდეული და დიქტატურის იურიდიულ გაფორმებაში ბრალდებული აღმოჩნდა. ასეთ სასტარტო პირობებში ასეთ ფინიშამდე მისვლას მართლა მოხერხება უნდოდა.

როდესაც 15 მაისს პარლამენტის თავმჯდომარე ფილარმონიის სცენიდან არაადეკვატურ რეპლიკებს ისროდა, ეს, შესაძლოა, არ იყო მხოლოდ მყისიერი რეაქცია ოპონენტი ახალგაზრდების ხმაურიან პროტესტზე. გამორიცხული არაა, რომ ამ მომენტში კობახიძემ გააცნობიერა, რომ საბოლოოდ „ჩააფლავა“ საკონსტიტუციო ცვლილებების უპრობლემოდ მიღების პროცესი, რომლის კურატორობა ბიძინა ივანიშვილმა დაავალა. ობსტრუქციამ ფილარმონიაში დაადგვირგვინა კობახიძის შეცდომების გრძელი მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი.

„ქართული ოცნება“ იმ დღეს უაღრესად უსუსურად გამოიყურებოდა — დაბნეული დეპუტატები, აბსოლუტურად ინდეფერენტული აქტივისტები, რომელთა შორის ემოციური რეაქცია მხოლოდ რამდენიმე ქალბატონმა გამოხატა, თანაც საკმაოდ აგრესიულად, ე.წ. მიშას ქალების სტილში. ირაკლი კობახიძის აბსურდული ფრაზები საქართველოში კომუნიზმის დასრულებაზე იმ მომენტში, როდესაც მის გვერდით ცეკა-ს ყოფილი ინსტრუქტორი გია ვოლსკი იდგა, რომელსაც, სხვათა შორის, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, კომპარტია დაჩქარებული წესით არ დაუტოვებია. იყო ბევრი სხვა საგულისხმო კადრი და რეპლიკა, საბოლოო ჯამში კი, საიმიჯო თვალსაზრისით, ხელისუფლებამ ის ეპიზოდი პირწმინდად წააგო.

ინციდენტის შემდეგ კობახიძემ განაცხადა: „ჩვენ წინასწარ გვქონდა ინფორმაცია ამის თაობაზე, თუმცა გადავწყვიტეთ, რომ არ გამოგვეყენებინა ხისტი ძალა. ერთადერთი ხისტი ძალის გამოყენების პირობებში იყო შესაძლებელი ისეთი პროვოკაციის აცილება“ (ინტერპრესნიუსი). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, უცნაური ამაში არაფერია, ასეთ სტილში საუბრობენ ინფანტილური ბავშვები, როდესაც „ჩხუბის შემდეგ მუშტებს იქნევენ“. იურიდიული თვალსაზრისით, საინტერესო კია, რა ფორმატში და ვისთან ერთად განიხილავდა პარლამენტის თავმჯდომარე ძალის გამოყენების შესაძლებლობას და რამდენად ლეგიტიმური იყო ეს. **საუბარი თემაზე „რა მოხდებოდა თუ...“ სახალისოა, მაგრამ ბევრ დროს წაგვართმევს. ასე რომ, შემოვიფარგლოთ ვარაუდით, რომ ძალის გამოყენების შემთხვევაში, კობახიძეს იმავე საღამოს სარზე გასვამდნენ – ჯერ გადატანითი მნიშვნელობით, შემდეგ კი გარემოებების მიხედვით. მთავარი კი ისაა, რომ პოლიტიკოსი, რომელიც, ძალის გამოყენების გარდა, სხვა ვარიანტს ვერ ხედავს, სრულიად უიმედოა.**

**გამორიცხული არაა, რომ ამ მომენტში კობახიძემ გააცნობიერა, რომ საბოლოოდ «ჩააფლავა» საკონსტიტუციო ცვლილებების უპრობლემოდ მიღების პროცესი, რომლის კურატორობა ბიძინა ივანიშვილმა დაავალა. ობსტრუქციამ ფილარმონიაში დააგვირგვინა კობახიძის შეცდომების გრძელი მიზეზშედეგობრივი ჯაჭვი**

თავის დროზე, სემუელ ადამსი მოუწოდებდა ამერიკელებს, ბრიტანეთის იმპერიის უსამართლო ძალადობის წინააღმდეგ ებრძოლათ. მას შემდეგ, რაც აშშ გათავისუფლდა, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ საკმაოდ მკაცრი კანონების მიღება დაიწყო, ადამსმა ერთ-ერთ პამფლეტში დაწერა: „მონარქიის პირობებში, მოღალატე შეიძლება შეიწყალონ და დაივიწყონ ან მსუბუქად დასაჯონ, მაგრამ ის, ვინც რესპუბლიკის კანონებს არღვევს, მხოლოდ სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ (საუბარი უკმაყოფილოთა შეკრებებს ეხებოდა). **საინტერესოა, ხომ არ ფიქრობენ „ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერები, რომ მათი ძალადობა, „ნაცმოძრაობის“ ძალადობისგან განსხვავებით, „ლეგიტიმური“ იქნება?**

სინამდვილეში, არაერთი ექსპერტი უკვე უყურებს განვითარებულ პროცესებს, როგორც „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას“, რომელიც ძველი ალგორითმის „პოლიტიკური გაკოტრება — ძალადობა — კრახი“ მიხედვით ვითარდება. დასადგენი მხოლოდ ის დარჩა, სად და როდის გამოიყენებს „ხისტ ძალას“ ხელისუფლება. განხილულ შემთხვევაში, მან, სავარაუდოდ, იმიტომ დაკარგა მანევრის შესაძლებლობა და ძალის გამოყენებაზე ალაპარაკდა, რომ პროცესის დასაწყისში პრიორიტეტულ მიზნად სასურველი ცვილებების გატანა დაისახა, ხოლო საზოგადოების დარწმუნება — არა. შესაძლოა, სწორედ ამიტომ „საყოველთაო-სახალხო განხილვის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებს ასე ხშირად უწოდებენ „ფარსს“. რეალურ დისკუსიასა და მის იმიტაციას შორის სხვაობის დაფიქსირება ხომ პოლიტიკაში ჩაუხედავ მოქალაქეებსაც შეუძლიათ.



პრინციპში, ალბათ, არც ისე ცუდია, რომ „ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერები, რომლებიც ივანიშვილის მიმართ ამაზრზენად სერვილურ დამოკიდებულებას ავლენენ, ქულებს ასე სწრაფად კარგავენ. ადრე პოლიტიკური მარიონეტის განსახიერებად დავით ბაქრაძე ითვლებოდა, თუმცა მისი რეკორდი, ალბათ, უკვე მოხსნილია. ყველა როდი ფიქრობდა, რომ ირაკლი კობახიძე პოლიტიკურ გვამად რამდენიმე თვეში გადაიქცეოდა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც სწრაფი დასასრული აშკარად სჯობს დროში გაწელილ აგონიას. პროცესი ჯერ არ დასრულებულა. წინაა ვენეციის კომისიის შენიშვნების განხილვა, რომელთა გათვალისწინების პირობა სწორედ კობახიძემ დადო. მოსალოდნელია კრიტიკის გამძაფრებაც კონკრეტულ პრობლემებზე.

**ერთ-ერთი „დანაღმული“ საკითხი უცხოელებზე მიწის გაყიდვაა, ის სტრატეგიული მნიშვნელობისაა და მას მტკივნეულად აღიქვამს კონსერვატიულად და ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი. უცხოელებს მიწის შეძენა ეკრძალებოდათ (მემკვიდრეობით მიღებული კი უნდა გაეყიდათ) მანამ, სანამ 2012 წლის 30 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაასკვნა, რომ ეს შეზღუდვა არაკონსტიტუციურია (21-ე მუხლის მიმართ).** ახალმა ხელისუფლებამ 2013 წლის 28 ივნისს კანონში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ ცვლილებები შეიტანა და უცხოელებს მიწის შეძენის (და მემკვიდრეობის მიღების) უფლება 2014 წლის 31 დეკემბრამდე შეუზღუდა. იმავე წლის შემოდგომაზე ეს ცვლილებები არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გაასაჩივრა, ხოლო 2014 წლის 24 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. მორატორიუმი არაკონსტიტუციურად მიიჩნია. მთელი ამ ხნის განმავლობაში უცხოელებზე მიწის გაყიდვას მხარს უჭერდნენ „ნაცმოძრაობა“, „გირჩი“, „ევროპული საქართველო“ და მათი სატელიტი ჯგუფები. პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის — ოთარ დანელიას ინფორმაციით, „სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 5-5,5% უცხოელების საკუთრებაა. საუბარია 45-დან 55 ათას ჰექტარ მიწაზე. ყველაზე მეტი მიწა კახეთსა და ქვემო ქართლშია გასხვისებული უცხოელებზე“ („კომერსანტი“).

ერთი შეხედვით, ყველასთვის ცხადია, რომ **მიწის გაყიდვას მხარს, ძირითადად, ნაციონალები და მათთან აფილირებული ჯგუფები უჭერენ, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“, მიუხედავად იმისა, რომ მის წევრებს ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვთ, პროცესის შესაჩერებლად 2013-ში სავსებით რეალური ნაბიჯი გადადგა. მაგრამ ხელისუფლებამ ისე არადამაჯერებლად გამოხატა პოზიცია ამ საკითხზე, რომ მძაფრი კრიტიკის სამიზნე გახდა. ცოტაც და საზოგადოება მიწის გაყიდვის მთავარ ლობისტად სწორედ მას ჩათვლის.** ასეთ დროს გაღიზიანებულმა მოქალაქეებმა ნებისმიერი ბუნდოვანი ფორმულირება შეიძლება აღიქვან, როგორც გამოწვევა, მაგალითად, ირაკლი კობახიძის რეპლიკა „ჩვენ ავირჩიეთ შუალედური მიდგომა“ ან სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ფრაზა „უცხოელებზე მიწის მიყიდვის ტოტალური აკრძალვა არ უნდა მოხდეს“. სხვათა შორის, იმავე დღეს, 21 მაისს, დავითაშვილმა ისედაც გამწარებულ გლეხებს ამცნო, რომ: „წელს ყურძნის სუბსიდირება არ გვექნება ცალსახად საფერავში. მოლოდინი ისეთია, რომ სუბსიდირება არ გვექნება არც თეთრ ყურძენზე“ (ინტერპრესნიუსი). მან, აგრეთვე, თქვა, რომ ხელისუფლება სტიქიით დაზარალებულ გლეხებს ვერ დაეხმარება.

ასეთ სავალალო შედეგს, საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაზისო უნარების არქონის გარდა, განაპირობებს უარის თქმა მკაფიო პოზიციის ჩამოყალიბებაზე, ის უკანდახევის შესაძლებლობას ნამდვილად ტოვებს, მაგრამ ამომრჩევლებს ძალიან არ მოსწონს. **მთავრობამ შეიძლება დიდი ხანძარი სწორედ მაშინ გააჩინოს, როდესაც არც მწვადის და არც შამფურის დაწვა სურს. ეს მხოლოდ ერთი საკითხია, რომლის მიმართ „ოცნება“ საიმიჯო დანაკარგს განიცდის, თუმცა, საარჩევნო სისტემის შეცვლასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია. აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ უსუსურ ლიდერებს ივანიშვილისთვის წარმატებაზე გაცილებით მეტი პრობლემა მოაქვს, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ — ეს მისი საკადრო გადაწყვეტილება იყო და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მას ეკისრება.**

„საქართველო მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა ჩაიგდო ხელში, გვაძლევდნენ ფულს, მაგრამ ჩვენ ამ ფულის დახარჯვა არ შეგვეძლო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ მათ დირექტივებს უნდა მივყოლოდით. გაგვაყიდვინეს უკვე აშენებული ფაბრიკა-ქარხნები და ხეტყე. ყველაფერს ამას რომ ვაანალიზებ, შიში მეუფლება — დღეს ხელისუფლებას რომ ავუზუნტდეთ, ხვალ ისევ ნაციონალები არ მოიყვანონ“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ელიზბარ ჯაველიძე:

# სანამ ამერიკის ელჩი ადგენს საქართველოს პარლამენტში შესასვლელი ადამიანების სიას, ჩვენი საქმე კარგად ვერ იქნება

**300 არაგველი — 1795 წლის 11 სექტემბერს კრწანისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული 300 ფშავ-ხევსური და არაგვისპირელი მებრძოლი. გადმოცემის თანახმად, მათ ბრძოლის წინ შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ ან გაიმარჯვებდნენ, ან ბრძოლის ველზე დაეცემოდნენ, რაც შეასრულეს კიდეც.**

**საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2008 წლის 27 ივნისის სხდომის განჩინებით, „1795 წ. კრწანისის ომში მომწყდარნი 300 არაგველნი და სასულიერო და საერო პირნი შერაცხილ იქნან წმიდა მოწამეებად. დაიწეროს მათი ხატი, ტროპარ-კონდაკი, ცხოვრება და საგალობლები. მათი ხსენების დღედ დაწესდეს 11 (24) სექტემბერი. ეთხოვოს ქ. თბილისის მერიას, საპატრიარქოსთან შეთანხმებით, იზრუნოს კრწანისის ველის, როგორც თავდადების ადგილის, სათანადო მოწყობაზე“, — ასე ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში 300 არაგველის თავდადება. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, როგორ ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში 2017 წლის 17 მაისი. დღე, როდესაც ხელისუფლების ხელშეწყობით ე.წ. ლგბტ თემის 300 წარმომადგენელმა დედაქალაქის ცენტრში „აღლუმი“ ჩაატარა...**

**როგორ მოვედით 300 არაგველიდან 300 ლგბტ-მდე? ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე გვესაუბრება.**

— არაერთხელ მითქვამს: ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მიზანმიმართულია იმისკენ, რომ გადავშენდეთ. ჯოჯოხეთიდან ისმის ჟივილ-ხივილი და ეს ძალიან მაშინებს. ძალა, რომელიც მართავს ამ ქვეყანას, ჯოჯოხეთურია. 2012 წელს ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა „ქართულ ოცნებას“, რადგან ვიცოდით, რომ მხოლოდ ის შეძლებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების მოშორებას. ხელისუფლების, რომელიც გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა საკუთარ ხალხს. სულით, გულით, გონებით, კალმით, რითაც შეგვეძლო, ვიდექით „ოცნების“ მხარდასაჭერად, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. აღმოჩნდა, რომ გამარჯვება მხოლოდ ჩვენზე არ იყო დამოკიდებული. ქვეყნებმა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას მართავდნენ, ერეოდნენ ამ პროცესში, 2012-ში შეშლილი ხალხი დაინახეს. ამიტომ მათ სხვა გზა არ ჰქონდათ, სააკაშვილი უნდა ჩამოეშორებინათ. ხაზს ვუსვამ, უცხოელები მიხვდნენ, რომ ქვეყანა რევოლუციის ზღვარზე იყო. რევოლუცია კი ანადგურებს ყველაფერს, კუდებს არ ტოვებს, ამერიკასა და ევროპას კი კუდების მოსპობა არ სურდა და სწორედ ამიტომ ამოუდგნენ „ოცნებას“ მხარში. მათ შორის გამიზნული ნაბიჯი გადადგეს — ხელისუფლებაში შეაპარეს ადამიანები, რომელთა დახმარებითაც კვლავ შეძლებდნენ ხელისუფლების სადავეების ხელში ჩაგდებას. ჩვენი უბედურება კოაბიტაციით დაიწყო.

ამერიკელების იდეაა, საქართველოშიც ისევე, როგორც მათთან, ორი პარტია იყოს: ერთი — აუცილებლად „ნაციონალური მოძრაობა“. „ოცნებაშიც“ ბევრია ისეთი, ვისზეც შეიძლება თქვა, რომ ის და „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ერთი და იმავე ძალის ინტერესების გატარებას ემსახურებიან. ისინი ამოფარებულნი არიან ყალბ დემოკრატიას. ყველანი ქართული სულის განადგურებას ცდილობენ. ანადგურებენ რელიგიას, განათლებას, რწმენას.

კომუნისტებს სურდათ ახალი ადამიანის შექმნა — „საბჭოთა ადამიანის“, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან ბევრი რამ არ იკადრეს, სულის წართმევას მოერიდნენ, ამიტომ ქართველი და არა მხოლოდ ქართველი, დარჩა იმად, რაც იყო. იმჟამინდელი ახალგაზრდები ეროვნულები იყვნენ და ოდნავ გადაცდომაზეც კი სასტიკი რეაქცია ჰქონდათ. ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ იმ ევროპელებმა თუ ამერიკელებმა, რომლებმაც დაიწყეს ჩვენი განადგურება და პირველი, რაც მოგვისპეს, განათლება იყო.

**საქართველო მსოფლიო ბანკმა და სავალუტო ფონდმა ჩაიგდო ხელში, გვაძლევდნენ ფულს, მაგრამ ჩვენ ამ ფულის დახარჯვა არ შეგვეძლო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მხოლოდ მათ დირექტივებს უნდა მივყოლოდით. გაგვაყიდვინეს უკვე აშენებული ფაბრიკა-ქარხნები და ხეტყე. ყველაფერს ამას რომ ვაანალიზებ, შიში მეუფლება — დღეს ხელისუფლებას რომ ავუზუნტდეთ, ხვალ ისევ ნაციონალები არ მოიყვანონ.**

**— რატომ ფიქრობთ, რომ ნაციონალებს დააბრუნებენ? ხალხი ამის წინააღმდეგია...**

— ვერ ხედავთ, რა ხდება ქვეყანაში? ისევ ის არასამთავრობოები ცდილობენ პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას, რომლებიც ნაციონალების პერიოდში აქტიურობდნენ; ისევ ის კანონპროექტები განიხილება, რომლებიც მაშინ განიხილებოდა; სასამართლო პროცესებსაც იგივე ადამიანები იგებენ, რომლებიც მანამდე იგებდნენ და სახალხო დამცველიც ისეთივეა, როგორიც ნაციონალებს ჰყავდათ. ასე რომ, საფრთხე დიდია. დაპატიმრებული არ არიან დამნაშავენი, უფრო მეტიც, ისევ საკვანძო თანამდებობებზე სხედან. მიწის გაყიდვაზე მონიტორინგი ჩვენ, სამეცნიერო აკადემიამ, გამოვაცხადებინეთ და მერე, **ეკა გიგაურის** საჩივრის საფუძველზე, მონიტორინგი გაუქმდა. წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს? **ნიფხავჩახდილი გოგო-ბიჭების დაკრულზე დადის საქართველო.** ერს კლავენ და, თუ ერი მოკვდა, არავინ გადარჩება, მინდა ეს დაიმახსოვრონ...

**— ერს რომ კლავენ, ამაში გეთანხმებით. ზუსტად ეს დაინახა ხალხმა 17 მაისს, როდესაც 300 არაგველის ქვეყანაში 300 ლგბტ პატივით მიაცილეს დანიშნულების ადგილამდე და აღლუმი მოაწყობინეს. წელს ეს პირველად მოხდა...**

— 300 არაგველის შესახებ, დარწმუნებული ვარ, არაფერი სმენიათ. მათ, არც აქვთ უფლება არაგველების სახელის ხსენების. „უზნეობა სუფევს საქართველოში, უზნეოთა თარეშია“, — ეს **მუხრან მაჭავარიანმა** თქვა. **ნოდარ დუმბაძის** საოცნებო ქალაქში, თქვენი ბავშვობის ქალაქში, უნდოდათ ფილმის ჩვენება, მაგრამ ჩაუშალეს... და კი არ უნდა ჩაეშალათ, პოლიციას ხელი კი არ უნდა შეეშალა, ხალხი უნდა შესეოდა მათ.

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და ესენი პედარასტების აღლუმებს ატარებენ ეკა გიგაურისა და ნინო ლომჯარიას გულის გასახარად.**

საფრანგეთში, ერთ დროს კულტურისა და ხელოვნების სავანეში, როდესაც ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, რამდენიმე ეროვნულმა ადამიანმა თავი მოიკლა, რადგან იცოდნენ, რა მოხდებოდა ცოტა ხანში. ზუსტად ერთ წელიწადში საფრანგეთში ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება დაკანონდა... ჩვენ მივიღეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩვენ თავის დაცვა ვერ შევძელით. თავი აქამდე როგორღაც მოვიტანეთ, მაგრამ გაგვტეხეს. იმის გამო, რომ რამდენიმე ადამიანმა ფული იშოვოს, თაობებს ღუპავენ.

რუსეთის პოლიტიკა პატრიოტულ იდეოლოგიაზეა აგებული და ყველაფერს კრძალავს, რაც ამ იდეოლოგიას უშლის ხელს. რუსეთში ალაგმეს არასამთავრობოები, რომლებსაც საეჭვო წარმოშობა ჰქონდათ და არასასურველი საქმისთვის იღებდნენ გრანტებს. ამის გაკეთება საქართველოშიც აუცილებელია, მაგრამ ჩვენ იდეოლოგიად ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება ავირჩიეთ და უნდათ, ბავშვები ოჯახებში ისე გაიზარდონ, რომ პედარასტობა არ უკვირდეთ. ჩემს ოჯახში ვინმე ამ იდეოლოგიით რომ გაიზარდოს და ეს მოიწონოს, მოვკლავ, გავანადგურებ, ვინც უნდა იყოს. ეს ერის სიკვდილია, ამას არ დავუშვებ...

ეკლესია წაბილწეს, სინოდის წევრების ნახევარზე მეტი აგენტია, მართულები არიან, ღმერთს არ ემსახურებიან. საპატრიარქოში რაც მოხდა და გახმაურდა, დიდი სირცხვილია. პატრიარქი ამბობდა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება ცოდვაა, მიწის გაყიდვა არ შეიძლება, ოჯახი წმინდააო და სწორედ ამიტომ მოხდა თავდასხმა ეკლესიაზე. ეკლესიაში რაც ხდება, ხმამაღლა უნდა ითქვას, ვინც ამ ფაქტის დამალვას ცდილობს, ქვეყნის მტერია. დავა სასულიერო პირებს შორის ერის თავის მოჭრის ტოლფასია.

სანამ ამერიკის ელჩი ადგენს საქართველოს პარლამენტში შესასვლელი ადამიანების სიას, ჩვენი საქმე კარგად ვერ იქნება. დიდი ილია ამბობდა, ერიცა და ადამიანიც ფასობს თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლითო. თუ ადამიანს წარსული არ უვარგა, რაც უნდა ეცადოს, ბუნებას ვერ შეიცვლის. ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილსაც დავუწერე. იმ პატარა ბიჭს, პარლამენტის თავმჯდომარე რომ ჰქვია, და ახალგაზრდებს კომუნისტებს უწოდებს, მინდა ვუთხრა, ახალგაზრდებმა თავის დროზე ენა გადაარჩინეს. სწორედ, ახალგაზრდების ძალისხმევით არ დაკარგულა ერთი გოჯი მიწა. ეროვნული სული იყო და არის კიდევ შემორჩენილი. ქვეყანაში კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა და ამ დროს ლგბტ-პირებს გვტენიან. არ არის ეს მიზანმიმართული?

ილიას გზით იარეთო, ის ყმაწვილი რომ ეუბნება ხალხს, ილია სულ ევედრებოდა ქართველს, მიწა არ გაყიდო, მიწის გაყიდვა დედის გაყიდვის ტოლფასიაო, მაგრამ ესენი დედასაც და მამასაც გაყიდიან, თუკი პარტია უბრძანებს. მათთვის პირადი კეთილდღეობაა უმთავრესი. ვერასოდეს დამარწმუნებს **ჩუგოშვილი,** რომ საქართველო ოდესმე უყვარდა და უყვარს, რადგან 2011 წლის 26 მაისის სისხლისღვრა გაამართლა.

**— პარლამენტარი, უმრავლესობის წევრი თამარ ჩუგოშვილი ამბობს, მიწის გაყიდვის აკრძალვა კონსტიტუციაში არ ჩაიწერებაო...**

— ჩუგოშვილმა თავის მამიდას მიხედოს. მაგიტომაც ვართ დაღუპული, რომ ჩუგოშვილია ჩვენს პარლამენტში.

მხოლოდ გუთანი და მიწა გადაგვარჩენს, — ამბობდა ილია.

ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ დღეს ძალიან გვიჭირს. ქართველს უმძიმეს დღეებშიც კი არ აკლდა საკვები. დღეს ლუკმაპური ძნელი საშოვნელი გაგვიხდა, მაგრამ მართლმადიდებლობისთვის, მიწისთვის, ქართველი ყოველთვის იბრძოლებს. **ნუ მიიყვანენ ჩვენს ხალხს იმ ზომამდე, რომ უკონტროლო გახდეს ვითარება. არადა, უკვე იგრძნობა დენთის სუნი. „რევოლუციის აჩრდილი დადის“ საქართველოში.**

მიწა ჩვენი სულია, ის განსაკუთრებული, სათუთი და მოსაფერებელია. არავის აქვს მიწის გაყიდვის უფლება, მაგრამ ეს რა გასაკვირია, მამათმავლობის ხელმშემწყობი პოლიტიკოსებისთვის მიწა რა სახსენებელია?

მსოფლიო პოლიტიკის პრინციპია, სახელმწიფოს სათავეში დეგენერატები იყვნენ, დეგენერატი ატომურ ბომბზე უარესია. ბომბი ანადგურებს, ხოლო დეგენერატი თან ანგრევს, თან რჩება.

ჭამენ საქართველოს, მაგრამ ამ ქვეყანაში ყოველთვის კეთდებოდა დიდი საქმეები, გაკეთდება დღესაც. ხელისუფლება შესაცვლელია. გვახსოვდეს, ლიბერალები ფაშისტებზე უარესები არიან, ამიტომ დიდხანს ამის ყურება არ შეიძლება.

**«თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის პრინციპია, სახელმწიფოს სათავეში დეგენერატები იყვნენ, დეგენერატი კი ატომურ ბომბზე უარესია»**



ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპაც დაჟინებით ითხოვენ ბაშარ ასადის წასვლას. სხვათა შორის, გაპრეზიდენტებამდე ტრამპს არანაირი პრეტენზია არ ჰქონია ბაშარ ასადთან, მაგრამ მოვიდა თუ არა ქვეყნის სათავეში, „პლასტინკა“ გადააბრუნა. ამას ნორმალური ადამიანი არ იკადრებს, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტზე“.



### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# სირიის სამთავრობო ძალებმა რამდენჯერაც შეუტიეს ტერორისტების პოზიციებს, ამერიკის ავიაციამ იმდენჯერ დაბომბა ისინი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ნიშნავს თუ არა ეს ტერორიზმის წახალისებას?

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაგმო ინგლისის ქალაქ მანჩესტერში მომხდარი ტერაქტი და დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა. მისი თქმით, ტერორიზმის წინააღმდეგ მთელი მსოფლიო უნდა გაერთიანდეს და მსგავს დანაშაულზე საზოგადოების მხრიდან მინიმალური შემწყნარებლობაც არ უნდა არსებობდეს: „ამდენი ახალგაზრდა, ლამაზი და უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ვინც ეს ჩაიდინა, მათ მონსტრებს არ ვუწოდებ, ვინაიდან მათ სურთ, ასე რომ დაუძახონ, ფიქრობენ, ეს მათთვის დიადი სახელია. მე მათ „ლუზერებს“ ვუწოდებ“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.**

**შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, როცა რუსეთი სირიაში ბაშარ ასადის მოწინააღმდეგე ტერორისტული დაჯგუფებების პოზიციებს ბომბავდა, ბრიტანეთის ხელისუფლება ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც აღნიშნული ორგანიზაციები არა ტერორისტებად, არამედ ოპოზიციად მოიხსენია. დღემდე იგივე პოზიცია ოფიციალურად უკავია „თეთრ სახლსაც“, მეტიც, ამერიკულმა ავიაციამ უკვე მეორედ დაბომბა სირიის სამთავრობო ჯარების პოზიციები. „საქართველო და მსოფლიო“ აღნიშნულ საკითხზე კომენტარისთვის პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს დაუკავშირდა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი:**

— უბედურება ის არის, რომ დასავლეთმა, როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისე ევროპამ, ვერაფრით აარიდა თავი იმ „ცდუნებას“, რომელსაც ტერორიზმთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქვია. ჯერ ერთი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შექმნა ე.წ. ისლამური სახელმწიფო და დღემდე ეხმარება მას, როგორც ფინანსურად, ისე იარაღით; და კიდევ, კეთდება განცხადებები, რომ ის ტერორისტები, რომლებსაც რუსეთი ებრძვის, თურმე ტერორისტები არ არიან; ნამდვილი მონსტრები ისინი არიან, ამერიკის ავიაცია რომ ბომბავს. ცხადია, ეს ორმაგი სტანდარტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავინ სვამს შეკითხვას, საიდან აქვს ამ ტერორისტულ ორგანიზაციას, „ისლამურ სახელმწიფოს“ ვგულისხმობ, ამხელა რესურსი, როგორ ახერხებს ის ასეთი მასშტაბებით მოქმედებას?

თუნდაც ტყვია-წამალი ავიღოთ, სხვა სახის იარაღზე არაფერს ვამბობ, საიდან აქვთ? ცხადია, მათ დასავლეთიდან ამარაგებენ. მეტიც, რამდენჯერაც სირიის სამთავრობო ძალებმა შეუტიეს ტერორისტების პოზიციებს, ამერიკის ავიაცვიამ იმდენჯერ დაბომბა ისინი. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: ნიშნავს თუ არა ეს ტერორიზმის წახალისებას?

**— როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?**

— ფაქტებით ვილაპარაკოთ. როდესაც სირიის ჯარებმა შეუტიეს ტერორისტებს, ვაშინგტონში ოფიციალურად გაკეთდა განცხადება, რომ ამ ჯარებმა შეუტიეს იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებთანაც ამერიკას აქვს მჭიდრო ურთიერთობა. ეს ოპოზიციური ძალები იგივე ტერორისტები არიან. **ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპაც დაჟინებით ითხოვენ ბაშარ ასადის წასვლას.** სხვათა შორის, გაპრეზიდენტებამდე ტრამპს არანაირი პრეტენზია არ ჰქონია ბაშარ ასადთან, მაგრამ მოვიდა თუ არა ქვეყნის სათავეში, „პლასტინკა“ გადააბრუნა. ამას ნორმალური ადამიანი არ იკადრებს, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტზე.

**— ტერორიზმი დასავლეთსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის. როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდება ვაშინგტონს ამ ორგანიზაციების ხელშეწყობა?**

— ამერიკას ხელს აძლევს ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების გახანგრძლივება, რომელიც ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ დასუსტებასა და გაჩანაგებას, დევნილების რაოდენობის ზრდას იწვევს. მეორეც, რაც უფრო სუსტი იქნება ევროპის პოზიციები საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, მით უკეთესი ამერიკისთვის. საერთოდ, ევროპის ქვეყნები ისეა დღეს დაბეჩავებული ამერიკის დიქტატის ქვეშ, რომ ისინი საკუთარი თავის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებენ.

**— თქვენი აზრით, საბოლოოდ რას მოუტანს ეს პროცესები ევროპას?**

— ევროპა სერიოზული კრიზისის წინაშეა, საეჭვოა, რომ დღევანდელმა ევროკავშირმა ამ ყველაფერს გაუძლოს.

რაც შეეხება ტერორიზმსა და კონკრეტულად ინგლისში მომხდარ ტერაქტს, რა თქმა უნდა, გამოვლენ ინგლისის პოლიტელიტის წარმომადგენლები და დაგმობენ ამ ყველაფერს, გაკეთდება ბრტყელ-ბრტყელი განცხადებები და შეფასებები, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩება. ერთი-ორი კვირის შემდეგ კი ეს ტრაგედია არავის გაახსენდება, რადგან დარწმუნებული ვარ, სხვა ბევრად უფრო დიდი მასშტაბის ტერაქტები მოხდება, ბევრად უფრო დიდი და მრავალრიცხოვანი მსხვერპლით, და ეს მხოლოდ სტატისტიკა იქნება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



### მამა გიორგი (რაზმაძე):

# ორ-სამ წელიწადში ქართველ გლეხს გოჯი მიწა აღარ დარჩება

**ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე მედიასთან საუბარში აცხადებს, რომ, თუ კი საქართველოს კონსტიტუციაში მიმდინარე ცვლილებებზე ვენეციის კომისიას კონკრეტული შენიშვნები ექნება, ხელისუფლება ასეთი ცვლილებების განხორციელებაზე უარს იტყვის. მისი თქმით, არის საკითხები, რომელთა გარშემოც დაიწყება დისკუსიები, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ პოზიციების შეჯერების შემდეგ მოხდება. „ვფიქრობთ, რომ საბოლოო ჯამში, ვენეციის კომისიის დასკვნა იქნება დადებითი, მათ შორის ყველა საკითხის მიმართ, მაგრამ, თუ იქნება რაიმე კონკრეტული შენიშვნა უარყოფით კონტექსტში, ჩვენ ასეთი ცვლილების განხორციელებაზე უარს ვამბობთ“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.**

**კონკრეტულად რა დისკუსიებზეა საუბარი, ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას და რატომ არის ხელისუფლებისთვის ვენეციის კომისიის პოზიცია ასე მნიშვნელოვანი? — „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარს, მამა გიორგის (რაზმაძე) დაუკავშირდა.**

**მამა გიორგი (რაზმაძე):**

— ამ ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს: თუ ეს ხელისუფლება არ დაემორჩილება ვენეციის კომისიას და არა მხოლოდ ვენეციის კომისიას, საერთოდ იმ დასავლურ ფსევდოლიბერალურ ძალებს, რომლებიც ასე თავგადაკლული იცავენ ჩვენს ქვეყანაში თითქოსდა დემოკრატიას, ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას. აი, ეს არის მათთვის მთავარი და ყველა მათი გადაწყვეტილება გამომდინარეობს ამ ინტერესიდან. ამიტომ ვიმეორებ ხოლმე ხაზგასმით ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მომეცემა, რომ **დღეს საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. ესენი არიან დასავლეთის გლობალისტური ძალების ყურმოჭრილი მონები, ფულსა და ძალაუფლებას დახარბებული გამყიდველები, რომლებსაც ხალხი ადამიანებად არ მიაჩნიათ.**

რაც შეეხება კონკრეტულ საკითხს — ვენეციის კომისიის „რეკომენდაციებს“ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე, ამთავითვე ცხადია, რა ფორმით იქნება ეს „რეკომენდაციები“, რა შინაარსის „რჩევებს“ მიიღებენ ჩვენი კანონმდებლები და რა მონდომებით შეეცდებიან ამ ყველაფრის სისრულეში მოყვანას, მაგრამ ვფიქრობ, ეს პროცესი კრახით დასრულდება. თუმცა, არამხოლოდ პროცესი, ამ ხელისუფლების არსებობაც და, თუ ასე გაგრძელდა, ძალიან მალე ვნახავთ მათ პოლიტიკურ დასამარებას ზუსტად ისე, როგორც მათ წინამორბედ ხელისუფლებას დაემართა. ეს გარდაუვალია იმიტომ, რომ, რასაც დღეს აკეთებენ, თუნდაც მიწის უცხოელებზე გასხვისება ავიღოთ, არის იმ მოღალატეობრივი პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც სააკაშვილის ხელისუფლება მიმართავდა ცხრა წლის განმავლობაში.

**— ხელისუფლება, ალბათ, მაინც გაითვალისწინებს ვენეციის კომისიის „რეკომენდაციებს“ და კონსტიტუციაში ზედმიწევნით შევა ყველა ცვლილება, რომლებიც აღნიშნული „რეკომენდაციებით“ იქნება გათვალისწინებული. რა შეიძლება საზოგადოებამ გააკეთოს იმისთვის, რომ საბოლოოდ არ დაკანონდეს უცხოელებზე მიწის გასხვისება და კანონში ჩაიწეროს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა?**

— ერთ მაგალითს მოვიყვან: მოგეხსენებათ, **17 მაისი პატრიარქის კურთხევით ოჯახის სიწმინდის დღედ გამოცხადდა, 18 მაისი კი ეროვნული სამოსის დღეა. დეპუტატები, რომლებმაც თავის დროზე ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, ამ დღეს ეროვნული ტანსაცმლით შეიმოსნენ. ამით გვითხრეს, რომ ისინიც ქართველი კაცები არიან. აი, ეს არის ამათი რეალური სახე: პარლამენტში — გარყვნილების დაკანონება, გარეთ — ეროვნული ტანსაცმელი; და რა გიკვირთ?! მათ სინდისი არ აქვთ, მათი მორალი არის ფული.**

რაც შეეხება საზოგადოებას, ცხადია, ხალხისგან ძალიან დიდი პროტესტი და წნეხი თუ აალებინებს მათ ხელს კონსტიტუციაში მსგავსი ცვლილებების შეტანაზე. მმართველი გუნდი უნდა გრძნობდეს, რომ საზოგადოება მას არაფერს აპატიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ თავიდან ბოლომდე ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, რომელიც დაანგრევს ქვეყანას. და რაც მთავარია, დამტკიცების შემდეგ კონსტიტუციის ხელახლა განხილვა და შეცვლა ძალიან რთული იქნება.

აქვე არ შემიძლია ძალიან მოკლედ არ შევეხო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს. ეს არის მიზანმიმართული ბოროტება, რომელიც შემოგდებულია საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრების მიერ. როცა ქართველები საზღვარგარეთ გარბიან და სოფლები დაცლილია, ხელისუფლების ერთადერთი საზრუნავი და საფიქრალი ამ ხალხის დაბრუნება უნდა იყოს. ამ დროს რა ხდება? — **შემოყავთ ფულიანი უცხოელები და საუკეთესო მიწებს ჩალის ფასად უკანონებენ. ორ-სამ წელიწადში ქართველ გლეხს გოჯი მიწა აღარ დარჩება. აბა, რა ჰქვია ამას, ეს არ არის ღალატი?!**

იმაზე დიდი ბოროტება და მოღალატეობა რა უნდა იყოს, როცა სამშობლოს ყიდი. სამშობლოს გაყიდვაა ეს ჩემთვის; და იმ დეპუტატებმა, რომლებიც თავს დებენ ტრადიციების ერთგულებაზე, საქმით კი სულ სხვას ამტკიცებენ, უნდა იცოდნენ, რომ სამოსი ვერ შენიღბავს მათ მოღალატეობრივ პოლიტიკას. 18 მაისს კი არა, წელიწადში 365 დღე რომ ჩოხით იარონ, რეალობას ვერ დამალავენ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

სხოვს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მილიონერ დეპუტატთა შორის არიან „ქართული ოცნების“ წევრები: ზაქარია ქუცნაშვილი და ლერი ხაბელოვი, რომელთა ქონებაც, შესაბამისად, 2 762 100 და 2 543 750 ლარს შეადგენს.


ზაქარია ქუცნაშვილი


ლერი ხაბელოვი

# ზაქარია ქუცნაშვილის მიწის ნაკვეთები, ბიზნესწილები და ლერი ხაბელოვის ბინები

## რა ქონებას ფლობენ «ქართული ოცნების» მილიონერი დეპუტატები

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზეა დამოკიდებული, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა, პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. საქართველოს პარლამენტში 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერია)... მილიონერ დეპუტატთა შორის არიან „ქართული ოცნების“ წევრები: ზაქარია ქუცნაშვილი და ლერი ხაბელოვი, რომელთა ქონებაც შესაბამისად 2 762 100 და 2 543 750 ლარს შეადგენს.**

საქართველოს პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი, რომელიც არაორდინალური და სკანდალური გამონათქვამების გამო საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა, 1972 წლის 13 თებერვალს მცხეთაში დაიბადა. ჰყავს მამა — ომარ ქუცნაშვილი, დედა — თალიკო ლაგაზაური, მეუღლე — თეა სანიკიძე და არასრულწლოვანი შვილები: თამარი (თათული) და თორნიკე ქუცნაშვილები. ზაქარია ქუცნაშვილს დეკლარაცია 2017 წლის 30 იანვარს შეუვსია და სწორედ ამ დეკლარაციის მიხედვით დეპუტატის ქონება 2 762 100 ლარს შეადგენს.

პარლამენტარის, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სპიკერის ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა ასეთია:

**ომარ ქუცნაშვილი** თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოფცაში 30 000 კვ. მ მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მფლობელია; ომარ ქუცნაშვილს კომლის გაყოფის შედეგად თიანეთში, სოფელ ხოფცაში 2019 კვ. მ მიწის ნაკვეთი ერგო. დეპუტატის მამის საკუთრებაა, აგრეთვე, 155 კვ.მ საცხოვრებელი სახლი სოფელი ხოფცაში, რომელიც მას 20 000 ლარად აუშენებია. მას თბილისში, საირმის ქუჩაზე 430 კვ.მ მიწის ნაკვეთი 5000 ლარად შეუძენია; საირმის გორაზე 496 კვ.მ საცხოვრებელი სახლი 180 000 აშშ დოლარად აუშენებია; თელავის მუნიციპალიტეტში, ნაფარეულში მიწის ნაკვეთის 33% — 40 009 კვ.მ 32 000 ლარად გადასცა თეიმურაზ გოჩიტაშვილსა და ლერი მიქაბერიძეს.

**თალიკო ლაგაზაურს** 16000 კვ. მ მიწის ნაკვეთი თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი ნაფარეულში 8000 ლარად შეუძენია, მისი მეწილე ბექა მიქაბერიძეა;

**თეა სანიკიძეს** თბილისში, დადიანის ქუჩაზე, 104.60 კვ. მ ფართობის ბინა 20 000 აშშ დოლარად შეუძენია; ხოლო 1590 კვ.მ მიწის ნაკვეთი — 30 210 ლარად თბილისში, დიდი ლილოს დასახლებაში.

**ზაქარია ქუცნაშვილს** კარტოზიას ქუჩაზე — 50 700 აშშ დოლარად 59.90 კვ. მ ფართობის ბინა, საბურთალოს ქ. №32-ში 89 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 70 000 აშშ დოლარად უყიდია. ის 33%-ის მფლობელია მიწის ნაკვეთის, რომელის 18 820 აშშ დოლარად შეუძენია დაბა სიონში. მიწის ფართობი 941 კვ.მ-ია, ხოლო თანამესაკუთრე პეტრე ქიტესაშვილია.

ზაქარია ქუცნაშვილსა და მის მეუღლეს ელგუჯა ჩოლოგაურთან და რევაზ ბოდაველთან ერთად ხევსურთსოფელში 602 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეუძენიათ მასზე განლაგებული 345,92 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართით 15000 აშშ დოლარად. დეპუტატის წილი აღნიშნულ უძრავ ქონებაში 70%-ია.

ზაქარია ქუცნაშვილს 136 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 36,70 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი თიანეთის რაიონის სოფელ ზარიძეებში 4000 ლარად შეუძენია.

**რაც შეეხება ოჯახის საკუთრებაში არსებულ დეკლარირებულ ავტომობილებს:**

ზაქარია ქუცნაშვილის საკუთრებაა Toyota Land Cruzer Prado, რომელიც მას 39 000 აშშ დოლარად შეუძენია, ხოლო პარლამენტარის მამას მსუბუქი ავტომანქანა Honda CRV 25 000 აშშ დოლარად უყიდია.

„ქართული ოცნების“ დეპუტატისა და მისი ოჯახის წევრების საბანკო ანგარიშები დეკლარაციის შევსებისას ასეთი იყო:

**ზაქარია ქუცნაშვილს** „თი-ბი-სი“ ბანკში სახელფასო ანგარიშზე 3000 ლარი ერიცხებოდა; „ლიბერთი ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე — 450 ლარი; „თი-ბი-სი“ ბანკში დეპოზიტზე — 59000 აშშ დოლარი. დეკლარაციის შევსების დროს დეპუტატს ხელთ ჰქონდა 500 ლარი.

**ომარ ქუცნაშვილს** „ლიბერთი ბანკში“ საპენსიო ანგარიშზე — 180 ლარი ერიცხებოდა; „თი-ბი-სი ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე — 3500 ლარი.

**თალიკო ლაგაზაურს** „ლიბერთი ბანკში“ საპენსიო ანგარიშზე — 180 ლარი ერიცხებოდა; „ქართუ ბანკის“ ანაბარზე — 2200 აშშ დოლარი, ამავე ბანკში ასევე ანაბარზე — 9 599 ლარი და 13 241 ლარი.

**თეა სანიკიძეს** „თი-ბი-სი ბანკში“ სახელფასო ანგარიშზე 211,55 ლარი ჰქონდა; დეპოზიტზე — 2 აშშ დოლარი, მიმდინარე ანგარიშზე — 1001,49 ლარი.

**ქუცნაშვილების ოჯახი სამეწარმეო საქმიანობითაცაა დაკავებული:**

**ომარ ქუცნაშვილი** შპს „ტექნოს“ პარტნიორია და მისი წილი 12%-ით განისაზღვრება. დეპუტატის მამის ბიზნესპარტნიორები არიან არჩილ კონიაშვილი, ივერი ქუცნაშვილი და ლერი მიქაბერიძე. ომარ ქუცნაშვილი ასევე არის შპს „ჯეოინჟინერინგის“ პარტნიორი და 41%-ის მფლობელი, მისი პარტნიორები არიან ლერი მიქაბერიძე, ივერი ქუცნაშვილი, გიორგი სეთურიძე, როინ ყაველაშვილი, გურამ ბედუკაძე, ლევან გორგიძე, ვასილ ნებიერიძე და თეიმურაზ გოჩიტაშვილი. მისი წლიური შემოსავალი შპს „ჯეოინჟინერინგიდან“ 42 473 ლარია.

**ომარ ქუცნაშვილი** და **თალიკო ლაგაზაური** კოოპერატივ „ნაფარეულის ბიო ღვინის“ პარტნიორები არიან. ორივე საწარმოში 20%-იანი წილის მფლობელია. მათი პარტნიორები არიან ბექა და ლერი მიქაბერიძეები და თეიმურაზ გოჩიტაშვილი.

**ზაქარია ქუცნაშვილი** შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“ პარტნიორი და 40% წილის მფლობელია (მისი ბიზნესპარტნიორი ტარიელ მურმანიშვილია); შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიუროს“ პარტნიორი და 55% წილის მფლობელი (მისი პარტნიორი ანა ლევიძეა); შპს „ქ ენდ ქ კონსალტინგის“ პარტნიორი და 60%-ის მფლობელი (მისი პარტნიორი ირაკლი ყანდაშვილია).

**თეა სანიკიძე** შპს „ნიტაპროქურუმენტგრ უპის“ პარტნიორი და 33%-ის მფლობელია. მისი პარტნიორები არიან ირინე ჩხეიძე და არჩილ შარიქაძე. პარლამენტარის მეორე ნახევრის წლიური შემოსავალი 57 843 ლარს შეადგენს.

ზაქარია ქუცნაშვილის წლიური შემოსავალი 55 485 ლარს შეადგენს. თალიკო ლაგაზაური პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში ისტორიის მასწავლებელია და მისი წლიური შემოსავალი 5900 ლარს შეადგენს. ომარ ქუცნაშვილი სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და მისი წლიური შემოსავალი 15000 ლარია.

ზაქარია ქუცნაშვილს საცხოვრებელი ფართი გაუქირავებია 485 აშშ დოლარად და მისი შემოსავალი 2910 აშშ დოლარს შეადგენს. დეპუტატს შპს „ზაქარია ქუცნაშვილის სადვოკატო ბიუროში“; შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათავის“ და შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიუროში“ კუთვნილი წილები მართვის უფლებით სხვისთვის გადაუცია, თუმცა დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი, ვინ მართავს ამჟამად დეპუტატის ბიზნესს. პარლამენტარს თავის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართობი 1400 აშშ დოლარად გაუქირავებია და წლიური შემოსავალი 16 800 აშშ დოლარით აქვს დეკლარაციაში განსაზღვრული. იჯარით გაცემული არასაცხოვრებელი ფართობიდან (თვეში 525 ლარად) წლიურად 6300 ლარს იღებს. ზაქარია ქუცნაშვილს საცხოვრებელი ბინა 75 000 აშშ დოლარად გაუყიდია. ომარ ქუცნაშვილს კი მიწის იჯარაში 3810 ლარი ჰქონია გასავალი.

შარშან ზაქარია ქუცნაშვილს ვაჟიშვილის სწავლის საფასური 4000 ლარი გადაუხდია, მის მეუღლეს კი — 5600 ლარი. ზაქარია ქუცნაშვილს სოფელ ხევსურთსოფელში ეზოს კეთილმოწყობისთვის 20 000 ლარი დაუხარჯავს.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთ სახეს განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუღია, სპეციალობით სამართალმცოდნეობა.

მისი შრომითი ბიოგრაფია ასეთია:

* საქართველოს საპატრიარქოს იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი (2007-2012);
* კავკასიის სამართლის სკოლა, ლექტორი (2007-2012);
* შპს „ზაქარია ქუცნაშვილის საადვოკატო ბიუროს“ დირექტორი (2006-2012);
* ადვოკატი (სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ფ/პ ზაქარია ქუცნაშვილის საადვოკატო ბიუროს უფროსი (2006-2012);
* აიპი საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი (2005-2006);
* ასოციაცია „კანონი ხალხისათვის“ თავმჯდომარე, საგანმანათლებლო რადიოპროექტი „კანონი ხალხისათვის“ ავტორი და წამყვანი (2005-2012);
* ასოციაცია (კავშირი) ელექტრო საბითუმო ბაზარი, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი (2005-2006);
* თბილისის სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი (2004-2006);
* საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი (2001-2004);
* თბილისის საკრებულოს წევრი, კომისიის თავმჯდომარე (1998-1999);
* სადაზღვევო კომპანია „არგანის“ გენერალური დირექტორის მოადგილე (1992-1995).

საქართველოს პარლამენტის წევრი **ლერი ხაბელოვი** 1964 წლის 5 ივლისს თბილისში დაიბადა. ჰყავს მეუღლე — ზარინა ამბალოვა და შვილები: მეგი, ლიკა, დიანა, ლერი, ინგა და გაბრიელი. მათგან ყველაზე უფროსი 1998 წელსაა დაბადებული, ნაბოლარა კი ქვეყანას 2014 წლის 3 მარტს მოევლინა. ყოფილმა მოჭიდავემ და მოქმედმა პარლამენტარმა დეკლარაცია 2016 წლის 30 დეკემბერს შეავსო.

**დეკლარაციის თანახმად, ლერი ხაბელოვის უძრავი ქონების ნუსხა ასეთია:**

დეპუტატის საკუთრებაა 220 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, აგრეთვე, 2700 კვ.მ მიწის ნაკვეთი მცხეთაში; მის სახელზეა, გაფორმებული 170 კვ.მ ფართობის ბინა ავჭალაში; ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე — 3631 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი; თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე — 2085 კვ.მ მიწის ნაკვეთი.

ყოფილი სპორტსმენისა და მოქმედი კანონმდებლის საკუთრებაა მსუბუქი ავტომაბილები „TOYOTA“ და „WRANGLER“.

დეკლარაციის შევსებისას ლერი ხაბელოვს ხელთ ჰქონდა 10 000 აშშ დოლარი და 19 000 ლარი. საქართველოს პარლამენტში მისი წლიური შემოსავალი 66 465 ლარს შეადგენს. მართალია, ლერი ხაბელოვის დეკლარაცია სხვა მილიონერი კოლეგების დეკლარაციებივით შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა კვლევის შედეგად იგი მილიონერ დეპუტატთა შორის აღმოჩნდა და მისი ქონება 2 543 750 ლარადაა შეფასებული.

ლერი ხაბელოვს განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიუღია, სპეციალობით სამართალმცოდნეა.

ლერი ხაბელოვის სამუშაო გამოცდილება კი ასეთია:

* საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი (2012-დან);
* საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცეპრეზიდენტი (2004-2008);

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი (2000-2004);

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1998-2004).

**გიორგი გელაშვილი**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ რუსეთს ჩვენი ტერიტორიების 22% აქვს ოკუპირებული, ქართული მიწების გაყიდვის დაკანონებით, სრულიად საქართველოს ოკუპაციას ვაწერთ ხელს, რადგანაც უცხო თესლი, თუ მიწა ზურგზე ვერ მოიკიდა და წაილო, სამაგიეროდ უარესს გვიზამს — თავის ჯიშ-ჯილაგს ჩამოათესლებს საქართველოში, ნაყიდ მიწებზე ღამით ორნი დაწვებიან და დილით ოთხნი ადგებიან. ჰოდა, მაშინ მოგვეცემა ლხენა ქართველებს.**

# თუ «ნატო-ნატოს» უაზრო ყვირილს თავს არ დავანებებთ, იქით ცხენისწყალთან და აქეთ მარნეულთან გაგვივლებენ საზღვარს

**„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენამჭევრი“— ეს 300 წლის წინათ თქვა დავით გურამიშვილმა და მართლაც, არც კი ვიცი, რომელი ჭირით დავიწყო: დემოგრაფიული კატასტროფით, რომელიც ხვალ კი არ გველის, არამედ უკვე ვდგავართ გადაშენება-გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშე; მიწის უცხოელებისთვის მიყიდვისა და დაკანონების მცდელობით; კონსტიტუციაში ქართული ოჯახის ინსტიტუტის განმარტების შესახებ ცვლილებების შეტანაზე უარით, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია და არა ერთნაირსქესიანი მშობელი №1-ისა და მშობელი №2-ის კავშირი. კონსტიტუციაში ამ ცვლილებების შეტანას არჩევნების წინ პოპულისტურად შეჰპირდა „ქართული ოცნება“ ხალხს, მაგრამ დაპირებების ასრულებას პირი არ უჩანს, რადგან იქით ვენეციის კომისია, ევროსაბჭო და ევროპარლამენტია წინააღმდეგი, აქეთ კი — ანტიდისკრიმინაციული კანონით შეიარაღებული არასამთავრობო სექტორი, იგივე მეხუთე კოლონა საქართველოში.**



ყველაფერი ეს ერთმანეთთან, პირდაპირ თუ ირიბად, მიზეზშედეგობრივად არის დაკავშირებული, რადგან ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მსოფლიოს ნეოლიბერალთა გადამწყვეტი შეტევის შემადგენელი ნაწილებია კაცობრიობის მიერ საუკუნეების განმავლობაში დადგენილი ზნეობის ნორმებზე, რომლებსაც იზიარებდა ყველა ტრადიციული რელიგიური კონფესია და, აქედან გამომდინარე, ეს არის ნეოლიბერალთა ბრძოლა ღმერთის წინააღმდეგ...

## დემოგრაფიული კატასტროფა და მიწის საკითხი

საქართველოში დემოგრაფიის თვალსაჩინო სპეციალისტის, პროფესორ **ანზორ თოთაძის** მონაცემებით, პოსტსაბჭოთა საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში (ძირითადად, რუსეთში) გავიდა დაახლოებით 1,5 მილიონი ქართველი, რომელთა წლოვანება 20-50 წელია, ანუ მწარმოებელი, რაღაც ღირებულის შემქმნელი მოსახლეობა. თუ რეალურ ციფრებს დავეყრდნობით და არა მითურს, ქართველების რაოდენობა, შინ და გარეთ დაახლოებით 3 მილიონია. ე.ი., საქართველოში დარჩენილთა რაოდენობა ხანდაზმულთა და გაუნათლებელი ახალგაზრდების სახით, დაახლოებით, ქვეყნიდან გასულთა რაოდენობის ტოლია. დიახ, გაუნათლებელი ახალგაზრდების, რომლებსაც „სააკაშვილის ახალგაზრდებსაც“ ეძახიან, რადგან ნაცების 9-წლიანი მმართველობის ჟამს წარმატებით ეზიარნენ მიშას „ბუჩქების ფილოსოფიას“. ამიტომ 20-25 წლის ჩვენი შვილებისა თუ შვილიშვილების უმრავლესობისთვის ე.წ. კუჭის ფილოსოფიით ცხოვრებაა მთავარი. მათ ლექსიკაში არ არსებობს სიტყვები: სამშობლო, წინაპართა ხსოვნა, ქართველი ერი და ა.შ.

**ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა, ერი ბერდება, ქვეყანაში მოკვდავობა სჭარბობს შობადობას და, თუ ასე გაგრძელდა, 2040 წლისთვის, ანუ, სულ რაღაც, 23 წელიწადში ქართველები სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად იქცევიან. ამ უმძიმესი დემოგრაფიული სურათის ფონზე კითხვის დასმაც კი — უნდა მივყიდოთ თუ არა ქართული მიწები უცხოელებს? — ქვეყნის მტრობაა!**

**საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები დაახლოებით 3 მილიონი ჰექტარია, ჰექტარი მიწის ღირებულება — 3-5 ათასი დოლარი, ინდოეთში კი, საიდანაც მასობრივად ჩამოდიან ინდოელები, ჰექტარი მიწა 100-150 ათასი დოლარი ღირს. ინდოელი თავის ქვეყანაში გაყიდული ერთი ჰექტარი მიწის ფულით საქართველოში 30 ჰექტარს იყიდის, ხოლო საქართველოს მთელი მიწების ღირებულება 2 მილიარდი დოლარიც არ არის, ანუ ერთ საშუალო მილიარდერს შეუძლია სრულიად საქართველოს მიწის შეძენა!**

ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის, ევროპის (რომლისკენაც ვითომდა მივდივართ) სახელმწიფოებში მიწის გაყიდვა უცხოელებზე ან საერთოდ აკრძალულია, ან მკაცრად კვოტირებული, ან უსაშველოდ დიდი ფასი ადევს.

ქართული მიწის გაყიდვის მომხრე ლიბერასტების „არგუმენტები“ ასეთია — „იყიდოს, ზურგზე ხომ არ მოიკიდებს და წაიღებს“; „ქართველი გლეხი ზარმაცია, მიწას არ ამუშავებს, უცხოელი კი დაამუშავებს, მოსავალს მოიყვანს“ და ა.შ. დიახ, მოიკიდებს და წაიღებს კიდეც!

რუსეთიც კი, რომელმაც არ იცის, რა უყოს უზარმაზარ ტერიტორიას, მიწას არ ყიდის უცხოელებზე და მხოლოდ იჯარით გასცემს! ერთმა მოიჯარადე ჩინელმა გადაწყვიტა, ვაგონებით გაეტანა მიწის ის ფენა, რომელიც მოსავალს იძლევა და მის ჩამოყალიბებას მილიონი წლები სჭირდება, მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე შეიტყვეს რუსებმა და ყაჩაღობა აღკვეთეს. სიტყვამ მოიტანა და, თუ რუსეთზე იტყვი, ოკუპანტიაო (რაც პირდად ჩემთვის საკამათოა), პატრიოტის მანდატი ჯიბეში გიდევს.

**ჩვენი პატრიარქი დიდხანს აცოცხლოს უფალმა, მაგრამ, მის შემდეგ რომელიმე მეუფე პეტრე ყანდური რომ წამოგვისკუპონ პატრიარქად გარე და შინაურმა ლიბერასტებმა, რას შვრები მერე?**

კი, ბატონო, დაკარგული გვაქვს ქვეყნის ტერიტორიის 22%, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ წართმეულის დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ გაყიდულის დაბრუნება პრაქტიკულად და თეორიულადაც, რევოლუციების გარეშე — შეუძლებელი.

ახლა მოდურია ყველაფრის გინება, რაც საბჭოურია, მაგრამ, რომ არა ოქტომბრის რევოლუცია და საქართველოს გასაბჭოება, იმ პერიოდში მენშევიკი ლიბერალების მიერ თითქმის მთელი საქართველოს მიწა-წყალი, წიაღისეული უცხოელებისთვის იყო მიყიდული, თბილისში ქართველი სანთლით საძებარი იყო და მხოლოდ რევკომის დეკრეტით მოხდა ნაციონალიზაცია და საქართველომ გაყიდული დაიბრუნა.

თუ რუსეთს ჩვენი ტერიტორიების 22% აქვს ოკუპირებული, ქართული მიწების გაყიდვის დაკანონებით სრულიად საქართველოს ოკუპაციას ვაწერთ ხელს, რადგანაც უცხო თესლმა თუ მიწა ზურგზე ვერ მოიკიდა და წაიღო, სამაგიეროდ უარესს გვიზამს — თავის ჯიშ-ჯილაგს ჩამოათესლებს საქართველოში ნაყიდ მიწებზე ღამით ორნი დაწვებიან და დილით ოთხნი ადგებიან. ჰოდა, მაშინ მოგვეცემა ლხენა ქართველებს.

**ამჟამად, კანონიერად თუ უკანონოდ, უკვე გაყიდულია ქართული მიწების დაახლოებით 30 ათასი ჰექტარი ქართლსა თუ კახეთში, იმერეთში, სადაც გაჩნდა ჩინელების, ინდოელებისა და ათასი ჯურის გადამთიელთა კომპაქტური დასახლებები. ცალკე პრობლემაა თბილისი, აქ იმდენად თვალში საცემია გადამთიელთა მოძალება, რომ უკვე აღარავის უკვირს ქართველ „ქათქათა“ გოგოზე ხელგადახვეული შავი მაიმახის დანახვა.**

თუმცა რაღა შორს მივდივარ — კარის მეზობელი მყავს ნიგერიელი ზანგი თავისი წვრილშვილით, აგრეთვე, ინდოელთა თუ პაკისტანელთა ოჯახები. ზემოთქმულის გამო, ვისაც უნდა ქსენოფობად, ჰომოფობად, რასისტად ჩამთვალოს, რაც, უკაცრავად და, ფეხებზე მკიდია, რადგან არც ერთი არ ვარ. მე, უბრალოდ, ჩემი საქართველო და ქართველი ერი მტკივა და სულაც არ მინდა, თბილისი პარიზს დაემსგავსოს, სადაც ეიფელის კოშკი თუ ვერ დაინახე, თავი საფრანგეთში კი არა, რომელიმე აფრიკულ ან არაბულ ქვეყანაში გეგონება.

## საქართველო, რუსეთი და აშშ...

პირდაპირ გასაკვირია — საქართველოს ნომერი პირველი პრობლემა საკონსტიტუციო ცვლილებებია, რომელთაგან საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ორი რამ აინტერესებს: **პირველი** — ოჯახის განმარტების შეტანა კონსტიტუციაში, რადგანაც ვინ იცის, ჩვენი პატრიარქი დიდხანს აცოცხლოს უფალმა, მაგრამ, მის შემდეგ რომელიმე მეუფე პეტრე ყანდური რომ წამოგვისკუპონ პატრიარქად გარე და შინაურმა ლიბერასტებმა, რას შვრები მერე?

და **მეორე** — უცხოელებისთვის მიწის გაყიდვის აკრძალვის ასახვა კონსტიტუციაში, რადგან სხვა ყველაფერი, განხილვაცა და დებატებიც, ერთი მხრივ, ქოცების მიერ ხელისუფლების შენარჩუნებას ემსახურება და, მეორე მხრივ, ოპოზიციის მუშაკობაა, რათა მომავალ პარლამენტში ერთი-ორი დეპუტატით მეტი გაიყვანონ, თორემ ქვეყანა ნაცებსაც და ქოცებსაც, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდიათ. ისე, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ჩვენი ბედი აშშ-რუსეთში წყდება? იმედიანი მოლოდინი იყო **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებისას, მაგრამ წინასაარჩევნო რიტორიკა რიტორიკადვე დარჩა. უფრო მეტიც, აშშ-ში ტრამპის იმპიჩმენტზეც კი ალაპარაკდნენ, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტმა პოლიტიკური შიზოფრენია უწოდა. აშშ-ის პრეზიდენტის ნებისმიერ ინიციატივას თუ განკარგულებას ხან სასამართლო ბლოკავს, ხან სენატ-კონგრესი. აშშ-ის „თავისუფალი და ობიექტური“ მედია კი ორკესტრირებულად უტევს ამერიკის პრეზიდენტს.

აშშ-ის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ პრეზიდენტისთვის ტრადიციული 100 დღეც არ ეცლიათ და იმპიჩმენტზე დაეწყოთ საუბარი. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ დონალდ ტრამპი არ არის აშშ-ის სისტემის პრეზიდენტი, ისევე, როგორც არ იყო **რიჩარდ ნიქსონი**, რომელმაც დაამთავრა ვიეტნამში ომი, ეწვია სსრკ-ს, ბრეჟნევთან ერთად ე.წ. განმუხტვას ჩაუყარა საფუძველი და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა, რომელიც, ფაქტობრივად, მართავს ქვეყანას, სწორედ ეს არ აპატია ნიქსონს — უოტერგეიტი მხოლოდ საბაბი იყო მისი იმპიჩმენტისა. ასევეა დონალდ ტრამპიც — შეიძლება ძალიანაც სურს წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება, რუსეთთან დიალოგი, მაგრამ აშშ-ის „ქორები“ არ აძლევენ ამის საშუალებას. და, **თუ ტრამპიც ნიქსონივით გააპანღურეს, ამის მიზეზი აშშ-ის სისტემა იქნება, თორემ რომელი „ტუპოი“ (ასე უწოდა მათ პუტინმა) დაიჯერებს, რომ ტრამპი პუტინის აგენტია? აშშ-ის სისტემა კი, როგორც ჩანს, რუსეთთან მხოლოდ კონფრონტაციისკენ მიისწრაფვის, რადგან მხოლოდ რუსეთია წინაღობა აშშ-ის (წაიკითხე, ნეოლიბერალები) მსოფლიოზე ბატონობის გზაზე.** და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ნატო ტანკების, თვითმფრინავების, გემების რაოდენობით ჯობია რუსეთს, სამაგიეროდ, ისეთი ძალის ბირთვული ფარი აქვს რუსეთს, რომ თავისუფლად გაანადგურებს ნებისმიერ აგრესორს. რუსეთის მოძულე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ლიბერალები კი ქილიკობენ — რუსებს მხოლოდ ბირთვული „დუბინკის“ გაკეთება შეუძლიათ და ხარისხიანი ფეხსაცმლის შეკერვა არ იციანო. ამ ღვარძლიანებს შევახსენებ, რომ პირველ მსოფლიო ომამდე რუსეთს იარაღიც ჰქონდა, „ტუფლებსაც“ კერავდა და ეკონომიკური მაჩვენებლებით მეოთხე იყო მსოფლიოში. რომანოვების იმპერიის მემკვიდრე სსრკ-ს ერთი დღე მაინც ჰქონდა ისეთი, თავდაცვაზე არ ეფიქრა და „ტუფლები“ ეკერა?

ნათქვამია, სამყაროს სამი რამ აკლიაო: ზღვას — ხიდი, ცას — კიბე და ქვეყანას — სამართალი. ჰოდა, სამართლის რა გითხრათ და ▶

**კახელმა მევენახეებმა ახლა შეიტყვეს, რომ დაპირება, რომელიც შარშან გაიცა და გასაგებად აუხსნეს, საფერავი ჩვენი სიმდიდრეა და სუბსიდირება აუცილებლად გაგრძელდებაო, წელს, უბრალოდ, აღარ იქნება. შესაბამისად, ყურძენი (განსაკუთრებით რქაწითელი) ბაზარზე ჩალის ფასიც არ ეღირება და ღვინის მწარმოებელი კომპანიები მას ძალიან, ძალიან იაფად შეისყიდიან და შეისყიდიან იმისთვის, რომ შემდეგ ღვინო გააკეთონ და ბოთლს, სულ ცოტა, ათი ლარი დაადონ, მაშინ, როცა ღვინის თვითღირებულება ერთი ლარიც არ იქნება.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ „ტუფლების“ ნაცვლად რუსებმა პირველებმა (იური გაგარინი) მიადგეს ცას კიბე; ახლა არის და ზღვაზე მრავალკილომეტრიანი ხიდი გადეს ყირიმის მიმართულებით, სადაც ძლიერი სამხედრო ბაზაც შექმნეს და ბირთვული რაკეტებიც შეიტანეს. ამას თუ დავუმატებთ ჯერ კიდევ ტრამპის გაპრეზიდენტამდე **ვლადიმერ პუტინის** ნათქვამს, რომ ყირიმის თემა დახურულია და რუსეთი არავისთან აპირებს ამ თემაზე ლაპარაკსაც კი, გამოდის, რომ როგორც **პოროშენკო** ვერასოდეს დაინახავს საკუთარ ყურებს უსარკოდ, ასევე სამუდამოდ არის ყირიმი რუსეთის ფედერაციის სუბიექტი. ეს ისე, ცნობისთვის საქართველოში მცხოვრები ბრიყვების საყურადღებოდ, რომლებსაც სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება ე.წ. საერთაშორისო თანამეგობრობის რეზოლუციებით ეიმედებათ. მოკლედ, **თუ დონალდ ტრამპს სისტემამ რუსეთთან კონფრონტაციის გზის მეტი არაფერი დაუტოვა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, პუტინთან ძალისმიერი პოზიციებიდან საუბარი ჩიხია. რუსეთი არც ყირიმს დათმობს და, თუ უკრაინელმა ფაშისტებმა ბევრი „გაახურეს“, დონეცკ-ლუგანსკსა და ოდესასაც რაღაც ფორმით თავის იურისდიქციას დაუქვემდებარებს.**

აქედან გამომდინარე, პოსტსაბჭოთა სივრცესაც (ბალტიისპირეთის გამოკლებით) არავის დაუთმობს, მათ შორის, სოხუმსაც (ცხინვალზე ხომ საუბარიც ზედმეტია). აფხაზეთის რკინიგზაც ახლო მომავალში გაიხსნება და, თუ „ნატო-ნატოს“ უაზრო ყვირილით რუსეთის გაღიზიანებას თავს არ დავანებებთ, იქით — ცხენისწყალთან და აქეთ მარნეულთან გაგვივლებენ საზღვარს, რასაც ჩვენი მეგობარი დასავლეთი აღშფოთება-შეშფოთებით გააპროტესტებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნეოლიბერალთა გადამწყვეტი შეტევა, უწინარესად, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელ მხარეს უნდა იდგეს საქართველო — ლიბერასტული აშშ-დასავლეთის თუ ერთმორწმუნე რუსეთის, ვფიქრობ, ცხადია.

**დავით მხეიძე**

**P.S. აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მაგისტრალის გახსნა იქნებ ჩვენთვის სასიკეთოც იყოს, რადგან ეს მაგისტრალი, მხოლოდ გიუმრის სამხედრო ბაზის სახმელეთო მომარაგებას კი არა, აფხაზებისა და ქართველების ყოფით, გნებავთ, ბიზნესურთიერთობებსაც გულისხმობს. ასე იყო ნაცების მოსვლამდე ცხინვალში — ყოფით დონეზე ოსურ-ქართული დაპირისპირება პრაქტიკულად ამოწურული იყო და ვინ იცის, დღეს რა იქნებოდა, შეურაცხად სააკაშვილს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ქართველთა და ოსთა გამაერთიანებელი ერგნეთის ბაზრობა რომ არ დაეხურა. უარესი მდგომარეობაა დღეს — ცხინვალი და განსაკუთრებით სოხუმი, ძველი სტატუსით აღარასოდეს იქნება საქართველოს შემადგენლობაში და ის პოლიტიკოსი თუ ექსპერტი, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს, საქართველოს მტერია!**

# საქართველოს ხელისუფლების მოხეტიალე ცირკი მოგზაურობას განაგრძობს

**ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2012 წლის არჩევნებიდან არასრულ ხუთ წელიწადში, ახალი ხელისუფლება არათუ საოცნებო და საოცარ წელზე ისაუბრებდა, არამედ მოსახლეობის მოტყუებას დაუფარავად შეეცდებოდა. სხვა არაფერია ის, რაც რეალურად დღეს ხდება და ამ ყველაფერს ის შაპიტოც ემატება, რომელსაც ხელისუფლება იყენებს. მოგეხსენებათ, შაპიტო მოხეტიალე ცირკია და სწორედ მას ჰგავს კონსტიტუციის სახალხო განხილვა. ჩვენი ხელისუფლება რომაული პრინციპით მოქმედებს — ხალხს პურსა და სანახაობას სთავაზობს, მაგრამ პური რაციონიდან ნელ-ნელა ქრება და, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ არჩევნებზე დამშეული და ჯიბეგამოფხეკილი ხალხი იმაზე ნაკლებს დასჯერდეს და იმაზე ნაკლებად გაიყიდოს, ვიდრე სხვა დროს.**



პარლამენტის ავტორიტეტი ნელ-ნელა ნულს რომ უახლოვდება, „წყაროზეც“ ამბობენ და „ენ-დი-აის“ გამოკითხვებიდანაც ჩანს, იმ გამოკითხვებიდან, რომლებსაც არავინ ენდობა და ჩვენც ხშირად გაგვიკრიტიკებია, მაგრამ, როცა პარლამენტის თავმჯდომარის მუშაობის რეიტინგი 14%-ს არ აღემატება, რბილად რომ ვთქვათ, კატასტროფაა. ხალხში ანეკდოტადაც დადის: როცა იკითხავენ, როგორი თავმჯდომარეა **ირაკლი კობახიძე**, პასუხობენ, გადააფარე სახეზე კონსტიტუცია და წავაო.

**მსოფლიოსთვის ხორბლის ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელი რუსეთი, ძირითადად, რუსულ, ე.წ. უფხო ჯიშზეა ორიენტირებული, მაგრამ იქ ადგილობრივი წარმოებისა და საშინაო მოხმარებისთვის მაქსიმალურად ცდილობენ, ქართული ჯიშის ხორბალი გამოიყენონ და მიზეზი ჩვენი ქართული ხორბლის უნიკალური თვისებებია. ეს მაშინ, როცა საქართველოში გვაიძულებენ, ამერიკული ჯაგერის ჯიშის ხორბალი დავთესოთ, — დიდი მოსავლიანობა აქვსო... არადა, ჯაგერის ჯიშის ხორბალი მხოლოდ ცხოველებისა და ფრინველებისთვის თუ ვარგა, ადამიანებისთვის კი საუკეთესო ქართული ხორბალია, სწორედ ის, რომელიც არ დააზღვიეს და რომელიც თურმე უნდა გადავაჯიშოთ**

ახლა რაც შეეხება ტყუილს. **სახელმწიფომ გამოაცხადა, აგროდაზღვევები დავიწყეთ და გლეხებს უპრეცედენტოდ კარგ პირობებს ვთავაზობთ, ის, ვინც მოსავლის დაზღვევას გადაწყვეტს, სადაზღვევო თანხის მხოლოდ 30%-ს გადაიხდის, დანარჩენ 70%-ს სახელმწიფო დაფარავსო. დავიწყოთ იმით, რომ ხელისუფლებამ ეს პროგრამა მაშინ ჩაუშვა, როცა ყველა ფერმერს მარცვლოვანი კულტურები დათესილი ჰქონდა. ანუ, ქერი, ხორბალი, შვრია არც ერთმა კომპანიამ ამ პირობებით არ დააზღვია და იმის გამო, რომ წყალმა თუ ქარმა მარცვლოვანი კულტურები აღმოსავლეთ საქართველოში პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა, ფერმერები ნულზე დარჩნენ და თანაც — მოტყუებული.** სამაგიეროდ, კახეთში, ერთ-ერთმა ფერმერმა 40 ჰექტარზე გაშენებული საზამთრო დააზღვია სწორედ იმ პირობებით, რომლებიც სახელმწიფომ შესთავაზა, მაგრამ ძლიერი წვიმების შედეგად ნიაღვარმა დათესილი მიწის თითქმის ნახევარი წაიღო და ამოსული საზამთროს ჩითილებიც გაიყოლა. ჰოდა, მივიდნენ სადაზღვევოდან, აზომეს, აწონეს და...

**„ასე თქვეს, ნიაღვარმა მხოლოდ შვიდი სანტიმეტრი მიწა მოწყვიტა, ხელშეკრულებაში კი გვიწერია, რომ ათი სანტიმეტრის შემთხვევაში ვიხდით სადაზღვევო თანხებსო. არადა, მტკაველზე ამოსულ საზამთროს რამხელა ფესვი აქვს, ყველამ იცის და ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ სანტიმეტრზე წაიღო მიწა ნიაღვარმა, ფაქტი ის არის, რომ, სადაც საზამთრო მეთესა, ახლა ცარიელი ადგილია, ფესვიანად წაიღო წყალმა ყველაფერი, მაგრამ სადაზღვევო არაფერს იხდის“,** — ამბობს ფერმერი და საჩივლელადაც ვერსად მიდის — დასკვნა უკვე გამოტანილია.

ამის შემდეგ **სხვა ხელშეკრულებებით დავინტერესდით და ყველა სადაზღვევოს ისეთი პირობები უწერია, აპოკალიფსი თუ დაიწყება, თორემ შანსი არ არის, სხვა შემთხვევაში ვინმემ ფული მიიღოს. და ეს ყველაფერი სახელმწიფო პროგრამით ხორციელდება.** მათ კი, ვისაც დაზღვევა არ ჰქონდა და ვინც ულუკმაპუროდ დარჩა, სახელმწიფოს იმედი ჰქონდა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ სამეგრელოში 750 ფუტკრის სკა მოსტაცა მოვარდნილმა წყალმა ერთ-ერთ მეფუტკრეს და ეს რა დონის ზარალია, თვითონ განსაჯეთ. შესაბამისად, მოსავალდაკარგული გლეხები სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებას ელოდნენ და მოისმინეს კიდეც.

**„სახელმწიფო სტიქიის შედეგად დაზარალებულ გლეხებს არ და ვერ დაეხმარება. არ უნდა იყოს ცრუ მოლოდინები, არ იქნება არანაირი კომპენსაცია. მაშინ, როდესაც აგროდაზღვევის ინსტრუმენტი მოქმედებს, ასეთი ერთჯერადი ჩარევები არასამართლიანია. ზარალი მილიონობით არის, მისი ანაზღაურების ფუფუნება ბიუჯეტს არ აქვს. საჭიროა, სოფლის მეურნეობის ძირითად საშუალებებში ჩაიდოს ინვესტიციები სექტორის გასაძლიერებლად და არა ერთჯერადი დახმარებები“,** — განაცხადა **ლევან დავითაშვილმა.**

ეს არ იყო ერთადერთი განცხადება, რომელმაც გლეხები დაზაფრა. მინისტრმა რთველზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2013 წელს დაწყებული პროგრამა, რომელიც ყურძნის სუბსიდირებას ისახავდა მიზნად, აღარ გაგრძელდება.

„წელს ყურძნის სუბსიდირება არ გვექნება საფერავში. მოლოდინი ისეთია, რომ სუბსიდირება არ გვექნება არც თეთრ ყურძენზე. ჩვენ ბოლო სამი წლის განმავლობაში დავიწყეთ გარკვეული ინსტრუმენტების შექმნა, რომ ბრენდის ინდუსტრიამ სპირტის გამოსაყოფი რქაწითელი დააფინანსოს. ეს არის დღის გეგმა. რთველის დროს გვექნება კომუნიკაცია. ანუ ეს არის მთავრობაში შეჯერებული სცენარი, მაგრამ მოლოდინები გვაქვს, რომ საფერავსა და რქაწითელზე არ გვექნება სუბსიდირება“, — დასძინა დავითაშვილმა.

რა გამოდის? — **კახელმა მევენახეებმა ახლა შეიტყვეს, რომ დაპირება, რომელიც შარშან გაიცა და გასაგებად აუხსნეს, საფერავი ჩვენი სიმდიდრეა და სუბსიდირება აუცილებლად გაგრძელდებაო, წელს, უბრალოდ, აღარ იქნება. შესაბამისად, ყურძენი (განსაკუთრებით რქაწითელი) ბაზარზე ჩალის ფასიც არ ეღირება და ღვინის მწარმოებელი კომპანიები მას ძალიან, ძალიან იაფად შეისყიდიან და შეისყიდიან იმისთვის, რომ შემდეგ ღვინო გააკეთონ და ბოთლს, სულ ცოტა, ათი ლარი დაადონ, მაშინ, როცა ღვინის თვითღირებულება ერთი ლარიც არ იქნება.**

და ერთი საინტერესო დეტალიც: რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი **ირაკლი კაკრიაშვილი** ამბობს, რომ მსოფლიოსთვის ხორბლის ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელი რუსეთი, ძირითადად, რუსულ, ე.წ. უფხო ჯიშზეა ორიენტირებული, მაგრამ იქ ადგილობრივი წარმოებისა და საშინაო მოხმარებისთვის მაქსიმალურად ცდილობენ, ქართული ჯიშის ხორბალი გამოიყენონ და მიზეზი ჩვენი ქართული ხორბლის უნიკალური თვისებებია. ეს მაშინ, როცა საქართველოში გვაიძულებენ, ამერიკული ჯაგერის ჯიშის ხორბალი დავთესოთ, — დიდი მოსავლიანობა აქვსო... არადა, **ჯაგერის ჯიშის ხორბალი მხოლოდ ცხოველებისა და ფრინველებისთვის თუ ვარგა, ადამიანებისთვის კი საუკეთესო ქართული ხორბალია, სწორედ ის, რომელიც არ დააზღვიეს და რომელიც თურმე უნდა გადავაჯიშოთ.**

ეს არის ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ.

შაპიტო კი საქართველოს მასშტაბით მოგზაურობას განაგრძობს...

**ბესო ბარბაქაძე**

მსოფლიო

## მანჩესტერში მოწყობილ ტერაქტზე პასუხისმგებლობა «ისლამურმა სახელმწიფომ» დაიკისრა



**22 მაისს ინგლისის ქალაქ მანჩესტერში სტადიონზე, სადაც მომღერალ არიანა გრანდეს კონცერტი მიმდინარეობდა, ტერაქტი 23 წლის სალმან აბედიმ მოაწყო, — იუწყება ტელეარხი CBS News. აფეთქებაზე პასუხისგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაიკისრა.**

„ისლამური სახელმწიფო“ ალიარებით განცხადებაში ტერორისტის ვინაობას არ ასახელებს, თუმცა დაჯგუფების მებრძოლები ახალი თავდასხმებით იმუქრებიან.

ქალაქ მანჩესტერის სტადიონზე მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 22-მდე მოიმატა, მათ შორის არიან ბავშვები. დაშავდა 60-მდე ადამიანი.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დასავლური პრინციპების ძალდატანებითი ტრანსპლანტაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მონური მორჩილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები დამღუპველია არა მხოლოდ თანამედროვე საქართველოსთვის, არამედ ქართველი ერის მომავალი თაობებისთვისაც კი... მიწის ყიდვა-გაყიდვა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სიღატაკეში იმყოფება და ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის, შეუძლებელია ქართველთა ინტერესებს ემსახურებოდეს.**

# მიწის უცხოელებისთვის მიყიდვიდან გამომდინარე საფრთხეებზე პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია 20 წლის წინათ გვაფრთხილებდა

**საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო. მას შემდეგ კონსტიტუციაში უამრავი ცვლილება შევიდა, განსაკუთრებით — მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში, როდესაც ისე ჭრეს და კერეს სახელმწიფოს უზენაესი კანონი, როგორც მოესურვებოდათ, რათა სააკაშვილისთვის, როგორც მომავალი პრემიერმინისტრისთვის, მოერგოთ. ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაიწყო კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად მზადება. საკონსტიტუციო კომისიის პროექტის მიხედვით, კონსტიტუციაში სხვა ცვლილებებთან (პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა; პრეზიდენტის, დეპუტატისა და მოსამართლის ასაკობრივი ცენზის განსაზღვრა; საარჩევნო ბლოკების აკრძალვა; გადასახადების დაწესების ან მათი მომატებისთვის რეფერენდუმის ჩატარება და ა.შ.) ერთად უნდა შესულიყო შემდეგი ცვლილებები:**



**კონსტიტუციაში უნდა ჩაწერილიყო ქორწინების განსაზღვრება, რომ ქორწინება არის „ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“,** მაგრამ ამ განსაზღვრებაზე, როგორც ჩანს, ჩვენი „დასავლელი მეგობრების“ მოთხოვნით და ადგილობრივი არასამთავრობოების წინააღმდეგობის გამო თავი შეიკავეს. არადა, საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, კონსტიტუციაში არა მხოლოდ ოჯახის დეფინიციაცია უნდა ჩაიწეროს, არამედ უნდა გაუქმდეს ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც „სიბილწის ტროას ცხენი“ უწოდეს.

ამას გარდა, **კონსტიტუციაში არ იქნება ჩანაწერი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვის აკრძალვის თაობაზე.** ეს საკითხი ორგანული კანონით დარეგულირდება და შეიქმნება ახალი კანონი მიწის შესახებ.

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების ჩამონათვალიდან სწორედ ბოლო ორმა საკითხმა გამოიწვია საზოგადოების ვნებათაღელვა; ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილს მიაჩნია, რომ მიწა უცხოელებს არ უნდა მივყიდოთ, რადგან უცხოელი საქართველოში მიწას იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს, რაც სპეკულაციური ოპერაციაა და ქვეყნის ეკონომიკისთვის სასარგებლო არ არის; ან ყიდულობს იმისთვის, რომ თავისიანები ჩამოიყვანოს და დაასახლოს, რაც საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს უქმნის საფრთხეს.

თბილისში კონსტიტუციის საჯარო განხილვისას ახალგაზრდებმა სწორედ მიწის საკითხზე მოუწყვეს ობსტრუქცია პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძეს**, რომელმაც მათ „ახალგაზრდა კომუნისტები“ უწოდა და მოუწოდა, ილია ჭავჭავაძის გზით ევლოთ, მაგრამ დაავიწყდა, უფრო სწორად არ იცოდა (რა გასაკვირია?), რომ 1874 წელს ილია ჭავჭავაძემ საადგილმამულო ბანკი სწორედ საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად შექმნა, რათა ადამიანებს ქონება, უწინარესად, მიწა არ გაეყიდათ.

მიწის უცხოელებისთვის მიყიდვით გამოწვეულ საფრთხეებზე ჯერ კიდევ 20 წლის წინათ გვაფრთხილებდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.** აი, რას ამბობდა ის 1997 წლის დეკემბერში გაზეთ „საქართველოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

*** „ქართველი კაცისათვის მიწა ღვთით ბოძებული სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე არ შეიძლება ვაჭრობის მიზნით გამოიყენებოდეს. მიწამ ადამიანს შემოსავალი დახარჯული შრომისა და დაღვრილი ოფლის საფასურად უნდა მისცეს. ამასთანავე, ღმერთმა მიწა, ერთ თაობას კი არა, მთელს ერს უბოძა, ერი კი მომავალ, ჯერ არდაბადებულ თაობებსაც მოიცავს. ამიტომ დღეს მცხოვრებ ადამიანთაგან არავის აქვს უფლება, განაგებდეს იმას, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის“.**

## «ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია!»

შეუძლებელია არ დაეთანხმო ბატონ ალექსანდრეს, რადგან ისედაც მცირემიწიან საქართველოში, რომლის ტერიტორიაც, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩათვლით, სულ 69,7 ათასი კვ.კმ-ია, არ შეიძლება ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი — მიწის უცხოელებისთვის მიყიდვა, გადაწყვიტოს ერთმა თაობამ, როგორი ბრძენიც უნდა იყოს ის. არადა, **დღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 5-5,5%, ანუ 50-55 ათასი ჰექტარი მიწა უცხოელების საკუთრებაა.**

* აი კიდევ ერთი ამონარიდი ალექსანდრე ჭაჭიას 20 წლისწინანდელი ინტერვიუდან:

**„მიწის შესახებ კანონის განხილვის პერიოდში ქართველი გლეხები, ანუ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ამუშავებენ მიწას და რომლებისთვისაც ქალაქელ „რეფორმატორებს“ ამ მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა (ყოველ შემთხვევაში, ასე გვიხსნიან ამ კანონის მიღების აუცილებლობას) სურთ, დაჟინებით სთხოვდნენ ხელისუფლებას, არ მოქცეულიყო ასე, რადგან ხვდებოდნენ, რომ ეს კანონი მხოლოდ ზიანს მოგვაყენებდა, მაგრამ ჩვენმა „განათლებულმა“, „სწავლულმა“ მინისტრებმა გლეხთა მოსაზრება მათი „ჩამორჩენილობის“, „ველურობისა“ და „არაცივილიზებულობის“ გამოვლენად ჩათვალეს. მათი ლოგიკა ხომ ასეთია: ამერიკასა და კანადაში ნანახი ჰყავთ მიწის მფლობელი ფერმერები; რადგან ამერიკელები და კანადელები „ცივილიზებული“ ხალხია, ე.ი. საქართველოშიც მათ მსგავსად უნდა მოვიქცეთო. გარდა ამისა, თუ არ იქნება კანონი მიწის გაყიდვის შესახებ, სავალუტო ფონდი კრედიტებს არ გამოყოფს, ხოლო თუ კრედიტები არ იქნება, რაღა დაიტაცონ? მიწის შესახებ კანონის თავს მოხვევის მექანიზმი „კლასიკურად“ პრიმიტიული იყო. გერმანიაში მიავლინეს რომელიღაც ახალგაზრდა იუსტიციის სამინისტროდან, რომელმაც იქ მოქმედი კანონის ტექსტი ჩამოიტანა, თარგმნეს ეს ტექსტი ქართულად (ისიც შეცდომებით) და აამოქმედეს პროპაგანდისტული მანქანა ლოზუნგით: ასეა მოწყობილი ცივილიზებულ გერმანიაში და ასევე უნდა მოვაწყოთ ჩვენც, თუ გვსურს ცივილიზებულნი ვიყოთო. ნუთუ ნაკლებ ცივილიზებულია ჰოლანდია, სადაც ფერმერებს მიწა იჯარით, მემკვიდრეობითობის უფლებით ექლევათ, ან ისრაელი, სადაც მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის და მისი დამუშავების კოლექტიური ფორმებია მიღებული (კიბუცები)? სხვათა შორის, ეს ორი პატარა ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ეფექტიანობით არც ერთ მოწინავე ქვეყანას არ ჩამოუვარდება“.**

ქართველი პოლიტოლოგის მიერ 20 წლისწინანდელი ვითარების შეფასება ზუსტად მიესადაგება დღევანდელობას — პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და მისი მრჩევლები ცდილობენ, დასავლელი პატრონების ინტერესები გაითვალისწინონ და კონსტიტუციაში არ შეიტანონ აკრძალვა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე. იმ ადამიანებს კი, რომლებსაც საწინააღმდეგო მოსაზრება აქვთ (ასეთი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობაა) კომუნისტებსა და რუსეთუმეებს უწოდებენ. აი, რაზე აფრთხილებდა საზოგადოებას პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ილებდნენ კანონს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის შესახებ:

*** „დასავლური პრინციპების ძალდატანებითი ტრანსპლანტაციის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისადმი მონური მორჩილების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები დამღუპველია არა მხოლოდ თანამედროვე საქართველოსთვის, არამედ ქართველი ერის მომავალი თაობებისთვისაც. ასეთი გადაწყვეტილებების რიცხვს მიეკუთვნება პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მიწის შესახებ, რომელიც მის კერძო საკუთრებაში გადაცემას ითვალისწინებს. მიწის ყიდვა-გაყიდვა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სიღატაკეში იმყოფება და ფიზიკური გადარჩენისთვის იბრძვის, შეუძლებელია ქართველთა ინტერესებს ემსახურებოდეს.**

**კანონში არსებული დებულება უცხოელების მიერ საქართველოში მიწის ყიდვის აკრძალვის შესახებ ისეთი უსუსურია, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს. ანალოგიური აკრძალვა პოლონეთშიც იყო მიღებული, მაგრამ, როდესაც უცხოელების მიერ ცრუმაგიერი პირების მეშვეობით მიწის შესყიდვის პროცესმა გარკვეულ დონეს მიაღწია, ფაქტობრივმა მფლობელებმა უკმაყოფილება გამოხატეს და საერთაშორისო სავალუტო ფონდმა პოლონეთისგან აკრძალვის გაუქმება მოითხოვა, რაც სეიმმა დაუყოვნებლივ შეასრულა კიდეც, ასე მოხდება საქართველოშიც“** (გაზეთი „საქართველო“, 1997 წლის დეკემბერი).

დასავლური პრინციპების ძალდატანებით გადმოტანაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკო- ▶

## «ქართველი კაცისთვის მიწა ღვთით ბოძებული სიმდიდრეა. ეს სიმდიდრე არ შეიძლება ვაჭრობის მიზნით გამოიყენებოდეს. მიწამ ადამიანს შემოსავალი დახარჯული შრომისა და დაღვრილი ოფლის საფასურად უნდა მისცეს. ამასთანავე, ღმერთმა მიწა, ერთ თაობას კი არა, მთელს ერს უბოძა, ერი კი მომავალ, ჯერ არდაბადებულ თაობებსაც მოიცავს. ამიტომ დღეს მცხოვრებ ადამიანთაგან არავის აქვს უფლება, განაგებდეს იმას, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის»

**კოაბიტაცია მონანიების შემდეგ მიტევებას ნიშნავს. მე მონანიება ვერსად დავინახე. ჩვენს საზოგადოებაში არავინ იყო მზად, ეღიარებინა საკუთარი დანაშაული — მურუსიძემ მოინანია? ადეიშვილმა მოინანია? სხვებმა მოინანიეს? ნაცვლად იმისა, რომ „ოცნებამ“ დაეწყო ახალ კადრებზე ზრუნვა, ზურგი გაუმაგრა ძველ მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს. დღეს არავინ ცდილობს ახალი თაობის სელექციას, იმიტომ, რომ სელექცია ვერ იტანს ნეპოტიზმს.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მენდაციებისადმი მონურ მორჩილებასა და ამ რეკომენდაციების შედეგად მიღებულ დამღუპველ გადაწყვეტილებებზე არაერთი ქართული თუ უცხოელი ექსპერტი ლაპარაკობდა, მაგრამ საინტერესოა იმჟამინდელ ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებიც. აი რას წერდა გაზეთი „მერიდიანი 44“ 1997 წლის ივნისში:

„აღსანიშნავია, რომ **შადმან ვალავისთვის** (საერთაშორისო სავალუტო ფონდში საქართველოს იმჟამინდელი „კურატორი“ — გ.გ.) საქართველოს „პროგრესი“ და „წარმატება“ ყოველთვის რეკომენდაციების განუხრელ შესრულებასთან არის დაკავშირებული... მაგრამ ეს „პერმანენტული წარმატება“ სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება საქართველოს და ზღუდავს მის სუვერენიტეტს ეკონომიკურ სფეროში. მაგალითისთვის შადმან ვალავის ბოლო დემარშიც კმარა. გასულ კვირას მან მრისხანე წერილით მიმართა საქართველოს პარლამენტს და კატეგორიულად მოითხოვა, დაუყოვნებლივ შეიკრიბოს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, გააუქმოს მის მიერვე მიღებული „საგადასახადო კოდექსი“ იმ ნაწილში, რომელიც დღგ-სგან ზოგიერთი სახის შემოსავლის გათავისუფლებას ეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შადმან ვალავი გვემუქრება საკრედიტო ხაზის ბლოკირებით, რაც ინფლაციას, ლარის გაუფასურებასა და ეკონომიკურ სტაგნაციას გამოიწვევს.

რუსეთს (და ზოგიერთ სხვა „მოკავშირე რესპუბლიკას“) ისინი სხვაგვარად ექცევიან. ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ კომპრომისზეც მიდიან და, თუ, მაგალითად, რუსეთი მოთხოვნებს არ ასრულებს, **მიშელ კამდესიუ** თავად იკადრებს ხოლმე მოსკოვში ჩაბრძანებას და მოთმინებით იტანს **ელცინის** საჯარო დაცინვას. როგორც ჩანს, მთავარ როლს ამ შემთხვევაში პოლიტიკური გავლენა, მძლავრი დიასპორა (სხვა რესპუბლიკებისათვის) და პრინციპული პოზიცია ასრულებს. საქართველოს არც პირველი აქვს და არც მეორე. ბუნებრივია, ვერც მეტისმეტ „პრინციპულობას“ გამოიჩენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ვალავი საერთოდ გადაგვიკეტავს ფინანსურ წყაროს და არ მოერიდება სსფ-ს პრესტიჟის ერთგვარ შელახვასაც“.

უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის უმწვავეს პრობლემაზე, რომელიც ქართველი ერის არსებობას ემუქრება, ალექსანდრე ჭაჭია გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის“ 2013 წლის ივნისში მიცემულ ინტერვიუშიც ლაპარაკობდა:

*** „თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ, ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს“.**

მიწის გაყიდვის საკითხზე ქართულ პოლიტიკურ წრეებში დღეს აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე მიყიდვა დაუშვებელია, ზოგი კი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. არადა, ყველა განვითარებული ქვეყანა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსი აქვს, უმკაცრესად აკონტროლებს მისი ყიდვა-გაყიდვის საკითხებს. საქართველოში კი მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა უცხოელებისთვის მიწის მიყიდვაზე (ეს გადაწყვეტილება მიიღო ამერიკული გრანტებით გულუხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“** მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელის საფუძველზე. ამ ხნის განმავლობაში უცხოელებზე მიწის გაყიდვას მხარს უჭერდნენ „ნაცმოძრაობა“, ,,გირჩი“, ,,ევროპული საქართველო“ და მათი სატელიტი ჯგუფები) მეცნიერებათა აკადემიის რეკომენდაციით დაწესებული მორატორიუმი, ქართული მიწის გაყიდვის პროცესი დაჩქარდა — **საქართველოში მიწას ყიდულობს ნებისმიერი უცხოელი, რომელსაც მოესურვება, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ინდოელები, მათ მხოლოდ წნორში 200 ჰა მიწა დაისაკუთრეს.**

ჩვენი პოლიტიკოსები უცხოელებისთვის მიწის მიყიდვას ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობით ხსნიან და ამბობენ, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკას განავითარებს. არადა, მოსაზრება, რომ მიწის გაყიდვით ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდება, მცდარია, რადგან საქართველოში მიწის გაყიდვას არც დიდი ეკონომიკური აქტივობა მოჰყოლია და არც ეკონომიკის განვითარება.

**ამ ვითარებას ასე აფასებდა ალექსანდრე ჭაჭია „საქართველოსა და მსოფლიოსთვის“ 2013 წლის ივნისში მიცემულ ინტერვიუში:**

**„ეს ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა გამორჩეული ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა აზრზე იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ჩამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ. მახსოვს ტელერეპორტაჟი კახეთიდან, რომელშიც ჟურნალისტმა ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღონებულმა შეხედა მას და უპასუხა: „გავყიდი, შვილო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?“. ჩვენს „ცივილიზებულ“ ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო მოსავალი რომ მიიღო, მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა.შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას... ღმერთმა მიწა გვიწყალობა, რათა თაობიდან თაობამდე დაგვემუშავებინა და გვესარგებლა მისი ნაყოფით, მაგრამ ღმერთის წყალობის გაყიდვის უფლება არ გვაქვს. თავის დროზე ძალიან გამიკვირდა, რომ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გამოთქვა პროტესტი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“.**

და მართლაც — გაპარტახებულ ქვეყანაში გლეხი, რომელსაც არ აქვს მიწის დასამუშავებლად საჭირო ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა.შ., შეეცდება მიწის გაყიდვას და ამ მიწას უცხოელები იყიდიან, რადგან ქართველებს არათუ მიწის შესაძენად, ლუკმაპურისთვის საჭირო ფულის გამომუშავებაც უჭირთ; ხოლო მცირემიწიანი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

ხოლო, თუ კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაიწერება, რომ უცხოელს არ შეუძლია მიწის შეძენა, ეს იქნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის თვალსაზრისის გათვალისწინება. ეს მით უფრო საჭიროა, როცა გვაქვს ისტორიული გამოცდილება — **ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე საადგილმამულო ბანკი სწორედ ქართველი ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქონების — მიწის — შესანარჩუნებლად შექმნა, დღეს კი არც ილია გვყავს და არც საადგილმამულო ბანკი არსებობს, დღეს საქართველოს უცხო ძალების ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება მართავს...**

ამიტომ არის კვლავაც აქტუალური ალექსანდრე ჭაჭიას განცხადება: **„ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია!“**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

# «გავა დრო, შეიცვლება მთავრობა და ეს მოსამართლეები ისევ დაიწყებენ საშინელი განაჩენების გამოტანას»

**„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა საზოგადოებას. გვახსოვს 2009 წელი, როცა მოსამართლეები განსაკუთრებული ცინიზმით ეპყრობოდნენ უკანონოდ დაკავებულებს და უსინდისოდ ლახავდნენ მათ უფლებებს. იმ საშინელი რეჟიმის მოსამართლეები დღესაც ინარჩუნებენ სავარძლებს. მოქმედებს თუ არა „ქართული ოცნების“ პირობებში შერჩევითი სამართალი? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება.**



**— სააკაშვილისდროინდელი გახმაურებული საქმეების მოსამართლეები დღემდე რჩებიან სასამართლო სისტემაში. თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ ისინი, ვინც „ქართულმა ოცნებამ“ დააწინაურა ან, დასჯის ნაცვლად, თანამდებობა შეუნარჩუნა?**

— მათი პერსონალური მონაცემები არ მაქვს, მაგრამ აღმაშფოთებელია, საერთაშორისო დონეზეც კი (სტრასბურგის სასამართლოს მიერ) არაობიექტურობაში მხილებული მოსამართლეები თანამდებობებს კვლავ რომ ინარჩუნებენ. ჩვენს თვალწინ მოხდა **მურუსიძის** რეაბილიტაცია. დღეს მას ფრთები აქვს შესხმული და, ადრე თუ ჟურნალისტებს ემალებოდა, ახლა თვითონ ეძებს მიკროფონს პოზიციის გამოსახატავად.

**— სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში თეა წულუკიანი ამბობდა, რომ მოსამართლეები: ნაირა გიგიტაშვილი, დათო ახალბედაშვილი და ვაჟა ფუხაშვილი უნდა ჩამოშორდნენ სასამართლო საქმიანობას, მაგრამ დღეს ისინი კვლავ თანამდებობებზე რჩებიან, ეს არის სამართლიანობის აღდგენა?**

— რა თქმა უნდა, ეს არ არის სამართლიანობის აღდგენა. წულუკიანი კარგი სტუდენტი იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მორალურად პრინციპული ადამიანია. მან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრჯერ შეიცვალა თვალსაზრისი. სულ სხვა პიროვნება იყო, როცა ზურგს ალასანია უმაგრებდა. როდესაც ალასანია ივანიშვილის თანამებრძოლი იყო, მაშინ წულუკიანი თავს უფლებას აძლევდა, პრინციპული განცხადებები გაეკეთებინა, მაგრამ შემდეგ თანამდებობა ამჯობინა პარტიულ სოლიდარობას.

სამართლიანობის აღდგენა არ არის სამი-ოთხი ადამიანის დაჭერა.

**— ნათია ჯორბენაძე, გიორგი ტყავაძე, მერაბ ლომიძე, მირანდა ირემაძე — ეს მოსამართლეები დღესაც იკავებენ თანამდებობებს. დღესაც შერჩევითი სამართალია ქვეყანაში?**

— დღეს სასამართლო სისტემაში სამართალი არ არსებობს, ინტელექტის საშინელი დეფიციტია. ევა გოცირიძემ განაცხადა, — ნახეთ საშინელი რეჟიმის მოსამართლეებს ახლა როგორი სამართლიანი განაჩენები გამოაქვთო. აქ უკვე ლოგიკის დეფიციტია. გავა დრო — 10-15 წელიწადი, მთავრობა შეიცვლება და ეს მოსამართლეები ისევ დაიწყებენ საშინელი განაჩენების გამოტანას.

**— პროკურატურის თანამშრომლებმა გლდანის მერვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ექვსი თანამშრომელი დააკავეს. მათ ბრალად ედებათ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობა. როგორ ფიქრობთ, ეს და სხვა მსგავსი ფაქტები ხომ არ მიუთითებს სისტემურ დანაშაულზე, რომელზეც ხელისუფლებაში მოსვლამდე საუბრობდნენ როგორც „ოცნების“ წარმომადგენლები, ასევე, ექსპერტები, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი „ქართულმა ოცნებამ“, დანაშაულებრივი სისტემის გასამართლების ნაცვლად, შემოგვთავაზა კოაბიტაცია და მურუსიძე, როგორც ჭეშმარიტება საბოლოო ინსტანციაში, რატომ?**

— კოაბიტაცია მონანიების შემდეგ მიტევებას ნიშნავს. მე მონანიება ვერსად დავინახე. ჩვენს საზოგადოებაში არავინ იყო მზად, ეღიარებინა საკუთარი დანაშაული — მურუსიძემ მოინანია? ადეიშვილმა მოინანია? სხვებმა მოინანიეს? ნაცვლად იმისა, რომ „ოცნებას“ დაეწყო ახალ კადრებზე ზრუნვა, ზურგი გაუმაგრა ძველ მოსამართლეებს, პროკურორებს, გამომძიებლებს. დღეს არავინ ცდილობს ახალი თაობის სელექციას, იმიტომ, რომ სელექცია ვერ იტანს ნეპოტიზმს.

**— კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს. როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებს, საერთოდ გაუქმდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი იმის გათვალისწინებით, რომ დე ფაქტო საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა. რა საჭიროა არსებითად უფუნქციო პრეზიდენტისა და მისი აპარატის შენახვა?**

— ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, სრულიად უუფლებო პრეზიდენტს აირჩევს 300 მეხოტბე. ახლა ტელეეთერიდან გვესმის, რომ პრეზიდენტს არანაირი იურიდიული უფლება არ აქვს და როგორ შეიძლება, საყოველთაო წესით აირჩიონ. სამაგიეროდ, პრეზიდენტს მორალური უფლებები შეუნარჩუნდება და მმართველი პარტია იძულებული შეიქნება, ანგარიში გაუწიოს მის ინტერესებს. პრეზიდენტის აპარატი ჩვენ უნდა შევინახოთ და გეკითხებით: რატომ უნდა ვარჩინოთ მუქთახორა, უუფლებო პრეზიდენტი?

ესაუბრა **ეკა ზარნაძე**



# «აღმაშფოთებელია, საერთაშორისო დონეზეც კი არაობიექტურობაში მხილებული მოსამართლეები თანამდებობებს რომ ინარჩუნებენ»

ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნამდვილად აღსადგენია 1990-იანების სახელოვანი ტრადიცია — კვერცხებიანი მაყურებელი, რომელიც აიძულებს მავანს, ან ხარისხი გააუმჯობესოს, ან სულაც სხვა სფეროში მოსინჯოს ძალები... გამოთავისუფლებულ ადგილებზე კი მართლაც ნიჭიერებს მიეცეთ გზა, რადგან ნებისმიერი უნიჭოს ზეობა თავისთავად გულისხმობს ვერდანახული ნიჭიერის დაკარგვასა და დაჩაგვრას.**

# ანრი ვერ შესწვდა ძეხვსაო...

**ქართველებს კვერცხებიანი მაყურებელი, მსმენელი და მკითხველი გვჭირდება. ყურადღება მიაქციეთ: სიტყვა კვერცხებიანი განგებ არ ჩავსვი ბრჭყალებში, რადგან, გარდა იმისა, რაც თქვენ იგულისხმეთ, პატივცემულო მკითხველო, ასეთი მსმენელი, მაყურებელი და მკითხველი ჩვენ პირდაპირი გაგებითაც გვჭირდება.**



**სად, როდის და რაში დაინახა ანრი ჯოხაძემ «მთელი საქართველოს» თანხმობა იმაზე, რომ თაკო გაჩეჩილაძე მსოფლიო დონის მომღერალია, ვერ გეტყვით. აქ საყურადღებო ისაა, რომ კომპოზიცია, რომლითაც თამარა ხსენებულ კონკურსზე გამოვიდა და ჩაფლავდა, სწორედ «კომპოზიტორ» ანრი ჯოხაძის შემოქმედება იყო. კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ წინის წინა «ევროვიზიაზე» თვით ანრი ჯოხაძე ჩაფლავდა, როგორც მომღერალი...**

კვერცხებიან მაყურებელში (სულ ერთი და იგივე რომ არ ვწეროთ, აწი, სადაც მაყურებელს დავწერთ, ავტომატურად მსმენელი და მკითხველიც იგულისხმეთ) ბევრმა შეიძლება წარმოიდგინოს მკაცრი, დაუნდობელი, მომთხოვნი მაყურებელი და მართალიც იქნება. ოღონდ აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, ამასთანავე, აუცილებლად გვჭირდება მაყურებელი ხელში ქათმის კვერცხებით, რომელიც არც ისე ნიჭიერ გამომსვლელს ამ კვერცხებს დაუშენს და სცენაზე მეორედ გამოსვლის სურვილს დააკარგვინებს.

ეს ასე ხდებოდა ადრეც — 1990-იანებში კი არაერთი მსგავსი შემთხვევა საკუთარი თვალითაც მინახავს. უნდა ვაღიარო, ერთხელ, ერთ-ერთი „საკავეენო" გამოსვლისას, თავადაც გავხდი ასეთი კვერცხებიანი მაყურებლის მსხვერპლი და ღირსიც ვიყავი.

მაშინ კი მეწყინა, მაგრამ, სამაგიეროდ, მას შემდეგ, სანამ სცენაზე ფეხს შევდგამდი, კარგად ვემზადებოდი, ვცდილობდი, სასაცილო სცენარები მქონოდა და მოდი, წავიტრაბახებ, ყველა დანარჩენი ჩემი გამოსვლა სცენაზე, თუნდაც გუნდთან ერთად და თუნდაც მონოლოგის სტილში, მხოლოდ აპლოდისმენტებითა და დადებითი შეძახილებით დამამახსოვრდა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ მაყურებელმა დაფასებაც იცის და „შეჯანჯღარებაც" შეუძლია.

თუმცა პრობლემა არის ის, რომ, რასაც ბოლო წლებში ვუყურებ, **უფრო და უფრო მცირდება კი არა, შეიძლება ითქვას, საერთოდაც ქრებიან ყველა სფეროში ისეთი ადამიანები, რომლებსაც მაყურებლისგან, მსმენელისგან თუ მკითხველისგან „შეჯანჯღარების" სურვილი აქვთ და მართალ, სწორ, აუცილებელ „ალიყურს" ისე აღიქვამენ, როგორც საჭიროა.**

საქმე მარტივადაა — ასეთი „ალიყურის" გააზრების, გათავისებისა და გათვალისწინების უნარი ისევ რეალურად ნიჭიერ ადამიანებს, ღირებულ შემოქმედებს აქვთ, ხოლო უნიჭოთათვის მთავარია, „გაძვრნენ" და სულ არ აინტერესებთ, რეალურად რას ფიქრობს საზოგადოება მათზე.

სამწუხაროდ, ეს ასე ჩვენს ქვეყანაში უკვე ყველა სფეროში ხდება.

ახლახან მომღერალ **თაკო გაჩეჩილაძის** სამარცხვინო კრახი „ევროვიზიის" კონკურსზე ამის კიდევ ერთი დასტურია და, სამწუხაროდ, არა ერთადერთი.

თავის დროზე, უგემოვნო, დაუხვეწავი, არც ისე ნიჭიერი გამოსვლების გამო მისთვის ვინმეს კვერცხები რომ დაეშინა, ან იმუშავებდა და გაცილებით დაიხვეწებოდა, ან, საერთოდ, მიატოვებდა სცენას და სხვა საქმიანობას მოჰკიდებდა ხელს, რაც, ალბათ, მისთვისაც უკეთესი იქნებოდა და მაყურებლისთვისაც.

ისე არ მინდა გამომივიდეს, თითქოს მხოლოდ და პირადად თაკო გაჩეჩილაძეს ვერჩოდე რამეს. თავიდანვე ვთქვი: დღევანდელ საქართველოში ეს ყველა სფეროში ასეა-მეთქი.

უბრალოდ, **ის, რაც თამარას (ასეთი სახელით წარდგა „ევროვიზიის" მაყურებლის წინაშე თაკო გაჩეჩილაძე) დასაცავად და, როგორც ამბობენ, „გასაპრავებლად" ტელეკომპანია „იმედმა" იკადრა, მეტისმეტი იყო.**

**წესით, წაგებული, თან იმასაც გააჩნია, როგორ წაგებული — საფინალო ტურშიც რომ ვერ მოხვდა და მაყურებელს მხოლოდ ლოცვით დაამახსოვრა თავი (სხვათა შორის, ლოცვაში საქილიკოს ვერაფერს ვხედავ), ის და მისი გუნდი უნდა გაჩუმდნენ მაინც და გაიტრუნონ, სანამ ხალხს ეს კრახი მიავიწყდება.**

ამის ნაცვლად, ახალგაკომპოზიტორებული **ანრი ჯოხაძე** ტელეეთერში გაჰყვიროდა, — თაკო გაჩეჩილაძე მსოფლიო დონის მომღერალია და ამაში მთელი საქართველო მეთანხმებაო!

**მკითხველს კარგად ახსოვს, თუ როგორ ვერ შესწვდა საქართველოს სახელით ევროვიზიაზე წარგზავნილი ანრი ჯოხაძე კონჩიტა ძეხვს (ევროვიზიის გამარჯვებულ კონჩიტა ვურსტზეა საუბარი, ვურსტი გერმანულად ძეხვს ნიშნავს), არ აღმოჩნდა ანრის ეგზოტიკური ვოკალი და სასცენო უნარები საკმარისი ევროვიზიის სცენის დასაპყრობად. ჰოდა, საინტერესოა, ამ ძეხვს (ვურსტს) ვერ შეწვდენილმა მაესტრომ სად, როდის და რაში დაინახა „მთელი საქართველოს" თანხმობა იმაზე, რომ თაკო გაჩეჩილაძე მსოფლიო დონის მომღერალია, ვერ გეტყვით. აქ საყურადღებო ისაა, რომ კომპოზიცია, რომლითაც თამარა ხსენებულ კონკურსზე გამოვიდა და ჩაფლავდა, სწორედ „კომპოზიტორ" ანრი ჯოხაძის შემოქმედება იყო. კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ წინის წინა „ევროვიზიაზე" თვით ანრი ჯოხაძე ჩაფლავდა, როგორც მომღერალი...**

და ამდენი ჩაფლავების შემდეგ ადამიანი რომ გამოდის და ამაყად, რიხით გველაპარაკება, ერთდერთი რაც გაგვახსენდება, ყვარყვარე თუთაბერის სიტყვებია: „დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა! მე კიდევ ავცოცდები!"

ანუ სულ სხვაა პატიოსანი, ნამუსიანი ადამიანის შეცდომა და სულ სხვა — უტიფარი ადამიანის განზრახ მოქმედება. ნამუსიანი ადამიანი შეიძლება შეცდეს, ჩაფლავდეს და ამის გამო სირცხვილის განცდა დაეუფლება, საზოგადოებაში გამოჩენას მოერიდება, გაჩუმდება... ხოლო უტიფარი ადგება და საკუთარი ჩაფლავების „გასაპრავებლად" ვიღაცას რაღაცას გადააბრალებს, სისულელეებს იტყვის, ერთი სიტყვით, არავისი შერცხვება.

სწორედ ასეთი, „ყვარყვარული" პერიოდია დღეს საქართველოში.

იყო პერიოდი, როდესაც ჩვენი ქვეყნის არათუ შოუბიზნესისა და ხელოვნების სფეროში, არამედ მთავრობაშიც კი, უმეტესად ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც საკუთარი შეცდომა და საზოგადოების მხრიდან დაცინვა ან უარყოფითი დამოკიდებულება ძვირად ულირდათ, განიცდიდნენ სირცხვილის ჭამას; ან ბოდიშს იხდიდნენ, ან სხვა სფეროში ცდიდნენ ხოლმე ბედს.

ახლა კი **საქართველოში დამკვიდრებულია ყველაზე უფრო დამღუპველი ტენდენცია — თუკი ვინმეზე რამე უარყოფითი თქვი, გააკრიტიკე, გამოთქვი მოსაზრება, რომ ის არ არის სათანადოდ ნიჭიერი, მორჩა! იმ წამსვე გაწებებენ შურიანის, ბოღმიანის, ბოროტის, აგრესიულის იარლიყს.**

საზოგადოების გარკვეული და, ალბათ, დიდი ნაწილი უკვე მართლა დააშინეს ამით ე.წ. ელიტურმა წრეებმა და იმიტომაც ვიმკით ასეთ „ბრწყინვალე" შედეგებს ყველა სფეროში.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე იყო.

„რა ბოროტი და შურიანი ერი ვართ ეს ქართველები, იმის ნაცვლად, რომ თაკოს გვერდით დავდგომოდით, მომენტი ვუშოვეთ და ვლანძღავთ".

„აუ, ასეთი ბოღმიანი და ღვარძლიანი ხალხი რატომ ვართ? გამხნევების ნაცვლად გადავუარეთ საცოდავ თაკო გაჩეჩლაძეს".

**და კიდევ სხვა მსგავსი, ყოვლად რეგვნული ფრაზები ბლომად დაყარეს სოციალურ ქსელებში „ელიტარებმა" და მათ ფეხის ხმას აყოლილმა „ელიტარობის მსურველებმა".**

ანუ, გამოდის, ვინც უნდა შექმნას გარკვეული ჩაკეტილი წრეები რომელიმე კონკრეტულ სფეროში, მერე ჩაფლავდეს საერთაშორისო მასშტაბით და ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიოს, ჩვენ მაინც უნდა ვაქოთ, ვადიდოთ, ვეალერსოთ, რადგან ოფიციალურად „ხელოვნების მუშაკები" ჰქვიათ; და არაფერი ვთქვათ უარყოფითი, თორემ შურიანები, ბოღმიანები, ჩასაფრებულები, ბოროტები და კიდევ ათასი უბედურებები ვიქნებით?

**უნდა ვაბრალოთ „ჩვენების" წარუმატებლობა ხან იმას, რომ „ევროვიზია პოლიტიკური კონკურსია", ხან იმას, რომ „მტრები გვყავს, ბატონო, მტრები" და ხან კიდევ ათას ხელოვნურ მიზეზს?**

მხოლოდ მომღერლებზე და კონკრეტულად თაკო გაჩეჩილაძეზე რომ არ გამომივიდეს საუბარი, გავიხსენებ ანალოგიურ საბაბს, რომლითაც საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები ამართლებდა ხოლმე თავის სამარცხვინო დამარცხებებს წლების განმავლობაში, — ცუდი მოედანია, მინდორი უხარისხოა, გაზონი არ ვარგა და ნიადაგია უსწორმასწოროო.

არადა, მოწინააღმდეგეც ხომ იმ კონკრეტულ თამაშს სწორედ იმავე მოედანზე, იმავე მინდორზე, იმავე გაზონსა და ნიადაგზე თამაშობდა?!

ამაზე პასუხი ასეთი ჰქონდათ: ეგენი, სამაგიეროდ, მაგარ მოედნებზე ვარჯიშობენო!

ჰოდა, შე კაი დედ-მამის შვილო, ეგ ამბავი, წესით, პირიქით არ არის? კარგ მინდორზე ნავარჯიშებს უფრო არ უნდა გაუჭირდეს უსწორმასწორო ნიადაგზე თამაში, ვიდრე შენ, უსწორმასწორო ნიადაგზე მიჩვეულს?!

მაგრამ, აბა, ბიჭი იყავი და გაგებედა რაიმე უარყოფითის თქმა ჩვენს ფეხბურთელებზე! იმწამსვე მოგნათლავდნენ შურიანად, არშემდგარად, გაბოროტებულად და არაპატრიოტად.

**საქმეც სწორედ ის არის, რომ ამ ადამიანებს ლოგიკა აქვთ უსწორმასწორო, თორემ აქ არც მინდორია შუაში და არც „ევროვიზიის პოლიტიკური კონტექსტი".**

კი, ბატონო, **პოლიტიკური კონტექსტის გამო, შეიძლება პირველ ადგილზე არ გაგიყვანონ და არ გაგამარჯვებინონ, მაგრამ, როდესაც მეორე ტურშიც კი ვერ გადადიხარ და მაჩანჩალა ადგილზე რჩები, ამას ვერანაირი „პოლიტიკური კონტექსტი" ვერ ხსნის.**

თუმცა ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, რომლის სპორტული ჟურნალისტები წერდნენ: „ეს არის ქართული ფეხბურთის ოქროს თაობა!" და ეს ფარაზა ფეხბურთელთა იმ თაობას შეეხებოდა, რომელსაც, არათუ რომელიმე უმაღლესი რანგის შეჯიბრებაში, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა, არამედ არც ერთი საშუალო დონის ამხანაგური ტურნირიც კი არ მოუგია არასდროს!

**და რატომ არის ასეთი თაობა „ოქროსი", იმ ფეხბურთელებთან „ჩახუტებულმა" სპორტულმა ჟურნალისტებმა იციან მხოლოდ!**

საზოგადოდ, ვფიქრობ, **ნებისმიერ სფეროში ვინმეს „კარგობა" და „ცუდობა" მისი მიღწევებით უნდა ფასდებოდეს. თუმცა, ხელოვნებას სწორედ ეგ „ჭირი ჭირს", რომ მისი შეფასების ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს და ნებისმიერი საშუალო ნიჭის ხელოვანი რაღაც დროის განმავლობაში შეიძლება „გენიოსადაც" კი გასაღდეს. სპორტის გუნდური სახეობებიც იძლევა არასწორი სელექციის შედეგად მიღებული გუნდის „ოქროს თაობად" გასაღების საშუალებას. მით უფრო, თუკი „ყვარყვარიზმი" ზეობს და სირცხვილი ანულირებულია.**

ერთადერთი, რაშიც გაცილებით მეტადაა შესაძლებელი იმის ობიექტურად დანახვა — ვინ ძლიერია და ვინ სუსტი, ეს სპორტის ინდივიდუალური სახეობებია და ჭიდაობაში გვაქვს კიდეც ძალიან მაღალი შედეგები.

სხვა შემთხვევაში კი, კიდევ ვიმეორებ, **ნამდვილად აღსადგენია 1990-იანების სახელოვანი ტრადიცია — კვერცხებიანი მაყურებელი, რომელიც აიძულებს მავანს, ან ხარისხი გააუმჯობესოს, ან სულაც სხვა სფეროში მოსინჯოს ძალები... გამოთავისუფლებულ ადგილებზე კი მართლაც ნიჭიერებს მიეცეთ გზა, რადგან ნებისმიერი უნიჭოს ზეობა თავისთავად გულისხმობს ვერდანახული ნიჭიერის დაკარგვასა და დაჩაგვრას.**

სხვანაირად, ანუ ჯანსაღი კრიტიკის, სწორი გადაფასების ან თუნდაც სამართლიანი დაცინვის გარეშე, არც ხელოვნებას, არც სპორტს, არც სხვა რომელიმე სფეროს ნამდვილად არაფერი ეშველება.

ხშირად გაიხსენეთ დიდი დავით გურამიშვილის სიტყვები — „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?" ან, იქნებ ფიქრობთ, რომ ყველაზე „გაბოროტებული" ქართველი სწორედ ეგ იყო?

**1976-ში ბუნდესვერში ე.წ. რუდელის სკანდალმა იფეთქა. მეორე მსოფლიო ომის გამოჩენილი მფრინავი, თავისი ულტრამემარჯვენე შეხედულებებით ცნობილი ჰანს-ულრიხ რუდელი ბუნდესვერის ოფიცრების შეხვედრაზე მიიწვიეს და მის მიმართ პატივისცემა გამოხატეს. ამის გამო გადააყენეს ლუფტვაფეს ორი გენერალი, ხოლო თავდაცვის მინისტრი გეორგ ლებერი უმწვავესი კრიტიკის სამიზნე გახდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბუნდესვერი წარსულთან ბრძოლას აგებს

**გერმანიაში გრძელდება შეიარაღებულ ძალებში ნეონაცისტური დაჯგუფების აღმოჩენასთან დაკავშირებული სკანდალი. მან დარტყმის ქვეშ დააყენა თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლაიენის ავტორიტეტი და ნათლად აჩვენა, რომ პრობლემები, რომლებსაც გერმანელი საზოგადოება მთლიანობაში დაძლეულად თვლიდა, კვლავინდებურად აქტუალურია.**



აპრილის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ბუნდესვერის ოფიცერი ფრანკო ა. ტერორისტული აქტის განხორციელებას გეგმავდა, თანაც ეს სირიელი ლტოლვილის სახელით უნდა გაეკეთებინა, რათა გერმანიაში ქსენოფობიის ზრდა გამოეწვია. გამოძიების ვერსიით, ტერაქტის სამიზნე შეიძლებოდა გამხდარიყო ყოფილი ფედერალური პრეზიდენტი **იოაჰიმ გაუკი** და იუსტიციის მინისტრი **ჰაიკო მაასი** — ორივე აქტიურად უჭერს მხარს ლტოლვილების მიმართ რბილი პოლიტიკის გატარებას. ფრანკო ა.-ს შესაძლო თანამზრახველად კიდევ ერთი ოფიცერი დასახელდა.

სკანდალი გაღრმავდა მას შემდეგ, რაც **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** გაავრცელა მიმართვა და მომხდარში ბუნდესვერის სარდლობა დაადანაშაულა. თავდაცვის მინისტრის აზრით, ფრანკო. ა-ს რადიკალური ნაციონალისტური შეხედულებები მეთაურებისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. ყველაზე ნეგატიური რეზონანსი კი „ცდფ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუს მოჰყვა, ფონ დერ ლაიენმა თქვა: „არმიას სამხედრო მოსამსახურეების მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს და ყველა დონეზე სუსტი მეთაურები გვხვდება“. ამან სამხედროების მკვეთრად კრიტიკული რეაქცია გამოიწვია; ბევრმა მათგანმა ჩათვალა, რომ მინისტრი პასუხისმგებლობას თავს არიდებს.

ეს სკანდალი არ შემოიფარგლება შიდაუწყებრივი დაპირისპირებით, მას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. არჩევნებამდე სულ რაღაც 4 თვე რჩება, ხოლო მმართველი ძალის პოზიციები არც ისე დამაჯერებელია. ანგელა მერკელი ცდილობს, დაიცვას კრიტიკისგან მინისტრი, რომელთანაც არა მხოლოდ თანამშრომლობა, არამედ ხანგრძლივი მეგობრობაც აკავშირებს. 2013-ში სწორედ მერკელმა შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ თავდაცვის მინისტრად, პირველად გერმანიის ისტორიაში, ქალი, შვიდი შვილის დედა ურსულა ფონ დერ ლაიენი დაინიშნა. ეს არ არის ამ ფიგურასთან დაკავშირებული პირველი სკანდალი, 2015-ში ყურადღების ცენტრში მისი დისერტაცია აღმოჩნდა – ფონ დერ ლაიენს ბრალი პლაგიატში დასდეს. საინტერესოა, რომ ანალოგიურმა ბრალდებამ 2011-ში გერმანიის თავდაცვის მინისტრის — **კარლ-თეოდორ ცუ გუტენბერგის** კარიერა შეიწირა. ფონ დერ ლაიენი მაშინ „გადარჩა“, თუმცა იმის ალბათობა, რომ უსიამოვნება მომავალშიც მოხდებოდა, საკმაოდ მაღალი იყო, რადგან მას კანცლერის პოსტზე მერკელის ერთ-ერთ სავარაუდო „მემკვიდრედ“ განიხილავენ. აქედან გამომდინარე, ფონ დერ ლაიენს არაერთი მოწინაღმდეგე ჰყავს — არა მხოლოდ და არა იმდენად ოპოზიციაში, რამდენადაც სახელისუფლო გუნდში. ეს ეპიზოდი წინასაარჩევნო ბრძოლის კონტექსტში უნდა განვიხილოთ, მაგრამ ამავე დროს ის ძველ პრობლემებზე მიუთითებს.

**გერმანელი ექსპერტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ულტრამემარჯვენე რადიკალების გავლენა არმიაში მას შემდეგ გაიზარდა, რაც 2011 წელს საყოველთაო გაწვევა გაუქმდა. ექსტემისტების აღმოჩენა და ნეიტრალიზება სამხედრო კონტრდაზვერვას ევალება. ახლა ის 230 ეპიზოდს სწავლობს, რომელთა დიდი ნაწილი ნაცისტური ეპოქის სიმბოლოების გამოყენებას ეხება. შარშან კონტრდაზვერვამ 149 ასეთი შემთხვევა შეისწავლა, მსვლელობა 56 საქმეს მიეცა, შეიარაღებული ძალების რიგებიდან კი 19 სამხედრო დაითხოვეს. ზოგიერთი ინციდენტი შემოიფარგლებოდა იმით, რომ მთვრალი ახალგაზრდა ჯარისკაცები „ზიგ ჰაილს“ ყვიროდნენ ან ნეონაცისტურ მუსიკალურ ჯგუფებს უსმენდნენ.** ასეთ დროს მეთაურების უმრავლესობა ცდილობს, „დაინდოს“ სამხედროები და ინციდენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ხელი შეუშალოს, თუნდაც იმიტომ, რომ მან პრობლემა შეიძლება ყველა ზემდგომ ოფიცერს შეუქმნას. **თანამედროვე გერმანიაში ნაცისტური წარსულის მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე დამოკიდებულების გამო, ნებისმიერი ასეთი შემთხვევა შეიძლება ძალიან სერიოზული სკანდალში გადაიზარდოს.**

ექსტრემისტი ულტრამემარჯვენეების გამოვლენას ბუნდესვერის რიგებში ხელს უშლის ერთი საინტერესო გარემოება: საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანელებს კანონის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ, ხანდახან მათ „სამართლებრივ ცნობიერებაზეც“ კი საუბრობენ. ერთი მხრივ, სპეციალური ინსტრუქცია ავალდებულებს სამხედროებს, მოახსენონ მეთაურებს კოლეგების საეჭვო ქცევისა და ექსტრემისტული იდეების შესახებ. მაგრამ, მეორე მხრივ, მე-12 მუხლი კანონში ბუნდესვერის შესახებ ავალდებულებს მათ, ამხანაგური სოლიდარობა გამოავლინონ. ეს მუხლი ქმნის ერთგვარ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ „ხვერლს“ მათთვის, ვისაც არ სურს „ჩამშვებად“ ჩათვალონ. ჯარისკაცები ხშირად არიდებენ თავს კოლეგების წინააღმდეგ ჩვენების მიცემას და ამით ზოგიერთი ინციდენტის გამოძიებას შეუძლებელს ხდიან.

გერმანელი სამხედროებისთვის ტრადიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როდესაც ბუნდესვერის როგებში ჩარიცხულმა პირველმა მოხალისეებმა 1955-ში ფიცი დადეს, ეს კაიზერის არმიის ტრადიციული წესის მიხედვით გააკეთეს. რაც შეეხება დამოკიდებულებას ვერმახტის მიმართ, „გენერალური ხაზი“ ამ მხრივ კანცლერმა **კონრად ადენაუერმა** ჩამოაყალიბა, რომელმაც 1952 წლის 3 დეკემბერს ბუნდესტაგში თქვა: **„მინდა, ფედერალური მთავრობის სახელით განვაცხადო, რომ ჩვენ ვაღიარებთ ყველა მებრძოლს, რომელიც მაღალი სამხედრო ტრადიციების ერთგულებით იბრძოდა. დარწმუნებულნი ვართ, რომ გერმანელი ჯარისკაცის მაღალი რეპუტაცია და დიდი მიღწევები ცოცხალია ჩვენს ერში და ასეთად დარჩება, წარსულში მიყენებული შეურაცხყოფის მიუხედავად. ჩვენი საერთო მიზანი უნდა გახდეს გერმანელი ჯარისკაცის მორალური ღირებულებების შეერთება დემოკრატიასთან“.** ზოგადად, გერმანიაში საკმაოდ ხშირია ნაცისტური პარტიის და „სს“-ის მიერ ჩადენილი დანაშაულისგან ვერმახტის გამიჯვნის მცდელობა, რომელიც სხვადასხვა წიგნში, ფილმსა თუ გამოსვლაში ჩანს. მაგრამ ამავე დროს, **ბუნდესვერის წარმოჩენა ვერმახტის პირდაპირ მემკვიდრედ მიუღებლად ითვლება. სავარაუდო ტერაქტის აღკვეთის შემდეგ, ბუნდესვერის გენერალურმა ინსპექტორმა ფოლკერ ვიკერმა ყაზარმებში ტოტალური ჩხრეკის ჩატარების ბრძანება გასცა, რომლის დროს ვერმახტის არაერთი ნიშანი აღმოაჩინეს და ამან სკანდალი კიდევ უფრო გაამძაფრა.**

გადამდგარი გენერალ-მაიორი **გერდ-ჰელმუტ კომოსა** (ვერმახტში 1943-45 წლებში მსახურობდა, ბუნდესვერში კი — 1956 წლიდან) თავის მოგონებებში წერს, რომ ვიდრე ბუნდესვერის რიგებში მიიღებდნენ, მას და სხვა კანდიდატებს ჰკითხეს, რა დამოკიდებულება ჰქონდათ იმ ოფიცრების მიმართ, რომლებმაც 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. „ჩვენს თაობაში მათ მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება იყო, ზოგი მოღალატედ თვლიდა, ზოგი კი მიიჩნევდა, რომ სტალინგრადისა და კურსკის შემდეგ აუცილებელი იყო მოქმედება, — წერს კომოსა, — მაგრამ **მათ, ვინც არ ამბობდა, რომ ამ ოფიცრების მოქმედება ცალსახა მოწონებას ან, როგორც მინიმუმი, პატივისცემასა და აღარებას იმსახურებდა, ბუნდესვერში არ იღებდნენ“.**

კავშირს ვერმახტსა და ბუნდესვერს შორის საკადრო პოლიტიკაც უზრუნველყოფდა. როდესაც **ადენაუერს** 50-იანებში ჰკითხეს, როგორ აფასებს ბუნდესვერში ვერმახტის ოფიცრების მოზიდვას, მან ირონიით უპასუხა: „ვშიშობ, რომ 18 წლის გენერლებით ნატოში არ შეგვიშვებენ“. საინტერესოა, რომ ვერმახტის ყოფილ ოფიცრებს სოციალისტური გერმანიის არმიაშიც იღებდნენ, დაახლოებით 500-მდე იყვნენ, 12 მათგანი გენერალი გახდა. სულ კი არმიის დაარსების პერიოდში სოციალისტური გერმანიის 17500 ოფიცრიდან 4700 ვერმახტის ვეტერანი იყო (რიგითებისა და უნტერ-ოფიცრების ჩათვლით). საწყის ეტაპზე ეს უფრო დიდი რაოდენობა იყო, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში, თუმცა ახალი არმიის ბირთვის შექმნის შემდეგ, აღმოსავლეთგერმანულმა პოლიტბიურომ მათი ძირითადი ნაწილის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო, დასავლეთ გერმანიაში ანალოგიურ პროცესს ადგილი არ ჰქონია. „ცივი ომის“ წლებში გფრ-ისა და გდრ-ის პროპაგანდა ძველი მილიტარისტული ტრადიციების ერთგულებას ერთმანეთს აბრალებდა. საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ გერმანიის არმიაში უფრო მეტი ძველი სიმბოლო იყო — ფორმის ელემენტები, მარშები, მათ შორის ჩირაღდნებით და ა.შ., მაშინ, როდესაც დასავლეთში ამერიკულ არმიას ბაძავდნენ.

1976-ში ბუნდესვერში ე.წ. რუდელის სკანდალმა იფეთქა. მეორე მსოფლიო ომის გამოჩენილი მფრინავი, თავისი ულტრამემარჯვენე შეხედულებებით ცნობილი **ჰანს-ულრიხ რუდელი** ბუნდესვერის ოფიცრების შეხვედრაზე მიიწვიეს და მის მიმართ პატივისცემა გამოხატეს. ამის გამო გადააყენეს ლუფტვაფეს ორი გენერალი, ხოლო თავდაცვის მინისტრი **გეორგ ლებერი** უმწვავესი კრიტიკის სამიზნე გახდა. სერიოზული პრობლემები შეექმნა თავდაცვის მინისტრ (1992-98) ფოლკერ რუჰეს მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ცნობილი ნეონაცისტი **მანფრედ რედერი** 1995-ში ჰამბურგის სამხედრო აკადემიაში სათანამშრომლოდ მიიწვიეს; ამასთანავე, ის სამხედროებისგან შემოწირულობებს იღებდა. კიდევ ერთი, წარსულთან დაკავშირებული სკანდალი 1980 წელს მოხდა, როდესაც კრიგსმარინეს მთავარსარდლის (1943-45) გროს-ადმირალ **კარლ დენიცის** დაკრძალვაზე, არაერთმა ოფიცერმა სამხედრო ფორმით მისვლა დააპირა.

„იუგოვ“-ის მონაცემებით, გამოკითხული გერმანელების 45% მიიჩნევს, რომ ექსტრემიზმი ბუნდესვერის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. უმრავლესობა თვლის, რომ ურსულა ფონ დერ ლაიენს არმიაში განვითარებულ პროცესებზე პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება, თუმცა მის გადადგომას მხარს მხოლოდ 24% უჭერს (წინააღმდეგია 68%). მომხდარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გერმანელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს წარსულის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა მართებთ, რადგან ერთი მცდარი ნაბიჯიც კი შეიძლება კარიერის დასრულების ფასად დაუჯდეთ.

**ლუკა ნემსაძე**

**გამოკითხული გერმანელების 45% მიიჩნევს, რომ ექსტრემიზმი ბუნდესვერის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. უმრავლესობა თვლის, რომ ურსულა ფონ დერ ლაიენს არმიაში განვითარებულ პროცესებზე პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება, თუმცა მის გადადგომას მხარს მხოლოდ 24% უჭერს (წინააღმდეგია 68%). მომხდარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გერმანელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს წარსულის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილის გამოვლენა მართებთ, რადგან ერთი მცდარი ნაბიჯიც კი შეიძლება კარიერის დასრულების ფასად დაუჯდეთ**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„სტალინი არის მშრომელი ხალხის სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდის განსახიერება, რომელიც აფუძნებს ისეთი ქვეყნის აშენების იდეას, რომელიც არ იქნება დამყარებული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე. მე მახსოვს საბჭოთა მოქალაქის ამაყი სახე, რომელიც მართავდა ყველაზე დიდ სახელმწიფოს მსოფლიოში, როგორც თავისუფალი მოქალაქე, სოციალურად დაცული, მორალურად მდგრადი, თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველი და პატრიოტი“.**

# სტალინი — მსოფლიო ლიდერთა შორის უპირველესი

**სტალინის, როგორც ცნების, და არა როგორც პიროვნების, განსაზღვრას ყველაზე მეტად მიუახლოვდა ამერიკელი მწერალი ალექს დე ჯონგი, რომელმაც, როგორც თავის სქელტანიან წიგნში „სტალინი“, აგრეთვე, პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში, ფართოდ მიმოიხილა, ვინ იყო სტალინი, და, საერთოდ, როგორ უნდა განისაზღვროს მისი ფენომენი. მწერლის აზრით, თითოეული ჩვენგანის არსებობა თანამედროვე ცივილიზაციაში სტალინთან არის დაკავშირებული. სტალინი ის მტკიცე, ბუნებრივი შენადნობი სტელაა, რომელზეც კაცობრიობა უამრავ წარწერას გააკეთებს, გადაშლის და კვლავ ახალს დააწერს.**



**სამი სისხლისმღვრელი ომის გამოვლის შემდეგ სტალინს კვლავ მტკიცედ ეჭირა საჭე და საბჭოთა უძლეველ ხომალდს უსაფრთხოდ მართავდა კაპიტალიზმის მრისხანე ტალღებში. ამის შედეგი იყო, რომ ომის შემდგომმა აღმშენებლობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ფერფლიდან აღდგა ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა მრეწველობაში. არ იმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მომარჯვებულმა «კომბალმა რუსი ბიჭებისათვის». 1949 წელს საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოსცადეს ატომური ბომბი, ამის შემდეგ სტალინმა თავისუფლად ამოისუნთქა**

არ მესმის, ამ შემთხვევაში, სტელაზე მინაწერია უფრო ძვირფასი თაობებისა და ცივილიზაციისთვის თუ ის შენადნობი, რომელზეც იწერება და იშლება ადამიანთა გონის ნაყოფი და ნააზრევი. ჩემი აზრით, როგორც არაფერი დარჩა **ნიკიტა ხრუშჩოვის** მიერ მოწყობილი კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის „საპნის ოპერიდან“, ასევე არაფერი დარჩება თაობებს იმ წარწერებიდან, გარდა ნაკაწრებისა. მათი დაზიანების მიხედვით დაადგენენ, რამდენი ასეული საუკუნე გაძლო სტელამ, რომელმაც ამდენი ნაკაწრი შემოუნახა თაობებს.

ვინ გადასცემს თაობიდან თაობას, ცივილიზაციიდან ცივილიზაციას იმას, რაც სტალინმა შექმნა და განახორციელა ადამიანისთვის განკუთვნილი სიცოცხლის მოკლე ხნის განმავლობაში?

**სტალინმა პირველმა დაამკვიდრა დედამიწაზე რვასაათიანი სამუშაო დღე.**

**სტალინმა პირველმა აკრძალა მუშებისა და მოსამსახურეების გათავისუფლება სამუშაოდან პროფკავშირსა და პარტიასთან შეუთანხმებლად.**

**სტალინმა პირველმა შემოიღო შრომის უფლება: უმაღლესი სპეციალური განათლების კურსდამთავრებულმა ახალგაზრდამ ჯერ კიდევ სასწავლებლიდანვე იცოდა, სად, რომელ სამუშაო უბანზე იყო მისთვის დაჯავშნილი სამუშაო ადგილი.**

**სტალინმა პირველმა შემოიღო უფასო განათლება ყველა რგოლსა და საფეხურზე.**

**სტალინმა უზრუნველყო უფასო სამედიცინო მომსახურება უკიდეგანო 300-მილიონიან ქვეყანაში.**

**სტალინმა დანერგა უფასო საბინაო უზრუნველყოფა და მომსახურება.**

**სტალინმა პირველმა შემოიღო აზრის გამოთქმის თავისუფლება სოციალური პირობების შესახებ კრებებსა და პრესაში (და არა პოლიტიკური ყბედობა).**

**სტალინმა პირველმა მოუწოდა ხალხს, დაეცვათ თავიანთი ქვეყანა ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეებისგან, თუ ამის აუცილებლობა დადგებოდა.**

სტალინის მმართველობის პერიოდში, **ახალ კურსდამთავრებულს, რომელიც განაწილებით მიდიოდა სამუშაოდ შორ მანძილზე, ადგილზე ჩასვლისთანავე უნაზღაურდებოდა გზის ხარჯები, სათანადო საცხოვრებელი ადგილის მიჩენით.**

სტალინის მმართველობის პერიოდში **ბავშვის დაბადებისათვის 3 წლით ნაწილობრივ ან მთლიანად ხელფასის ანაზღაურებით ეძლეოდა შვებულება დედას სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.**

სტალინის მმართველობის პერიოდში **ახალშობილს უფასოდ ამარაგებდნენ რძით დაბადებიდან 1 წლის განმავლობაში, თუ ამის აუცილებლობა არსებობდა.**

სტალინის მმართველობის პერიოდში **ბავშვთა სანიტარული საკურორტო მკურნალობა ნებისმიერ დაავადებაზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ტარდებოდა.**

სტალინის მმართველობის პერიოდში **საბჭოთა მოქალაქე იყო სოციალური დაცვით ყველაზე გარანტირებული მოქალაქე დედამიწაზე.** სწორედ ამან შექმნა იმის წინაპირობა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ყველასგან დამოუკიდებლად, ყოველგვარი სესხისა და დახმარების გარეშე, შექმნა სოციალური საფუძველი, ყოფილიყო პლანეტაზე №2-ე სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

ომის შემდგომმა საბჭოთა ქვეყნის სამეცნიერო თუ ტექნიკურმა პოტენციალმა გააოგნა იმჟამინდელი მსოფლიო. ამის შედეგი იყო 1946 წლის 5 მარტს ამერიკის ქალაქ ფულტონში ინგლისის ყოფილი პრემიერმინისტრის — **უინსტონ ჩერჩილის** გამოსვლა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ცივი ომის გაჩაღებას.

**სამი სისხლისმღვრელი ომის გამოვლის შემდეგ სტალინს კვლავ მტკიცედ ეჭირა საჭე და საბჭოთა უძლეველ ხომალდს უსაფრთხოდ მართავდა კაპიტალიზმის მრისხანე ტალღებში. ამის შედეგი იყო, რომ ომის შემდგომმა აღმშენებლობამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია: ფერფლიდან აღდგა ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი, აყვავდა სოფლის მეურნეობა, გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა მრეწველობაში, არ იმუშავა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენის მომარჯვებულმა „კომბალმა რუსი ბიჭებისათვის“. 1949 წელს საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოსცადეს ატომური ბომბი, ამის შემდეგ სტალინმა თავისუფლად ამოისუნთქა.**

სტალინმა, ამერიკელებისგან განსხვავებით, სრულიად სხვა, ახალი გზა მისცა ატომურ ენერგიას.

სტალინმა ააგო მსოფლიოში პირველი ატომური ყინულმჭრელი გემი.

სტალინმა, **როგორც ზევსმა ცეცხლი, ატომური ენერგია სინათლის წყაროდ მისცა ხალხს და ააშენა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.** სტალინმა ატომური ენერგია, რომელიც, ბევრის აზრით, ნგრევისათვის იყო შექმნილი (და ასეც გამოიყენებდნენ) ხალხთა კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენა. მან მტკიცედ შეუტია კოსმოსსაც. **სტალინის ნებით დაწყებული საქმის დაგვირგვინება იყო დედამიწის გარშემო პირველი თანამგზავრის გაშვება, რომელსაც მოჰყვა ადამიანის კოსმოსში გასვლა.**

სტალინური განათლების სისტემის, სამეცნიერო კვლევითი ცენტრების ორგანიზებითა და ფუნდამენტური მეცნიერების უსწრაფესი განვითარებით შეშფოთებული ამერიკის პრეზიდენტი **ჯონ კენედი** საქვეყნოდ აცხადებდა: **„საბჭოთა კავშირმა კოსმოსისთვის ბრძოლაში სასკოლო მერხების წყალობით დაჯაბნა ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მიბაძოს განათლების რუსულ სისტემას და აითვისოს იგი“.**

**დღეს აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს სკოლაგამოვლილმა ქართველმა კოლაბორაციონისტებმა დაახრჩვეს საქვეყნოდ სახელგანთქმული ფუნდამენტური მეცნიერების უპოპულარულესი ინსტიტუტები — მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის; უცხოეთიდან ჩამოიყვანეს ლგბტ-თემის წარმომადგენელი პედაგოგ-მასწავლებლები, რომლებიც მცირეწლოვან გოგონებს ასწავლიდნენ, როგორ უნდა გაიკეთონ აბორტი თუნდაც სკოლაში, დიდ შესვენებაზე.** მას შემდეგ, რაც ჩვენს წმინდან დედოფალს ძუძუებს აგლეჯდნენ რჯულის შეცვლაზე უარის თქმის გამო, მას შემდეგ, რაც **ცოტნე დადიანი** თავისი მეგობრების გვერდით წვებოდა წამების გასაზიარებლად, მას შემდეგ, რაც ჩვენს მეფეებს ასაჭურისებდნენ და თვალებს თხრიდნენ ან კუნძზე ნაჯახით თავს ჭრიდნენ, მას შემდეგ, რაც **გიორგი სააკაძემ** უსაყვარლესი შვილი პაატა შაჰს დაუტოვა მძევლად მარტყოფის ომის წინ, მას შემდეგ, რაც ბაკურმა ჯერ ცოლ-შვილი დახოცა, შემდეგ კი შეეწირა მომხვდურს ბახტრიონზე; რომ არაფერი ვთქვათ ხევისბერზე, რომელმაც ღალატის გამო ხანჯლით განგმირა თავისი შვილი ონისე, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე და ქვეყნის მეორე პირი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ის თავის შვილებს პატრიოტებად არ ზრდის და როგორც უნდათ, ისე უნდა იცხოვრონ, როგორ უნდა წარიმართოს ამის შემდეგ საქართველოს საქმე?

**გასაკვირი არ არის, რომ ამ ეპოქისთვის არ არის საჭირო სტალინი; არ სჭირდებათ არც მისი ძეგლი, არც მისი მემკვიდრეობა და არც მისი სახელი.**

მკითხველი შემეკითხება: მაშ, რა არის ის სტელა, რომელზეც იწერება, იშლება და კვლავ იწერება კაცობრიობის ხელით ისტორია? — სტელა ზოგადი ცნებაა, რომლის ფიზიკური ადგილი არ არსებობს ბუნებაში, ისე, როგორც არ არსებობს კავკასიონზე ამირანის ადგილი, სადაც ის ღმერთმა მიაჯაჭვა.

ამირანის ლექსის სვანურ ვარიანტში ასეთი სტრიქონებია:

„...რო ჩემი ხმალი წრთებოდა,
ცა ქექდა, მიწა გრგვინავდა,
სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები, მემჭდეურები
ერთმანეთს ეფარებოდა“.

ამირანი ლეგენდაა. ხალხმა იგი ისეთად წარმოიდგინა, როგორიც ამ ლექსშია დახატული.

სტალინი? — ის ხომ რეალობაა! სტალინგრადი ხომ ის სამჭედლოა, სადაც სტალინის ხმალი იწრთობოდა? თანამედროვე ცივილიზაციას არ ახსოვს ისეთი სამჭედლო, როგორიც სტალინგრადში იყო. ბერლინის ოპერაცია ხომ სტალინის ხმლის წრთობის მეორე სამჭედლო იყო, ოპერაცია, როცა ქალაქი გამდნარი ფოლადის ოკეანეში ცურავდა.

ასეთი რამ ლეგენდაშიც არ შეგვხვდება.

მაშ, რატომ არ გვინდა აზროვნებისა და გმირობის ნამდვილი სცენების ნახვა და გააზრება, როცა ასე ხარბად ვეწაფებით იმ ლეგენდებსა და ცრუ წარმოდგენებს ბედნიერებაზე, სიმამაცესა თუ გამძლეობაზე, რომლითაც გაჯერებულია არა მხოლოდ მცოდნეთა გონება, არამედ ატმოსფეროც კი?

**ვინ არის ამის შემოქმედი? — ვისაც სჭირდება ეს, ვისაც სჭირდება ზღაპარი და ოპიუმი, რათა გააბრუოს და შემდეგ ადვილად გააბრიყვოს დამონებული ხალხი, ამოაგდოს ცხოვრების ნორმალური რიტმიდან, დაავიწყოს ეროვნული ტრადიციები, სამშობლოს სიყვარული, ჩაუნერგოს ნიჰილიზმი, რწმენისა და მიზნის გარეშე ცხოვრების სურვილი.**

„ლევადა ცენტრის“ ხელმძღვანელმა **ლევ გუდკოვმა**, რადიოსადგურ „თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ 2017 წლის თებერვალში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სტალინის რეიტინგმა რუსეთის პრეზიდენ- ▶

# „თუ მეკითხებით, იყო თუ არა სტალინი მკვლელი, გიპასუხებთ, რომ ეს არის ყბედობა და ტყუილი. მას მილიონობით ადამიანი არ დაუხოცავს და, თუ ისტორიკოსები სტალინის მილიონობით მსხვერპლზე წიგნებს წერენ, ეს ყველაფერი სოროსის გამომცემლობის კისერზეა, სწორედ მაგისთვის მაგისი...“

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ტის — **ვლადიმერ პუტინის** რეიტინგსაც გადააჭარბა.

„დემოკრატიული“ დასავლეთის ისტორიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამტკიცებდა, რომ სტალინი ისტორიას, რა თქმა უნდა, შემორჩებოდა, მაგრამ შემორჩებოდა ნეგატიურ კონტექსტში.

დიდი დრო არ დასჭირვებია სტალინის წინასწარმეტყველებას, ამხდარიყო და მისი საფლავიდან ისტორიის ქარს ნაგავი გადაეყარა. სწორედ ამაზე მიანიშნებს „ლევადა ცენტრის“ ხელმძღვანელი და სიამაყით ამბობს, რომ დღეს სტალინი მსოფლიოს სახელგანთქმული ადამიანების არცთუ გრძელ სიაში ლიდერობას არავის უთმობს. ამიტომაცაა, რომ რუსეთის სატელევიზიო შოუებში მეტ-ნაკლებად ცდილობენ, არა მხოლოდ რუსეთის მცხოვრებთ, არამედ მსოფლიოს გააცნონ ის მიზეზები, რომლებიც არათუ ინარჩუნებს ან ამცირებს, არამედ ზრდის სტალინის ავტორიტეტს მსოფლიოში.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, რუსეთში სტალინისადმი პატივისცემის ზრდის ტემპი უკავშირდება რუსი ხალხის მონურ ბუნებას, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის ძლიერი ხელისაკენ.

**„მე კი,** — განმარტავს გუდკოვი, — **მიმაჩნია, რომ სტალინი არის მშრომელი ხალხის სამართლიანობისათვის მებრძოლი რაინდის განსახიერება, რომელიც აფუძნებს ისეთი ქვეყნის აშენების იდეას, რომელიც არ იქნება დამყარებული ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე. მე მახსოვს საბჭოთა მოქალაქის ამაყი სახე, რომელიც მართავდა ყველაზე დიდ სახელმწიფოს მსოფლიოში, როგორც თავისუფალი მოქალაქე, სოციალურად დაცული, მორალურად მდგრადი, თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველი და პატრიოტი“.**

გვქონდა ქვეყანა, რომელსაც მსოფლიო ცნობდა და ითვლებოდა ძლევამოსილ ქვეყნად, დიდ ქვეყნად, დიდი ისტორიით, დიდი სამრეწველო პოტენციალით, დიდი მეცნიერებით, დიდი კულტურით, განათლების უდიდესი მიღწევებითა და ახალი ქვეყნის მშენებლობის იდეებით, რომელშიც მეფობდა სამართლიანობა არა მხოლოდ მდიდრებისათვის, არამედ ყველასთვის. ამაზე ფიქრობდა და ზრუნავდა მხოლოდ სტალინი, სხვა არავინ.

**ნატალია ნაროჩნიცკაია** — პროფესორი, ისტორიული პერსპექტივების ფონდის პრეზიდენტი, ევროპის დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, რუსეთის პარლამენტის მეოთხე მოწვევის დეპუტატი: **„...მსოფლიოში მოვლენებს იხილავენ არა ფაქტების მოშველიებით, არამედ მსოფლმხედველობის მიხედვით. დასავლეთი გულმოდგინებით სწავლობს და ამტკიცებს, რომ ივანე მრისხანე, რომელმაც ათჯერ უფრო ნაკლები მსხვერპლი გაიღო ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ვიდრე ეკატერინე მედიჩმა მხოლოდ ერთ ბართლომეს ღამეს, მაინც უფრო დიდი დამნაშავეა. დასავლეთი კარგია, ჩვენ კი ბარბაროსები ვართ.** ჩემთვის, როგორც ისტორიკოსისთვის, სრულიად ნათელია, რომ **სინამდვილეში სტალინი დასავლეთს რეპრესიების გამო არ სძულს. იგი ამ კუთხით არც პირველია და არც უკანასკნელი. მაგალითისთვის ავიღოთ რობესპიერი და კრომველი. ისინი არ განისჯებიან ისე, როგორც სტალინი, მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრად მეტი სისხლი აწევთ თავიანთი ხალხისა.**

სტალინი დასავლეთს სძულს იმ სიძლიერისთვის, რომლითაც რუსეთს შემოუმტკიცდა თავისი ისტორიული მიწები (როგორც პუშკინი ამბობდა: „ყინულოვანი ფინეთის ნაპირებიდან აელვარებულ კოლხეთამდე“), და, ასევე, თეირანის, იალტისა და პოტსდამისათვის. სწორედ ეს არ აძლევს დასავლეთს მოსვენებას და სწორედ ამიტომ გვარწმუნებენ დღენიადაგ, რომ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენ კი არ გავიმარჯვეთ, არამედ ამერიკელებმა. მაგრამ ჩვენი სამშობლო ჩვენ მაინც უნდა შევაფასოთ ნათელი გონებით.

სოფლის მეურნეობის მიმდევარი ერები — პოლონელები, ჩეხები, უნგრელები, რუმინელები, ჩვენგან გავიდნენ – კომპოზიტორებად, პროფესორებად, აკადემიკოსებად, მაღალი კლასის ინჟინრებად, დრამატურგებად, კინემატოგრაფისტებად, ჰიტლერი კი მათ მეღორეებად ამზადებდა, ხოლო ბალტიისპირელებს „განხალხებას“ უპირებდა, რათა მათი და ფინელების ადგილზე გერმანელები დაესახლებინა. ჩამოთვლილი ერების მსოფლმხედველობა დღეს შეცვლილია და, შესაბამისად, შეცვლილია, მეოცე საუკუნის ისტორიული სამართლიანობაც. მათთვის ჩვენ მტრები ვართ, გერმანელები კი ისტორიული მეზობლები და მეგობრები არიან.

ჩვენი ვალია, დავიცვათ არა მხოლოდ ჩვენი სამშობლო, არამედ ჩვენი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობაც“.

უფრო საოცარ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვეცნობით საქვეყნოდ სახელგანთქმული ჩეჩენი მწერლის — **გერმან სადულაევის** ინტერვიუს, რომელიც სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობს და მოღვაწეობს. თავის ვრცელ ინტერვიუში მწერალი ფართოდ მიმოიხილავს სტალინის პიროვნებას, რომლის შინაარსიც მე არ გამკვირვებია, რადგან კარგად ვიცნობ ჩეჩენი ხალხის ცხოვრების გმირულ ეპიზოდებს, როგორც ისტორიული წყაროებით, ისე ჩეჩენ ხალხთან ახლო ურთიერთობითა და თანაცხოვრებით.

1970-იანი წლების მეორე ნახევარში ვმუშაობდი ჩრდილოეთ კავკასიაში, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე, და მქონდა ჩეჩენ ხალხთან ურთიერთობა და მათზე ბევრი რამის დაწერა და თხრობა შემიძლია, მაგრამ ახლა ამის დრო არ გვაქვს. გეტყვით ერთ ფაქტს:



გერმან სადულაევი

**დღეს აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს სკოლაგამოვლილმა ქართველმა კოლაბორაციონისტებმა დაახრჩვეს საქვეყნოდ სახელგანთქმული ფუნდამენტური მეცნიერების ყველაზე პოპულარული ინსტიტუტები — მათემატიკის, ფიზიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ფიზიოლოგიის; უცხოეთიდან ჩამოიყვანეს ლგბტ-თემის წარმომადგენელი პედაგოგ-მასწავლებლები, რომლებიც მცირეწლოვან გოგონებს ასწავლიდნენ, როგორ უნდა გაიკეთონ აბორტი თუნდაც სკოლაში, დიდ შესვენებაზე**

დაბა კოჩუბეიში, სადაც ათასი რჯულის ადამიანი ირეოდა, შეიმჩნეოდა ჩეჩენთა სიმრავლე. მაკვირვებდა ის, რომ ჩეჩნებისა და ლეკების მსუბუქი ავტომანქანების წინა საქარე მინაზე მიკრული იყო სტალინის, ხოლო უკანაზე შამილის პორტრეტები. ჩეჩნები რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი გადასახლების საქმეში მთავარი დამნაშავე **ლავრენტი ბერია** იყო და არა სტალინი. სწორედ ეს სურათები აღმიდგა თვალწინ, როდესაც ვეცნობოდი ჩეჩენი მწერლის, გერმან სადულაევის, ინტერვიუს.

ჟურნალისტის კითხვას, როგორ შეაფასებთ სტალინის პიროვნებასო, მწერალმა **გერმან სადულაევმა** უპასუხა:

— სტალინი რთული ისტორიული ფიგურაა, რომელიც ნებისმიერ დიდ სახელმწიფო მოღვაწეს შეიძლება გაუტოლდეს. რაც შეეხება ჰიტლერთან მის შედარებას, ეს გაუმართლებლად მიმაჩნია, რადგან ჰიტლერი სისხლის სამართლის დამნაშავეა თავისი სახელმწიფო პოლიტიკით. ამდენად, ფაშიზმისა და ჰიტლერის შედარება სტალინთან აშკარა შეუსაბამობაა. სტალინი შეიძლება შევადაროთ ჩერჩილს.

ჩერჩილის ქმედება, ბენგალიელი ხალხისთვის შიმშილობის მოწყობის საქმეში, სრულიად გაუმართლებელია. ინგლისელმა ხალხმა ცოტა რამ თუ იცის ამ ენით აღუწერელი სისხლიანი ისტორიის შესახებ, მაგრამ მათ წინაშე მუდამ იდგება სისხლიანი ყმაწვილის, ჩერჩილის, სტატუეტი — ფსიქოპათის, რომელმაც ყოველგვარი მიზეზისა და მიზნის გარეშე დახოცა მილიონობით უდანაშაულო ადამიანი.

სტალინმა მეორე მსოფლიო ომში ჩეჩნებზე მიიტანა ეჭვი სამშობლოს ღალატში და გადაასახლა ისინი ყაზახეთში, იმავე პირობებში, როგორშიც ჩეჩნეთში ცხოვრობდნენ. რას იზამდა მის ადგილას ჩერჩილი? ჩეჩნებს ადგილზე დახოცავდა. აქედან დავასკვნათ, რომელი რომელს სჯობდა? **თუ მეკითხებით, იყო თუ არა სტალინი მკვლელი, გიპასუხებთ, რომ ეს არის ყბედობა და ტყუილი. მას მილიონობით ადამიანი არ დაუხოცავს და, თუ ისტორიკოსები სტალინის მილიონობით მსხვერპლზე წიგნებს წერენ, ეს ყველაფერი სოროსის გამომცემლობის კისერზეა, სწორედ მაგისთვის მაგისი...**

იმ პერიოდში შეუძლებელი იყო ქვეყნის მართვა რეპრესიების გარეშე. თუ პაციფისტი ხარ, მაშინ უნდა წახვიდე მონასტერში და ილოცო. თუ ხელისუფალი ხარ და უმაღლესი მხედართმთავარი, უნდა დაამყარო წესრიგი და შეინარჩუნო ქვეყნის უსაფრთხოება. მაგალითისთვის ავიღოთ უკრაინა და **იანუკოვიჩი:** იანუკოვიჩმა ვერ შეძლო რამდენიმე ათეული თანამედროვე ფაშისტის რეპრესირება, რასაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანების დიდი მსხვერპლი. ხელისუფალმა არჩევანი უნდა გააკეთოს ბოროტებასა და ნაკლებ ბოროტებას შორის“.

ჟურნალისტის კითხვაზე, როგორ უყურებს დღევანდელ ურთიერთობას უკრაინელებსა და დონბასელებს შორის, მაშინ, როდესაც უკრაინელები იცავენ თავიანთი ქვეყნის ერთიანობის ინტერესებს, მწერალმა ასე უპასუხა:

„მე არ მაინტერესებს მათი პოლიტიკური ფორმულირება. მე ვიცი, რომ უკრაინელები ხოცავენ რუსებს, ესვრიან დონეცკის მშვიდობიან მოსახლეობას. მე არ ვამართლებ არც სტალინურ რეპრესიებს, არავითარ შემთხვევაში, მაგრამ მე მოვუწოდებ ყველას, არ შეხედონ ისტორიას ერთმნიშვნელოვნად. როდესაც ვსაუბრობთ სტალინურ რეპრესიებზე, იქვე უნდა წარმოვიდგინოთ ჩერჩილი, მილიონობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი და მშვიდობიანი მშრომელთა დემონსტრაციების დაშლა ინგლისში ტყვიამფრქვევის გამოყენებით. მე არ მწამს დასავლური დემოკრატიისა და სოციალიზმისა. მე არ მინდა ისეთი სოციალიზმი, სადაც მის საყრდენ ძალად წარმოდგენილი იქნება სექსუალური უმცირესობის ყოფითი პირობები, ავანგარდული კულტურა თუ მიგრანტების საკითხის ძირითად თემად განხილვა. ეს არასწორი სოციალიზმია.

ჩემთვის ძვირფასია ადამიანი სოციალისტური ღირებულებებით. საბჭოთა საზოგადოებაში ვცხოვრობდით ერთიანი მსოფლმხედველობით, ვიყავით ერთად, გვიყვარდა და ვაფასებდით ერთმანეთს და ეს იყო მთავარი, და არა ჩვენი ეთნიკური წარმომავლობა — ვინ იყო მოლდაველი, რუსი, ქართველი, უკრაინელი თუ პოლონელი. მე სწორედ ეს მინდა დაბრუნდეს დღესაც.

საბჭოთა კავშირი დაანგრიეს მოღალატეებმა და სამშობლოს გამყიდველებმა, მაგრამ ეს ვერ აფერმკთალებს მის მიერ მოტანილ კეთილდღეობას. ჩვენ ათეული წლების განმავლობაში ვიყავით წარმმართველი ძალა პლანეტაზე. რუსეთის დღევანდელი კორუფცირებული ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ სამთავრობო სავარძლებში სხედან, ბურჟუაზიაა და ერთეულთა ინტერესებს ემსახურებიან. მასობრივი გამოსვლები, რომელთა ლოზუნგია „პუტინ, წადი!“, „წადი, პუტინ!“ (და ყველაფერი კარგად იქნება) სწორი არ არის. წავა პუტინი, მოვა **კასიანოვი** ან **კუდრინი**, ან — ვინც გინდა. ეს არ არის მთავარი. მთავარია, არ მოვიდეს ივანოვი, არც პეტროვი, არც **ზიუგანოვი,** არც სხვა ვინმე. ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს მშრომელი ხალხი. საქმე არ არის პერსონალიებში, საქმეა სისტემა. დღევანდელი სისტემა არ იძლევა ქვეყნისა და ხალხის განვითარების საშუალებას, რადგან სახელმწიფო სისტემა ემსახურება ერთეულ ადამიანებს. ამ შემთხვევაში, თუ პუტინს შეცვლის ზიუგანოვი, მერე რა? ზიუგანოვიც ისეთად იქცევა, როგორიც პუტინია დღეს. სისტემამ არ უნდა მისცეს ადამიანს ხალხზე ბატონობის უფლება.

უნდა შეიცვალოს მთელი სისტემა. ყველაზე ახლოს ჩვენთვის, თუმცა მთლიანად მისაღები არა, ჩინეთია. კომუნისტური პარტიის პროგრამის სრულყოფილი და უნაკლოდ შესრულება ქმნის საზოგადოების განვითარების სრულ გარანტიას, რაც ნათლად დაადასტურა ჩინეთის მაგალითმა. და, **თუ რუსეთში ჩინური კანონმორჩილება არ არის, სწორედ ამისთვის იყო საჭირო ის რეპრესიები, რომლებიც ჩატარდა და რომლებმაც უზრუნველყო კანონის უზენაესობა. მასობრივი რეპრესიები ძალიან სწრაფად აღადგენს კანონმორჩილებას და სწრაფად შეცვლის ქვეყნის მდგომარეობას უკეთესობისაკენ. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ დაუსაბუთებელი და არამოტივირებული რეპრესიების, მაგრამ რეპრესიების აუცილებლობას ვაღიარებ.**

თუ შემეკითხებით, არიან თუ არა პუტინი და **მედვედევი** ჩემი მტრები, გიპასუხებთ, რომ პუტინი და მედვედევი ჩემთვის კლასობრივი მტრები არიან და არა პირადი მტრები. იმასაც დავუმატებ, რომ ამ ქვეყანას უშველის მხოლოდ და მხოლოდ მასობრივი რეპრესიები.

რაც შეეხება სტალინს, **მე ვამაყობ, რომ ჩემს დიად ქვეყანას მართავდა სტალინი“.**

**სტალინმა, როგორც ზევსმა ცეცხლი, ატომური ენერგია სინათლის წყაროდ მისცა ხალხს და ააშენა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური**

**P.S. დიდი სურვილი მაქვს, საქართველოში მოვიწვიო ჩემთვის უძვირფასესი სტუმარი, აღიარებული მწერალი გერმან სადულაევი, რომელსაც აუცილებლად გავაცნობ ქართველ მკითხველს.**

თანამედროვე კერპები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამაოგნებელი იყო ლგბტ-თა უფლებების პროპაგანდა, რომელიც ამა წლის 17 მაისს გამართეს ქართულმა ტელევიზიებმა. 17 მაისი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებით, ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეა, მაგრამ ქართულ სატელევიზიო სივრცეში თითქმის არაფერი უთქვამთ ოჯახზე, მშობლების პატივისცემაზე, მხოლოდ იმას წარმოაჩენდნენ, რომ ნახეთ, რა შესანიშნავი დიზაინერები არიან ჰომოსექსუალები, რომ ლგბტ-თემის წარმომადგენლები არ უნდა იჩაგრებოდნენ, არ უნდა ირღვეოდეს მათი უფლებები, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, შეილახა თუ არა ნორმალური ადამიანების, განსაკუთრებით — მოზარდების უფლებები ჰომოსექსუალიზმის ამ გაშმაგებული პროპაგანდით.**

# უკანალის თაყვანისმცემლები

**1970 წელს ლოს-ანჯელესსა და სან-ფრანცისკოში პირველი გეიაღლუმების ჩატარების შემდეგ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდამ არა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ მსოფლიო მოიცვა და დღეს ამ პროპაგანდის გავლენა თვალში საცემია ყველა ქვეყანაში, მათ შორის, დასავლურ ე.წ. ფასეულობებს ახალნაზიარებ უკრაინასა და საქართველოშიც.**


ევროვიზია 2017


რობი უილიამსი თბილისში


კონჩიტა ვურსტი


ელტონ ჯონი


სედიუკმა უკანალზე აკოცა კიმ კარდაშიანს


კრიშტიანუ რონალდუ

ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისტულმა მანქანამ, რომელიც არღვევს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ზნეობრივ ნორმებს და სულ უფრო აღრმავებს უფსკრულს კაცთა მოდგმასა და ქრისტიანულ ფასეულობებს შორის, თანამედროვე ადამიანის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში შეაღწია — პოლიტიკაში, ხელოვნებაში, დიზაინში, სპორტში, კინოში, მესმედიაში, შოუბიზნესში...

თუ ადრე ახალგაზრდების კერპები იყვნენ **ელვის პრესლი, ფრენკ სინატრა, ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი, პელე, დიეგო მარადონა, ნილ არმსტრონგი, იური გაგარინი, სილვესტერ სტალონე, ოდრი ჰეპბერნი, კოკო შანელი,** ახლა მათი ადგილი დაიკავეს არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლებმა, რომელთა განსაკუთრებულობის წარმოჩენასაც ცდილობს ლგბტ-თა მხარდამჭერი მედიასაშუალებები სრულიად მსოფლიოში. ესენია: **ჯორჯ მაიკლი, ელტონ ჯონი, , რიკი მარტინი, ტიმ ფორდი, ჯონ გალიანო, დომენიკო დოლჩე და სტეფანო გაბანა, კონჩიტა ვურსტი, რობი უილიამსი** და სხვები. თანამედროვე ახალგაზრდების ნაწილის კერპად იქცნენ ადამიანები, რომლებიც არ ერიდებიან თავიანთი გენიტალიებისა და უკანალის საჯაროდ წარმოჩენას, ანუ კერპად იქცა უკანალი...

რამდენიმე დღის წინათ კიევში გამართულ „ევროვიზია 2017“-ის ფინალურ ეტაპს 200 მილიონი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს და, როცა ამ კონკურსის 2016 წლის გამარჯვებული **ჯამალა** ასრულებდა სიმღერას, სცენაზე მოულოდნელად აიჭრა ტანზე ავსტრალიის დროშაშემოხვეული უკრაინელი პრანკერი **ვიტალი სედიუკი**, რომელმაც შარვალი ჩაიხადა და მსოფლიოს უკანალი დაანახვა. ეს ის სედიუკია, რომელიც 2012 წელს მსახიობ **უილ სმითის** კოცნას შეეცადა, საპასუხოდ კი მისგან ალიყური მიიღო. 2015 წელს კი **კიმ კარდაშიანს**, ამერიკელ მსახიობსა და ფოტომოდელს, მიეპარა და უკანალზე აკოცა.

სედიუკის საქციელმა თვით ხელისუფლების სათავეში ამერიკელების ხელდასხმით მოსული დასავლური დემოკრატიული ფასეულობების დამცველი პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკოც** კი გააღიზიანა:

**„200 მილიონი უყურებდა უკრაინას და ათიათასობით ადამიანმა ძალისხმევა არ დაიშურა არა მხოლოდ ამ ზეიმის მოსაწყობად, არამედ უკრაინის წარმოსაჩენად მსოფლიოში, უცებ კი საიდანღაც გამოძვრა ეს უკანალი, რომელიც ფიქრობს, რომ ეს არის ის, რასაც მსოფლიომ უნდა უყუროს.** ვიმედოვნებ, რომ ამ ახალგაზრდამ, რომელმაც მსოფლიოს თავისი უკანალი აჩვენა, კონკურსის სტუმრებს ზეიმი არ ჩაუშხამა“, — განაცხადა პეტრე პოროშენკომ. უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა **არსენ ავაკოვმა** კი, რომელიც, თავის დროზე ჰომოსექსუალიზმში დაადანაშაულეს, სედიუკს ქვეყნის შემარცხვენელი იდიოტი უწოდა და ურჩია, თავისი „ჰობი“ დროებითი დაკავებით იზოლატორის ბინადართათვის არ ეჩვენებინა.

ტოლერანტულმა ევროპამ კი „ევროვიზია 2017“-ის შედეგები შეაჯამა და თანამედროვე უკრაინელების ზნეობა მწვავედ გააკრიტიკა, განსაკუთრებით არ მოიწონა პოროშენკოსა და ავაკოვის განცხადებები, აგრეთვე, ანტიჰომოსექსუალური განწყობა, რომელიც შეინიშნებოდა ქვეყანაში.

გამოცემებმა — Euractiv-მ და 24tv-მ გამოაქვეყნეს სტატიები, რომლებშიც ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ კონკურსის დევიზი „მივესალმებით მრავალფეროვნებას“ არ შეესაბამებოდა რეალურ ვითარებას და უკრაინის ხელისუფლება ცდილობს, სასურველი გაასაღოს რეალობად.

**„ევროპული მისწრაფებებით აღვსილი, კრიზისით შეპყრობილი აღმოსავლეთევროპული ქვეყანა იმედოვნებს, საყოველთაო ყურადღება იმის დემონსტრირებისთვის გამოიყენოს, რომ სურს იმ ფასეულობების დამკვიდრება, რომლებსაც, დიდი ხანია, პატივს სცემენ დასავლეთში“,** — წერს Euroctiv-ი.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ უკრაინელები მზად არ არიან ტრადიციული ევროპული ფასეულობების გასაზიარებლად. „ლიბერალური ფასადის მიღმა ქალაქისა, რომელსაც სურს, რომ ევროვიზიის თაყვანისმცემლებმა იზეიმონ თავიანთი „უნიკალური განსხვავება“, აღშფოთება და მრისხანება ბობოქრობს ულტრამემარჯვენე ჯგუფებსა და გავლენიან სასულიერო პირებში, რომლებიც ზიზღს ვერ მალავენ ჰომოსექსუალების მიმართ, და, მიუხედავად იმისა, რომ ლგბტ-თა უფლებების დამცველი ჯგუფი კიეველებისა აქვეყნებს გეებისადმი კეთილგანწყობილი ადგილების რუკას, ჰომოსექსუალების დარბევა რუტინული საქმეა. **თვით პრემიერმინისტრიც კი ძრწის ერთსა და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების ლეგალიზაციაზე ფიქრისას“.** დასავლელმა ჟურნალისტებმა, რომლებმაც ევროფასეულობებისკენ სწრაფვა დაუწუნეს უკრაინელებს, დაასკვნეს: უკრაინა ცდილობდა, დაემტკიცებინა ევროპული სახელმწიფოებისთვის, რომ ტოლერანტულად არის განწყობილი გეების მიმართ, მაგრამ „ევროვიზია 2017“-მა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

„ევროვიზიის“ კონკურსზე ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდამ 2014 წელს მიაღწია პიკს, როდესაც ავსტრიელ „წვეროსან ქალს“, ტრანსვესტიტ **კონჩიტა ვურსტს** (თომას ნოივირტს) გაამარჯვებინეს და ამით ადამიანებს „ტოლერანტობისკენ“ მოუწოდეს. ერთი წლის შემდეგ კი 2016 წელს ამ გამარჯვებით ფრთაშესხმული კონჩიტა ვენაში გამართულ საერთაშორისო კონკურსის რეპეტიციაზე საზოგადოების წინაშე გამჭვირვალე კაბით წარდგა და გენიტალიები გამოაჩინა... ისე, თავისი უკანალის საჯარო დემონსტრირებაზე არც **ელტონ ჯონი** ამბობს უარს და არც **რობი უილიამსი**, რომელმაც 2016 წელს თავისი უკანალის ჩვენებისთვის საქართველოდან, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა უმუშევარია და სიღარიბის ზღვარს მიაღმაა, რამდენიმე მილიონი წაიღო, თანაც „დინამო არენაზე“ გამართული კონცე- ▶

**«ევროვიზიის» კონკურსზე ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდამ 2014 წელს პიკს მიაღწია, როდესაც ავსტრიელ «წვეროსან ქალს», ტრანსვესტიტ კონჩიტა ვურსტს (თომას ნოივირტს) გაამარჯვებინეს და ამით ადამიანებს «ტოლერანტობისკენ» მოუწოდეს. ერთი წლის შემდეგ კი, 2016 წელს, ამ გამარჯვებით ფრთაშესხმული კონჩიტა ვენაში გამართული საერთაშორისო კონკურსის რეპეტიციაზე საზოგადოების წინაშე გამჭვირვალე კაბით წარდგა და გენიტალიები გამოაჩინა...**

**ნატოს წევრობას მართლაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან, დასავლეთს საქართველო ნატოს წევრად მხოლოდ იმიტომ სურს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე განალაგოს სამხედრო ბაზები რუსეთთან კონფრონტაციისთვის და საქართველო დაპირისპირების პოლიგონად აქციოს.**

პერსპექტივობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რტის ბილეთის ფასი 20-დან 130 ლარი იყო. (სხვათა შორის, ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, წელს ელტონ ჯონის ჩამოყვანას აპირებენ საქართველოში და, ალბათ, მასაც გადაუხდიან მილიონებს, თუმცა ელტონ ჯონი კარგი მომღერალი მაინც არის).

აი, ასეთ ღონისძიებებზე ხარჯავდა ხელისუფლება 2016 წელს მილიონებს. აი, ასეთი დასავლური ფასეულობების დაცვისკენ მოგვიწოდებს დასავლეთი და საქართველოს ხელისუფლებაც, მოსახლეობის დიდი ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, მორჩილად ასრულებს „დემოკრატიული დასავლეთის“ ნებას — მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, ახლა კი მიწის გაყიდვასა და ჩვენი შვილების „სექსუალურ განათლებაზე“ იწყებს ზრუნვას.

ამ ფონზე გამაოგნებელი იყო ლგბტ-თა უფლებების პროპაგანდა, რომელიც ამა წლის 17 მაისს გამართეს ქართულმა ტელევიზიებმა. 17 მაისი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებით, ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეა, მაგრამ ქართულ სატელევიზიო სივრცეში თითქმის არაფერი უთქვამთ ოჯახზე, მშობლების პატივისცემაზე, მხოლოდ იმას წარმოაჩენდნენ, რომ ნახეთ, რა შესანიშნავი დიზაინერები არიან ჰომოსექსუალები, რომ ლგბტ-თემის წარმომადგენლები არ უნდა იჩაგრებოდნენ, არ უნდა ირღვეოდეს მათი უფლებები, მაგრამ არავინ დაფიქრებულა, შეილახა თუ არა ნორმალური ადამიანების, განსაკუთრებით — მოზარდების უფლებები ჰომოსექსუალიზმის ამ გაშმაგებული პროპაგანდით.

**ნიკა კორინთელი**

**P.S. imedinews.ge -ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია სკოლის მოსწავლეებისთვის რეპროდუქციული, სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების ძირითადი საკითხების სწავლების შესახებ და საქართველოს მთავრობას შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა. სახალხო დამცველის რეკომენდაცია, აგრეთვე, მოიცავს ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე მოსწავლეებისთვის სემინარების ორგანიზებას. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის განცხადების თანახმად, მნიშვნელოვანია, რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება, რათა მათ სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებისა და ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. „სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხის სწავლება არ არის ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის ნაწილი და არაფორმალური განათლების აქტივობები ზოგადი განათლების საფეხურზე ნაკლებად ხორციელდება“, — წერია განცხადებაში.**

# საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება სააკაშვილის მიერ გატკეპნილ გზას დაადგა

## პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ საქართველოს საბოლოო მიზანი ნატოში გაერთიანებაა, პრემიერმინისტრის აზრით კი, ნატოს წევრობას არაფერი აქვს საერთო ტერიტორიულ მთლიანობასთან




**საქართველოს ყველა ხელისუფლება, წლებია, მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრის ნატოსა და ევროკავშირში შესვლასა და, ამ ორგანიზაციების მეშვეობით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ლაპარაკით. თავდაპირველად იყო „მაპი“, შემდეგ — „მაპზე უკეთესი“, შემდეგ — „მეტი ნატო საქართველოში“ და ა.შ., მაგრამ საშველი არც ნატოში შესვლას დაადგა, არც ევროკავშირში გაერთიანებას და არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. პირიქით — ახლახან, რამდენიმე დღის წინათ, სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისების საკითხებში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჰერბერტ ზალბერმა „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ევროკავშირს არ ანაღვლებს საქართველო და მისი პრობლემები, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება კი არათუ გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად და ევროკავშირის წარმომადგენლის ანტიქართულ განცხადებაზე პროტესტს გამოხატავს, არამედ უცხოელ პატრონებთან შეუთანხმებლად სიტყვასაც ვერ ძრავს.**

საქართველოს პრემიერმინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** 2016 წლის 11 დეკემბერს გერმანულ გამოცემა Die Zeit-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩვენ დაუღალავად ვიმეორებთ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა არ ისახავს მიზნად რუსეთისთვის დამუქრებას. ჩვენ გვსურს, რუსეთთან ვითანამშრომლოთ და ვერ ვხედავთ ვერავითარ წინააღმდეგობას, ამავე დროს, დასავლეთისკენ გზაზე სვლა რომ განვაგრძოთ“. აქ გიორგი კვირიკაშვილი ფაქტების დამახინჯებასაც არ მოერიდა, როდესაც განაცხადა, რომ „რუსი პოლიტიკოსების მხრიდან არ არის შესაბამისი საპასუხო ნაბიჯები“.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ მკაფიოდ მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ მზად არიან დიალოგის დასაწყებად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარებაზე. 2015 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივაზე ასე უპასუხა:

**„2008 წლის მოვლენების შემდეგ ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია, ჩვენ არ ვართ დაძაბულობის მიზეზი... რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს, პირველ რიგში, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების საქმეა, მათთან უნდა იმუშაოთ. ჩვენ ნებისმიერ გადაწყვეტილებას მივიღებთ. საჭიროა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა“.**

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებას ნაბიჯიც არ გადაუდგამს რუსეთთან დიალოგის დაწყების გზაზე. ეს იმიტომ, რომ სწორედ დასავლეთის — ნატოსა და აშშ-ის, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის — გავლენისთვის ვერ დაუღწევია თავი, თუმცა ეს არც სურს, რადგან მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს და არა ქვეყნისთვის სასიცოცხლო ინტერესების გატარებაზე.

**„ნატოს წევრობას არაფერი აქვს საერთო ტერიტორიულ მთლიანობასთან.** პირველ რიგში, ნატოში შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გამოვრიცხეთ ამ მიზნის მიღწევა სამხედრო გზით. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი გზა ნდობის ხარისხის ამაღლებაში მდგომარეობს, ერთი მხრივ, ქართველებს, ხოლო, მეორე მხრივ, აფხაზებსა და ოსებს შორის. ნატოს წევრობას კი მასთან არაფერი აქვს საერთო. ნატოსთან თანამშრომლობის მიზანი მხოლოდ სამხედრო მფარველობის მოპოვება არ არის. აქ საუბარია ღირებულებებზე, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, აქ საუბარია ამა თუ იმ ბანაკის წევრობაზე. საქართველომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება: ჩვენ გვინდა ევროპული და ტრანსატლანტიკური ბანაკის წევრობა. ეს ჩვენთვის ნიშნავს, რომ ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ნატოს სტანდარტებს შეესაბამება. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია ერთგულება. საქართველო თავს მიიჩნევს ევროკავშირის, ნატოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულ პარტნიორად სამხრეთ კავკასიაში“, — განუცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა გერმანული გამოცემის ჟურნალისტს.

**გიორგი კვირიკაშვილი საქართველოს პირველი პრემიერმინისტრია, რომელმაც აღიარა, რომ ნატოში საქართველოს შესვლის მიზანი არ არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.** და, აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ყველა ხელისუფლების დაპირება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ფარსი იყო და მოსახლეობისთვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე აზრის ჩანერგვას ემსახურებოდა. **აღსანიშნავია, რომ ნატოს წესდების თანახმად, ამ ალიანსის წევრობის მსურველ ქვეყანას ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. ისე კი, ნატოს წევრობას მართლაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან, დასავლეთს საქართველო ნატოს წევრად მხოლოდ იმიტომ სურს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე განალაგოს სამხედრო ბაზები რუსეთთან კონფრონტაციისთვის და საქართველო ამ კონფრონტაციის პოლიგონად აქციოს.**

2008 წლიდან, როდესაც ნატოს ბუქარესტის სამიტზე განაცხადეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესაძლო შესვლის თაობაზე, ნატოს დელეგაცია 4-ჯერ ჩამოვიდა საქართველოში (უპრეცედენტო შემთხვევაა), ქართველი ჯარისკაცები კი სიცოცხლეს სწირავდნენ და სწირავენ უცხო ქვეყნებში სხვადასხვა მისიის შესრულებისას, რომელთა მიზანი დასავლეთის ინტერესების დაცვაა, მაგრამ ალიანსში შესასვლელი კარი საქართველოსთვის მაინც ჩარაზულია.

ნატოს ერთი წევრი ქვეყანაც რომ იყოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს შესვლის წინააღმდეგი, ამ ორგანიზაციაში არავინ მიგვიღებს. არადა, ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, წინააღმდეგი არიან. აი, რას განაცხადა საფრანგეთის სენატის წევრმა **ემერი დე მონტესკიუმ: „საფრანგეთი და გერმანია წინააღმდეგნი არიან უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ნატოში შესვლის. ეს აბსოლუტური პროვოკაცია იქნება“.** ასეთივე თვალსაზრისი აქვს საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ **ფრანსუა ოლანდსაც.**

ნატოში საქართველოს შესვლის უპერსპექტივობაზე ლაპარაკობდნენ მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნების ლიდერებიც:

აშშ-ის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა: „რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებსაც გამოხატული აქვთ ნატოში წევრობის სურვილი, ყველა ასეთი ქვეყნის განაცხადი უნდა იყოს უარყოფილი, რადგან, ჩვენი აზრით, ნატო ამ ეტაპზე არ უნდა გაფართოვდეს“.**

მხოლოდ ეს ფრაზებია საკმარისი, რომ შევიგნოთ: **დასავლეთს ისედაც ბევრი პრობლემა აქვს და ნატოში საქართველოს მიღებით კიდევ უფრო არ აიტკივებს თავს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება კვლავ ჯიუტად ადგას აშშ-ის მარიონეტი სააკაშვილის მიერ გატკეპნილ გზას...** ამის დასტურია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — **ირაკლი კობახიძის** რამდენიმე დღისწინანდელი განცხადება, რომ „ჩვენი საბოლოო მიზანი ნატოში შესვლაა“:

„ნატოს საპარლამენტო ასამბლეა არის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება. დღემდე ოთხ არაწევრ ქვეყანაში გაიმართა ასამბლეა და დღეს ოთხივე ქვეყანა ნატოს სრულუფლებიანი წევრია. შესაბამისად, ამ ასამბლეის მიმართ მოლოდინი ძალიან დიდია და ეს ფორმატი, ეს ასამბლეა უნდა გამოვიყენოთ ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან კავშირების გასაღრმავებლად. ჩვენი საბოლოო მიზანი ნატოში გაერთიანებაა და ჩვენ თანმიმდევრულად მივიწევთ ამ მიზნისკენ. რა თქმა უნდა, რეალისტურად ვაფასებთ ვითარებას, რომელიც ნატოში ჩვენს შესვლასთანაა დაკავშირებული. მთავარია, ვიყოთ თანმიმდევრულები და ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მიზანს საბოლოოდ აუცილებლად მივაღწევთ“, — განაცხადა ვარშავაში ვიზიტით მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის შესახებ საუბრისას, რომელიც 26-29 მაისს თბილისში გაიმართება.

საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები, როგორც ჩანს, განზრახ არ ლაპარაკობენ, რომ **ნატოში საქართველოს შესვლა ამ ალიანსის სამხედრო ძალების განლაგებას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და სწორედ ის არის საფრთხის შემცველი ჩვენი ქვეყნისთვის, რომ რუსეთის, უდიდესი ბირთვილი არსენალის მქონე სახელმწიფოს, სამიზნეში აღმოვჩნდებით.**

მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები ნატოში საქართველოს შესვლაზე კბილებამდე შეიარაღებული რუსეთის შიშით უარს ამბობენ და მოგვიწოდებენ (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით მაინც) ამ უზარმაზარ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობა მოვაგვაროთ, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ნაბიჯს არ დგამს ამ ურთიერთობის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად, რაც შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს.

**ნიკა კორინთელი**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მიმაჩნია, რომ კარგ ქართველზე უკეთესი არავინ არის. და არ ჩამითვალოთ ეს ეროვნული განსაკუთრებულობის გამოვლენად. შოვინიზმი, ნაციონალიზმი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, რაც აშკარად ჩანს ჩემს არაერთ ფილმში, რომლებიც რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, ისრაელში თუ სხვაგან და სხვაგან მაქვს გადაღებული“.**



# «წყურვილი ბადებს ახალ წყურვილს»

**„ხელოვნების ქურუმის“ საპატიო წოდების მფლობელმა, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ კინოდოკუმენტალისტიკის კლასიკოსად აღიარებულმა გია ჭუბაბრიამ საუბარი კრიტიკული ნოტით დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეხვედრის მიზეზი საზეიმო და ამაღლებული იყო — 28 მაისს მას 80 წელი უსრულდება. იუბილე აქვს ბატონ გიას!**
**ქართულ, რუსულ და სხვა კინოენციკლოპედიებში მას მოიხსენიებენ კინორეჟისორად, კინოოპერატორად, სცენარისტად, პროფესორად, საქართველოსა და უცხოეთის კინოფესტივალების ლაურეატად.**
**მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების პატრონია: აქვს „საქონელი ურიცხვი“ — 22 ფილმი, თითოეული გამორჩეული და განსაკუთრებული. ამ ტვირთის სიმძიმემ ცოტა მხრებში მოხარა. უფრო დარგის პრობლემები აწუხებს და აფიქრებს; აქედან — ის, არცთუ საზეიმო აქცენტი, რომლითაც საუბარი დაიწყო. და კიდევ, არცთუ ლაღი ცხოვრების წლები (რბილად რომ ვთქვა), რომლებმაც მის ოჯახსა და ახლობლებზე სამუმივით გადაიარა, მაგრამ ვერ გატეხა. გაუძლო, დაძლია, მოერია.**

— საქართველოში დღეს, სამწუხაროდ, არ არსებობს დოკუმენტური ფილმის წარმოების კლასი. თუმცა შეგვიძლია დავიტრაბახოთ, რომ ჯერ კიდევ 1912 წელს **ამაშუკელმა** გადაიღო პირველი დოკუმენტური ფილმი, მაშინ, როცა სხვა ქვეყანაში არსად მსგავსი რამ არავის გაუკეთებია. მეორე დიდი პიროვნება იყო **კალატოზოვი** (კალატოზიშვილი), „ჯიმ შვანტეს“ („სვანეთის მარილის“) ავტორი. ქრონოლოგიურად მესამეა **გიორგი შენგელაია**, რომელმაც ბრწყინვალე „ალავერდობა“ გადაიღო. ამ ფილმს საფუძვლად დაედო **გურამ რჩეულიშვილის** ცნობილი ნაწარმოები „ალავერდობა“.

არის სხვა ნიჭიერი ფილმებიც.

**— არ იღებენ საქართველოში დოკუმენტურ ფილმებს?!**

— იღებენ, როგორ არ იღებენ, თანაც ხშირად უცხოელებთან ერთადაც, მაგრამ ჩვენთვის სრულიად არასაჭირო ფილმებს. არიან ნიჭიერი ბიჭები. მაგალითად, **გელა კანდელაკი**, მაგრამ ამჟამად, სამწუხაროდ, განუდგა ჩვენს დარგს. მშვენიერი სურათი გააკეთა **ნანა ჯანელიძემ** გამოჩენილ ქართველ მსახიობ **კახი კავსაძეზე**, მშვენიერი რეჟისორია **ზურა ინაშვილი.** სხვებიც არიან. მაგრამ არ ჩანს ღრმა და მნიშვნელოვანი, პრობლემური ფილმები. საქართველო, როგორც დოკუმენტალიზმის ბაზა, აუთვისებელია.

**— დღევანდელ ჩვენს დემოკრატიულობაზე რას იტყვით?**

— ძალიან გრძელი გზა გვაქვს გასავლელი დიდ დემოკრატიამდე. სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო ბევრია ისეთი, ვისაც ვერ ენდობი. დიდი ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ ჩვენი სახე, ჩვენი პორტრეტია.

ჩემი მშობლები თბილისში ილიას სახლში ცხოვრობდნენ, რომელიც თავის დროზე პაპაჩემს ჩააბარეს. ჩემი ბებია ახსენებდა „ჩერკიზოვსკაიას“ ქუჩას, დღეს, მგონი, ჩუბინიშვილის ქუჩაა. წყალდიდობების გამო გადმოსახლდნენ სოლოლაკში. 1940 წელს კი ჩეკისტები მოვიდნენ ჩვენთან და წიგნები და ხელნაწერები, რომლებიც ჩვენთან ინახებოდა, წაიღეს.

სამწუხაროა, რომ ჩვენს გარშემო ვხვდებით ადამიანებისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევებს, რაც, ჩემი აზრით, ობიექტურად, ზედმეტი გამძაფრების გარეშე უნდა ასახოს კინოხელოვნებამ. მაგალითად ვიზების ლიბერალიზაცია ავიღოთ, რომელიც დიდი პომპით მოგვანიჭეს. მხოლოდ ერთი დეტალი განვიხილოთ. ამ „უპაირატესობით“ შენგენის ზონის ქვეყნებში ჩასულმა ჩვენმა მოქალაქემ დღეში 50 ევრო უნდა დახარჯოს. ამის შესაძლებლობა თუ არა აქვს, საზღვარს ვერ გადაკვეთს.

მაშასადამე, სახალხო-საზეიმო დიდი არაფერი მომხდარა. ეს ერთი მაგალითია, მაგრამ რამდენი სხვა პრობლემაა ჩვენს სოციალურ სინამდვილეში! აი, ეს უნდა აისახოს კინოდოკუმენტალისტიკაში.

**მიმაჩნია, რომ კარგ ქართველზე უკეთესი არავინ არის. და არ ჩამითვალოთ ეს ეროვნული განსაკუთრებულობის გამოვლენად. შოვინიზმი, ნაციონალიზმი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, რაც აშკარად ჩანს ჩემს არაერთ ფილმში, რომლებიც რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, ისრაელში თუ სხვაგან და სხვაგან მაქვს გადაღებული.**

მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ იდეალური ადამიანი ძალიან ცოტაა.

**— დღევანდელ საქართველოში გეგულებათ?**

— მეგულება, რასაკვირველია. მაგალითად, ბატონ **შალვა გაბისკირიას** დაგისახელებდით, **არნოლდ გეგეჭკორს, გურამ ლომკაცს.** სხვებიც არიან, თუმცა ძალიან ცოტანი და ამიტომაა, რომ ამინდს ვერ ქმნიან.

მათი პორტრეტები უნდა წარმოაჩინოს დღევანდელმა დოკუმენტურმა კინომ.

**მაგრამ როგორ და რანაირად, როცა საქართველოში არ არსებობს დოკუმენტური ფილმების სტუდია, რაც უკვე გითხარით, და არც დოკუმენტური ფილმების კინოთეატრი, რომელიც ერთ დროს თბილისში იყო. ისიც უნდა ვთქვა, რომ უწინდელი სტუდიის ხელმძღვანელობა პრობლემებს კი არ წყვეტდა, არამედ ფულის კეთებით იყო გატაცებული.** იმავე სტუდიაში, სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალი არ იყო დასაქმებული ერთი ინტელექტუალის — **თენგიზ ნოზაძის** გარდა, რომელიც 90 წლისაა (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს) და დღესაც ნათელი აზროვნება აქვს. იყო კიდევ ერთი-ორი სამაგალითო ადამიანი, რომლებიც ადრე წავიდნენ.



**— მოვლენებზე ფილმების გადაღება, ბატონო გია, ჩვენი დოკუმენტალისტიკის აუცილებელ საქმედ მიგაჩნიათ, საქმედ, რომელიც არ კეთდება. მოვლენებს, რომლებიც დღევანდელ საქართველოს არ აკლია, ტელევიზიები (არც ესენი გვაკლია) აშუქებს. ჩაენაცვლა ტელევიზია დოკუმენტურ კინოს?**

— არა. სხვაობა თვალსაჩინოა. მაგალითად, ტელევიზია იტანს ვრცელ ინტერვიუებს, კინოეკრანი — ვერა. ტელევიზიას შეუძლია ერთი და იგივე თემა სერიებად გააგრძელოს, ციკლად, დოკუმენტური კინოეკრანი ამას გამორიცხავს...

ტელევიზიით მთელი დღის განმავლობაში სასამართლოში, პროკურატურაში, პოლიციის მუშაობაში მომხდარ ფაქტებს გადმოსცემენ, მაგრამ არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი ფილმები, რომლებიც პრობლემას სრულად, ანალიტიკურად წარმოაჩენს, მაყურებელს მისცემს გონივრულ რჩევას, მიაწვდის დასკვნას, რათა მან, მაყურებელმა, მსგავს შემთხვევებში არ გაიმეოროს სხვების შეცდომები.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ **საუბრის, ჭკუის დარიგების, რაგინდ არგუმენტირებული და სწორი იყოს, მოსასმენად, აღსაქმელად და გასათვალისწინებლად ხალხის მასა მაინცდამაინც მოტივირებული არ არის.** სამწუხაროდ, მხოლოდ შიში არის მისი მამოძრავებელი ძალა. ხალხში გამჯდარი ეს თვისება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს განსაკუთრებით გაძლიერდა, ეს თემა კინოსთვისაც ძალიან საინტერესოა, მაგრამ მისი დაძლევა და ეკრანზე გამოტანა განსაკუთრებულ პროფესიონალიზმსა და გულახდილობას მოითხოვს. **ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ გარშემო, ყოფით ურთიერთობებშიც კი ძალიან ბევრი ტყუილია. სიცრუის გარემოში გვიხდება ცხოვრება. კაცის სიტყვას ფასი დაეკარგა.სიზუსტე, მიცემული სიტყვის გაუტეხელობა, სიმართლის ერთგულება არის ჩვენში გენეტიკურად არსებული ელემენტები, რომლებიც თანამედროვე კულტურისა და დემოკრატიის საწყისია და საფუძველი.**

**მაგრამ სიყალბეც არსებობს — ერთის თქმა და მეორის გაკეთება. ასეთი დუალიზმიც არის ჩვენში.**

**— წლები გადის. იცვლება გარემო, თვალსაზრისი, ურთიერთობები, ფასეულობებიც კი. განსხვავდება თუ არა ახალგაზრდა დოკუმენტალისტ გია ჭუბაბრიას დამოკიდებულება მაესტრო გია ჭუბაბრიას პროფესიისადმი დამოკიდებულებისგან?**

— არ შეცვლილა და ვერც შეიცვლებოდა, რადგან **ჩვენი თაობა — გიორგი შენგელაია, სოფიკო ჭიაურელი, მერაბ კოკოჩაშვილი, ბორის ანდრონიკაშვილი — შემოქმედებით ადამიანებად ჩამოვყალიბდით მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, სახელგანთქმულ „ვგიკში“, ასეთი ბრწყინვალე უმაღლესი სასწავლებელი არც იყო და არც არის. საქართველოში დღეს კინოსა და თეატრის იმდენი რეჟისორია, რამდენიც ამერიკაში არ ჰყავთ. მაგრამ დონეს ნუ იკითხავთ!**

**— ე.ი., რაოდენობა ხარისხში არ გადადის?**

— ასეა. სამწუხაროა, რომ დოკუმენტალისტიკის სპეციფიკური ხელწერა ჩვენმა ახალგაზრდა რეჟისორებმა ნაკლებად იციან.

პრაქტიკა თვითდინებაზეა მიშვებული, მაგრამ არც თეორიაში გვაქვს საქმე აწყობილი. მე, მაგალითად, დავწერე კინოფილმისა და ვიდეოხელოვნების პირველი ხუთენოვანი ენციკლოპედიური ლექსიკონი. კაციშვილს ხელი არ შეუწყვია. არადა, წერის პროცესის ნორმალურად წასამართავად და, რაც მთავარია, წიგნის გამოსაცემად, მატერიალური სახსრებია საჭირო. მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, კარგ საქმეს უანგაროდ ემსახურონ. მადლობელი ვარ ქალბატონ **შუქია აფრიდონიძის**, რომელიც ქართული სინტაქსის გამართვაში დამეხმარა, აგრეთვე, ჩემი ნასტუდენტარების — **გიორგი ხარებავასა** და **ნოშრევან ჩხაიძის**, რომელიც ჩემი ინსტიტუტის დირექტორი იყო და სამ თვეში გააგდეს, ახლა ინგლისის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაგისტრია.

ამ ნაშრომის მიზანი ქართული კინოტერმინების დამკვიდრებაა.

**— არის საქართველოში რწმენის, იდეალის ერთგულების შესახებ ბოლო პერიოდში გადაღებული ფილმები?**

— ჩვენები არც ასეთ ფილმებს აკეთებენ და არც ტელეგადაცემებს

**— აი რუსეთში კი სწორედ ასეთ თემატიკაზე აკეთებენ აქცენტს...**

— რუსეთი რთული ქვეყანაა. მე რუსეთზე მადლობის მეტს ვერაფერს ვიტყვი. დიდი კულტურის ქვეყანაა. აგრესიულიცაა, არაფრის დამთმობი. მთელ მსოფლიოში ერიდებიან. ჩვენი კარის მეზობელი და უძლიერესი სახელმწიფოა. ამის გაუთვალისწინებლობა დაუშვებელია, მაგრამ არა ჩვენი ინტერესების დათმობის ხარჯზე.

არც ამერიკას უნდა ვკრათ ხელი. კარგი, დადებითი, მოწინავე, რაც ორივე ამ ქვეყანას გააჩნია, წამოვიღოთ და გამოვიყენოთ.

**რუსი ხალხივით თბილი და უბრალო ურთიერთობაში იშვიათობაა.** მთელი ციმბირი, კოლიმა მოვიარე და სიკეთისა და სიყვარულის მეტი იქიდან სხვა არაფერი ჩამომიტანია.

**— დღევანდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებისას არაერთხელ გამოიყენეთ სიტყვა „სამწუხაროდ“. მინდა გკითხოთ, მომავლისკენ მიმავალი ჩვენი გზა აუცილებლად ნატოსა და ევროკავშირზე გაივლის? „სამწუხარო“ „სასიხარულოთი“ შეიცვლება?**

— რთული საკითხია. ახალი არ იქნება, თუ გეტყვით, რომ ეს რუსეთის გაღიზიანებას გამოიწვევს. არადა, ყველა ქვეყანა ცდილობს, თავი აარიდოს რუსეთთან კონფლიქტურ ურთიერთობას. აი, ამას ვერიდები. რუსეთის პოლიტიკა არ არის ისეთი რბილი, როგორითაც რუსი ხალხი გამოირჩევა.

**— გამბედაობა, რისკი, რომლითაც ახალგაზრდობაში გამოირჩეოდით, მინელდა თანდათან? ოხოტის ზღვაში შტორმისას ისევ მზად ხართ გემის ანძაზე ასასვლელად და უზარმაზარი ტალღების გადასაღებად?**

— ახლა თბილ სავარძელში რომ ვზივარ და გესაუბრებით, ასე მგონია, რომ ვარ ამის გამკეთებელი *(ვიცინით).* თავის დროზე რომ ვრისკავდი, შიში არ მქონია და არც მეგონა, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებდი.

ნამდვილი შიში ერთხელ განვიცადე. ეს მოხდა მაშინ, როცა უშგულში ჯიხვებზე ნადირობის გადაღებას ვაპირებდით, ზვავსაშიში პერიოდი იყო და ხელი მოგვეცარა. ხევში, სტეფანწმიდაში გადმოვედით **შალვა ქირიკაშვილთან** ერთად და მისი მეგზურობით ყუროზე ავედით. საღამოს 7 საათზე დავიძარით და მხოლოდ დილის 4 საათზე მივაღწიეთ დანიშნულ ადგილამდე.

შალვამ მე და ჩემი ასისტენტი — **კობა ვანიძე** (ნათელი დაადგეს მის ხსოვნას) უფსკრულის პირას დაგვაყენა, — თქვენ აქ იდექით, მე ჯიხვებს მოვრეკავ და გადაიღეთო. ვდგავართ. ან სად ვიყავით წამსვლელი?! წამოვიდა თოვლი, ყინვამ მოუჭირა. ამოვარდა ქარი. ერთი ნაბიჯი მარჯვნივ თუ მარცხნივ და უფსკრულში ჩაიჩეხები. თავშესაფარი არსადაა. აი მაშინ მართლა შემეშინდა. ხელი ამიკანკალდა. აკანკალებული ხელით გადაღებული კადრი წუნია. ათასი უბედურება დაგიდგება ამ დროს თვალწინ, მაგრამ, როცა დავინახეთ შალვას გადმორეკილი ჯიხვები, უნიკალური კადრების გადაღების საშუალება რომ გვეძლეოდა, შიში სადღაც გაქრა. ჩვენ ჩვენი საქმე შევასრულეთ, შალვამ — თავისი: „ჯიხვსა თოფ დავკარ, ბეხრენსა, ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი“. მოკლა ჯიხვი და, როცა სიკვდილთან მებრძოლ ამ ცხოველს თვალებიდან ცრემლი ჩამოუგორდა, ეს უნიკალური კადრიც გადავიღეთ ფირზე.

**— ხვალინდელი საქართველო როგორი გესახებათ?**

— მე ახლა სიკვდილის კარიბჭესთან ვდგავარ. 80 წელიწადი ცოტა არ არის. მაგრამ ვხუმრობ, რომ 90 წლის იუბილისთვის ვემზადები. მინდა, იმ დროს მაინც ვნახო საქართველო ისეთი, როგორზეც ჩემი მშობლები ოცნებობდნენ; მინდა, რომ საქართველოში იყვნენ ისეთი მაღალი ზნეობის ადამიანები, როგორებიც რეპრესიებს შეწირული ჩემი ახლობლები და ნათესავები იყვნენ. მინდა, აღდგეს ის საოცარი კეთილშობილება, რომელიც ქართველებს ყოველთვის გამოარჩევდა; მინდა, რომ მომხვეჭელობაზე კვლავ აღზევებულიყოს გაცემის უნარი.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დოკუმენტური კადრის ფასი მის „ხორკლსა და სინედლეშია“, მის პირვანდელ შეურყვნელობაში. დოკუმენტალისტიკის მთავარი ღირებულება ესაა. ხელოვანის მიერ აღქმული და გადმოცემული სინამდვილე კი ოსტატი იუველირის მიერ დაწახნაგებული ალმასის გამობრწყინებაა.**

**ამას იქმს დიდოსტატი გია ჭუბაბრია. მისი დოკუმენტიალისტიკა შუქ-ჩრდილების ბუნებრივ არსებობაზეა აგებული. მისი ფილმები დიალოგია ბუნებრივ ყოფასთან, რეალობასთან, რომლის ურთიერთდაპირისპირებული შემადგენლები — შავი და თეთრი, სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიყვარული და ა.შ., ერთიან სტიქიად არის წარმოდგენილი. მთავარი გმირი ამ სტიქიას შეჭიდებული ადამიანია.**

**„წყურვილი ბადებს ახალ წყურვილს“ (მიქელანჯელო ბუონაროტი) — იგია შემოქმედი ადამიანის მამოძრავებელი მუხტი და შთაგონების წყაროც იგია.**

**წყურვილი ახლის შექმნის კვლავაც „აწუხებს“ ბატონ გია ჭუბაბრიას.**

სანქციები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ჯორჯ სოროსს, რომელიც, სხვათა შორის, უნგრეთშია დაბადებული, უწოდა „სპეკულანტი, რომელიც უნგრეთს უტევს და, რომელმაც მილიონობით ევროპელი გააუბედურა ფინანსური სპეკულაციების შედეგად“. და დასძინა, რომ ჯორჯ სოროსი მოწადინებულია, ევროპა მიგრანტებით გაავსოს.

# სოროსის უნივერსიტეტის დახურვის მცდელობის გამო ევროკავშირი უნგრეთს სანქციებით დაემუქრა

## უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღშფოთებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ ევროპარლამენტი ცდილობს, ქვეყანას უკარნახოს, რა უნდა გააკეთოს და რა — არა



ჯორჯ სოროსი

**უნგრეთის ხელისუფლებამ ევროკავშირი ჯორჯ სოროსის ფონდის ინტერესების დაცვაში დაადანაშაულა — ეს არის რეაქცია ბრიუსელის მუქარაზე, რომ უნგრეთს სანქციებს დაუწესებს.**

პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანის** პრესსამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ევროკავშირის მუქარა აიხსნება იმით, რომ უნგრეთის ხელისუფლებას სურს დახურვა ამერიკელი მილიარდერის — ჯორჯ სოროსის უნივერსიტეტისა, რომელიც მან 1991 წელს დააარსა „ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის ქვეყნებში დემოკრატიის გასავითარებლად“.

14 აპრილს ევროკომისიამ გამოაცხადა უცხოური უნივერსიტეტების მუშაობის შესახებ უნგრეთის ახალი კანონის განხილვის დაწყების თაობაზე. **ახალი კანონის მოთხოვნების მიხედვით, უნგრეთში მოქმედი უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებები, ასეთივე მოღვაწეობას უნდა ეწეოდნენ საკუთარ ქვეყანაშიც. აქედან გამომდინარე სოროსის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი ან უნდა დაიხუროს, ან ანალოგიურ საქმიანობას უნდა მიჰყოს ხელი აშშ-ში.**

17 მაისს კი ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც, ფაქტობრივად, იწყებს პროცედურას უნგრეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ. უნგრეთის მთავრობის განცხადებით, ბრიუსელმა შეტევა დაიწყო უნგრეთზე და აიძულებს ქვეყანას, არ დახუროს სოროსის უნივერსიტეტი და დაეთანხმოს ევროკავშირის მოთხოვნას, მიიღოს ახლო აღმოსავლელი მიგრანტები.

უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აღშფოთებას ვერ მალავენ იმის გამო, რომ ევროპარლამენტი ცდილობს, უკარნახოს ქვეყანას, რა უნდა გააკეთოს და რა — არა.

2016 წელს უნგრეთმა უარი განაცხადა ლტოლვილების მიღებაზე იმ კვოტის მიხედვით, რომელიც ბრიუსელმა დაუწესა ევროკავშირის წევრ თითოეულ ქვეყანას.

უნგრეთის ხელისუფლებამ კი ააშენა კედელი, რომლითაც გზა გადაუღობა მეზობელი ქვეყნებიდან უნგრეთში შესვლის მსურველ მიგრანტებს, უახლოეს მომავალში კი კიდევ ერთი ასეთი კედლის აშენებას გეგმავს. უნგრეთის ხელისუფლების აზრით, სწორედ ამ დემარშმა გამოიწვია ევროკავშირის გაღიზიანება.

**ევროპარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ბრიუსელის უკმაყოფილება გამოწვეულია უნგრეთში „დემოკრატიის გაუარესებით“.**

**„არსებობს ევროკავშირის ფასეულობების დარღვევის რისკი წევრი-სახელმწიფოების მხრიდან, ამიტომ კომისია იწყებს სანქციების დაწესებას“, — წერია რეზოლუციის ტექსტში.**

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციაში მითითებული არ არის კავშირზე სოროსის უნივერსიტეტის დახურვასა და სანქციებს შორის, უნგრეთის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ სწორედ სოროსის გავლენით დაიწყო ქვეყანაზე შეტევა.

„პორტუგალიის მწვანეთა პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოხსენების შედგენაზე, ბატონმა სიიარტომ აღნიშნა, რომ კენჭისყრისას ევროპარლამენტარები ეყრდნობოდნენ ჯორჯ სოროსის მოხსენებას, და დღეს ჩვენ ვხედავთ სოროსის ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლების ახალ თავდასხმებს“, — განაცხადა უნგრეთის პრემიერის პრესსამსახურის წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას ჯორჯ სოროსს, რომელიც, სხვათა შორის, უნგრეთშია დაბადებული, უწოდა **„სპეკულანტი, რომელიც უნგრეთს უტევს და, რომელმაც მილიონობით ევროპელი გააუბედურა ფინანსური სპეკულაციების შედეგად“. და დასძინა, რომ ჯორჯ სოროსი მოწადინებულია, ევროპა მიგრანტებით გაავსოს.** ორბანს, მთავრობის ბევრ წევრთან ერთად, მხარს უჭერს გავლენიანი ყოველკვირეული გამოცემა Figyelo-ს მფლობელი **მარია შმიდტი,** რომელმაც ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტს სოროსის ფორპოსტი უწოდა, თვითონ მილიარდერს კი — **„ყველაფრის განსახიერება, რაც კი ზიზღს იწვევს“: „დღეს სოროსის სახელი ნიშნავს ყველაფერ ლიბერალურს, აგრეთვე, საზიზღრობას, ანტიპატრიოტულს, უცერემონიოსა და მიუღებელს“, — დაწერა შმიდტმა.**

უნგრეთის მედია სოროსის უნივერსიტეტს ყალბი დიპლომების გაცემასა და უცხო ქვეყნების ინტერესების გატარებაში ადანაშაულებს. აგრეთვე, წერს იმ ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაზე, რომლებსაც სოროსის ფონდი „ღია საზოგადოება“ აფინანსებს.

ასე ხდება თითქმის ყველა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც სოროსის ფონდი მოღვაწეობს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ამ ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციების საწინააღმდეგოს არაფერს აკეთებს, ან რა უნდა გააკეთოს, როცა საკანონმდებლო თუ სამთავრობო სტრუქტურები სავსეა სოროსის ფონდის წიაღში გამოზრდილი და ამავე ფონდისგან გულუხვად დაფინანსებული პირებით?..

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**


ვიქტორ ორბანი

**P.S. გასულ კვირაში ევროპარლამენტის სესიაზე ლაპარაკი იყო არა მხოლოდ უნგრეთის, არამედ პოლონეთის მიერ დაშვებულ საკანონმდებლო დარღვევებზე. ევროპარლამენტის წარმომადგენელმა მიგრაციის, საშინაო საქმეებისა და მოქალაქეობის საკითხებზე — დიმიტრის ავრამოპულოსის განცხადებით, თუ უნგრეთი და პოლონეთი ამა წლის ივნისის ბოლომდე არ შეასრულებენ ვალდებულებას ევროკავშირის მიერ დაწესებული კვოტებით ლტოლვილების მიღების შესახებ, ამ შეცდომების გამოსასწორებლად ევროკავშირი დაიწყებს შესაბამის პროცედურებს. ამას კი შეიძლება სასამართლო პროცესები და ჯარიმები მოჰყვეს.**

**მიუხედავად ამისა, პოლონეთის ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ არასოდეს დათანხმდება ქვეყანაში მიგრანტების განსახლებას.**

# გუგული რესტორანსა და კაფეში სიგარეტის მოწევას ებრძვის, საქართველოში კი უმძიმესი ეკოლოგიური ვითარებაა

## გარემოს დაცვის ინდექსის მიხედვით, საქართველო 111-ე ადგილზეა და რეგიონის ყველა ქვეყანას ჩამორჩება



**საქართველოს პარლამენტმა, დეპუტატ გუგული მაღრაძის მეცადინეობით, მიიღო თამბაქოს მოხმარების შესახებ ახალი რეგულაციები, რომლებიც 2018 წლიდან ამოქმედდება და, რომელთა მიხედვითაც, თამბაქოს მოხმარება იკრძალება ნებისმიერი ტიპის შენობა-ნაგებობაში. გამონაკლისია მხოლოდ კერძო ბინები, სასჯელაღსრულების დაწესებულება, სამორინე და ფსიქიატრიული მედიცინის დაწესებულებები. სიგარეტის მოწევა იკრძალება ყველა ტიპის ტრანსპორტში (გარდა ღია კატერსა და ტაქსისა), ბენზინითა და ბუნებრივი აირით გასამართ სადგურებზე, აგრეთვე, სტადიონებზე. აღსანიშნავია, რომ თამბაქოსთან ბრძოლაში გართულ დეპუტატებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ საქართველოში უმძიმესი ეკოლოგიური ვითარებაა.**

იელის უნივერსიტეტის (აშშ) მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული გარემოს დაცვის ინდექსის (EPI) მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 111-ე ადგილზეა და რეგიონის ყველა ქვეყანას ჩამორჩება.

კვლევა ჩატარდა სხვადასხვა ინდიკატორის მიხედვით, ესენია: სოფლის მეურნეობა, ჰაერის ხარისხი, ბიომრავალფეროვნება, წყლის რესურსებისა და ტყის მასივის ზონები, აგრეთვე, სანიტარული ნორმები და სხვ. მსოფლიოს ყველაზე „მწვანე ქვეყნად“ **ფინეთი** დასახელდა, რომლის სარეიტინგო ქულა 90-ია.

**საქართველოს** ინდექსი 64.96-ია და ამ მაჩვენებლით ქვეყანა 111-ე პოზიციას იკავებს. 99-ე ადგილზეა **თურქეთი, უკრაინა** კი — 44-ზე. სარეიტინგო სიაში 37-ე ადგილს იკავებს **სომხეთი, რუსეთი** — 32-ე, ხოლო **აზერბაიჯანი 31**-ე ადგილზეა. 69-ეა **ყაზახეთი.** საქართველოს „მწვანე ქვეყნების“ რეიტინგში უსწრებს **შრი-ლანკა, ინდონეზია, ირანი** და **ეგვიპტე.**

კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 3,5 მილიარდი მოსახლე საფრთხის შემცველი ჰაერის პირობებში ცხოვრობს.


ერთ-ერთი დეპუტატი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონში ცვლილებების დამტკიცებისას

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა კვლავ რომ დაიკავა, ბერია შეუდგა რეაბილიტაციისა და გაყალბებული საქმეების გადახედვას. გამოიცა ბრძანება დაპატიმრებულთა მიმართ იძულებითი და ფიზიკური ზემოქმედების აკრძალვის შესახებ. ბერიამ შეიტანა წინადადება მოქალაქეთა უფლებების გაფართოების თაობაზე, კერძოდ, საპასპორტო შეზღუდვების გაუქმებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში 1953 წლის 15 მაისს გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ასეთი შეზღუდვები მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №18 (394)

# საბჭოების ქვეყანა. დავიწყებული ბელადები

# ლავრენტი ბერია

**ლავრენტი ბერიას არ დავიწყებია ჭაბუკობისდროინდელი გატაცება არქიტექტურით. მოსკოვის ცნობილი მაღლივი შენობები ბერიას სახელთან არის დაკავშირებული — სწორედ მას ჰქონდა დაკისრებული საბჭოთა დედაქალაქის გარდაქმნის გეგმის განხორციელება. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საბჭოთა მოქალაქეები უზრუნველეყოთ მაღალჭერიანი, ფართო ბინებით. ამ სახლებს დღესაც „სტალინკებად“ მოიხსენიებენ.**



კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ გაშლილ კამპანიასთან კი ლავრენტი ბერიას არავითარი კავშირი არ ჰქონია. პოლიტიკური კამპანია საბჭოთა ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული და გამოკვეთილად ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ბერიამ წამოაყენა წინადადება, შეეწყვიტათ ე.წ. ექიმების საქმე და მოეხდინათ ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის საქმეზე მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია.

„ექიმების საქმე“ აღიძრა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როგორც სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში სიონისტური შეთქმულების შემადგენელი ნაწილი, და მიმართული იყო კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამსახურის ექიმების ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებსაც ბრალად წაუყენეს საბჭოთა ლიდერების წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზება მათი მოკვდინების მიზნით. სისხლის სამართლის ეს საქმე ექიმ-კარდიოლოგ **ლიდია ტიმაშუკის** განცხადების საფუძველზე აღიძრა, რომლითაც მან შესაბამის ორგანოებს 1948 წელს მიმართა. იგი წერდა, რომ პოლიტბიუროს წევრ **ანდრეი ჟდანოვს** არასწორად უმკურნალეს, რამაც პაციენტის გარდაცვალება გამოიწვია...

საქმეს იძიებდა სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, რომელსაც ომისშემდგომ წლებში ხელმძღვანელობდა **ვიქტორ აბაკუმოვი.** 1951 წელს იგი დააპატიმრეს, ხოლო მის ადგილზე **სიმონ იგნატიევი** დანიშნეს. ბერიას ორივესთან, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ იგნატიევმა დაზვერვა უსუსურ მდგომარეობამდე მიიყვანა. არაპროფესიონალების მოძალებამ მრავალი ჩავარდნა — აგენტურის გაშიფვრა და ჩეკისტების მტრის მხარეზე გადასვლა გამოიწვია.

სტალინის მიერ დაწინაურებული მინისტრის წინააღმდეგ გამოსვლა ბერიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. იგი ხვდებოდა, რომ იგნატიევს ნებისმიერ მომენტში შეეძლო მისი დაპატიმრების სანქციის გაცემა. ბერიას ამ ეჭვის სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

1951 წლის ნოემბერში საქართველოში დააპატიმრეს რიგი ხელმძღვანელი მუშაკებისა. ისინი ბერიას გარემოცვის უახლოეს წრეში შედიოდნენ (ე.წ. მეგრელების საქმე). მათ ბრალად დასდეს ნაციონალიზმი და თურქეთზე ორიენტაცია, მაგრამ ამ საქმის ნამდვილი მიზეზი ლავრენტი ბერია იყო. სტალინი ერთგულ თანამებრძოლს აფრთხილებდა — დამსახურების მიუხედავად, მას ნებისმიერ დროს თავიდან მოიცილებდნენ: ქვეყანაში შეუცვლელი არავინაა.

იმხანად ბერიასთვის ხელი არავის უხლია.

1953 წლის 1 მარტს კუნცევოს აგარაკზე დაცვამ სტალინი იატაკზე უმწეო მდგომარეობაში მყოფი იპოვა. ის ტახტზე დააწვინეს და ტელეფონით თავიანთ უშუალო უფროსს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრ იგნატიევს დაუკავშირდნენ. მან მიუთითა, რომ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას დაკავშირებოდნენ.

ღამით პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რომლებიც სტალინთან სხვებზე მეტად დაახლოებულები იყვნენ, — **ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი** და **ბულგანინი** სტალინის აგარაკზე სიტუაციის გასაანალიზებლად შეიკრიბნენ. სტალინის შეწუხება ვერ გაბედეს. დაცვის განცხადებით, მას ეძინა. ექიმების მოწვევაზე ლაპარაკიც არ იყო, რადგან სტალინის გაგებით, ისინი მკვლელებად აღიქმებოდნენ („ექიმების საქმე“) და გარისკვა ვერავინ გაბედა.

მეორე დილით დაცვამ, იმის შიშით, რომ უმოქმედობა არ დაბრალებოდათ, კვლავ დარეკა „ზევით“. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ცეკას ბიურომ გადაწყვეტილება ექიმების სტალინთან გამოძახების თაობაზე. დიაგნოზი უმძიმესი იყო — ტვინში სისხლის ჩაქცევა.

**4 მარტს გაზეთებში გამოქვეყნდა პირველი ოფიციალური ცნობა სტალინის ავადმყოფობის შესახებ. ეს ნიშნავდა, რომ გამოჯანმრთელების იმედი არ არსებობდა.**

იმავე დღეს ბერიამ და მალენკოვმა მოამზადეს წინადადება ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის შესახებ, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მეორე დღესვე ერთხმად მიიღეს. **სტალინის მიმდევრები ქმნიდნენ ძალაუფლების ისეთ სისტემას, რომლის დამკვიდრების შემდეგ არავის ექნებოდა უპირობო ლიდერობის პრეტენზიაც კი. ცენტრალური კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელობა მიანდეს ნიკიტა ხრუშჩოვს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ანუ მთავრობის მეთაური გახდა გიორგი მალენკოვი, მისი ერთ-ერთი პირველი მოადგილე — ლავრენტი ბერია. მასვე დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულება. სტალინის კანდიდატურა არც ერთ ხელმძღვანელ პოსტზე არ განიხილებოდა, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროში ფორმალურად იყო ჩართული.**

**1953 წლის 5 მარტს, 21 საათსა და 50 წუთზე, საშინელი აგონიის შემდეგ სტალინი გარდაიცვალა.**

„ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო ახლობელი და მშობლიური იყო ყველა საბჭოთა ადამიანისთვის, მსოფლიოს მილიონობით მშრომელისთვის, გარდაიცვალა სტალინი“, — განაცხადა ბერიამ მავზოლეუმის ტრიბუნიდან ბელადის დაკრძალვის გამო წითელ მოედანზე გამართულ მიტინგზე.

**მოგვიანებით გაჩნდა ვერსია, რომ სტალინი მოწამლეს, ხოლო შეთქმულება მის წინააღმდეგ ბერიას მიერ იყო მოწყობილი. ამ ბრალდების არავითარი სერიოზული საფუძველი არ არსებობდა, რადგან ბერიას საამისოდ არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა.**

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ლავრენტი ბერიას მის მიერ ჩაფიქრებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შანსი გაუჩნდა, რომლებიც, სტალინის დებულების თანახმად, ქვეყანაში დიდი ხნის მომწიფებული იყო.

**შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობა კვლავ რომ დაიკავა, ბერია შეუდგა რეაბილიტაციისა და გაყალბებული საქმეების გადახედვას. გამოიცა ბრძანება დაპატიმრებულთა მიმართ იძულებითი და ფიზიკური ზემოქმედების აკრძალვის შესახებ. ბერიამ შეიტანა წინადადება მოქალაქეთა უფლებების გაფართოების თაობაზე, კერძოდ, საპასპორტო შეზღუდვების გაუქმებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში 1953 წლის 15 მაისს გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ ასეთი შეზღუდვები მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს.**

1953 წლის მარტში ბერიამ კიდევ ერთი ინიციატივის განხორციელების საკითხი დააყენა, საქმე ეხებოდა მილიონამდე ადამიანის რეაბილიტაციას. **ამნისტიას ექვემდებარებოდა სასჯელმისჯილთა რამდენიმე კატეგორია, მათ შორის იყვნენ ხუთ წლამდე პატიმრობა მისჯილები, მცირეწლოვანი შვილების დედები და ორსული ქალები, არასრულწლოვანები, ხანდაზმულები და უკურნებელი სენით დაავადებულები.**

ეს წერილი ბერიამ სამუშაო დოკუმენტის სახით იურიდიული შემადგენლის გარეშე წარადგინა, მაგრამ ერთი დღის შემდეგ გენერალურ პროკურატურასთან და იუსტიციის სამინისტროსთან კონსულტაციის ჩაუტარებლად საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტი ვოროშილოვმა** და პრეზიდიუმის მდივანმა **პეგოვმა** ხელი მოაწერეს ბრძანებულებას ამნისტიის შესახებ. ასეთ აჩქარებას შედეგად მოჰყვა ის, რომ აღნიშნული კატეგორიის პატიმრებთან ერთად გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის დამნაშავეთა დიდი ჯგუფები, რამაც ქვეყანაში დანაშაულის არნახული ზრდა გამოიწვია.

ამ ამნისტიას ხალხმა **ვოროშილოვის ამნისტია** უწოდა, თუმცა ბერიას დაპატიმრების შემდეგ ყველაფერი უარყოფითი, რაც ამ ღონისძიებას მოჰყვა ხრუშჩოვმა ბერიას დააბრალა.

**ქვეყანაში მოქალაქეთა ცხოვრების რეალური დონის შესახებ ბერიამ საბჭოთა ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებზე უკეთ იცოდა: მოუგვარებელი საცხოვრებელი პირობები, პირველი მოხმარების საქონლის ნაკლებობა, გლეხების გაღატაკება. ბერია გამოდიოდა სამხედრო ხარჯების შემცირებისა და ძვირად ღირებული მშენებლობების კონსერვაციის მოთხოვნით. მან წამოაყენა წინადადება სახალხო მეურნეობის მართვაში პარტიის ჩარევის მინიმუმამდე დაყვანის შესახებ. დაიწყო რესპუბლიკებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ეროვნული კადრების, ანუ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების დაწინაურება.** ის აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო პრობლემების მოგვარებაში. მისი მოთხოვნით დაიწყო მოლაპარაკე- ▶



სტალინი ტუშინოს აეროდრომზე




ბერიას უახლოესი გარემოცვა — „მეგრელთა საქმის“ ფიგურანტები



სტალინი და მისი თანამებრძოლნი

**ქვეყანაში მოქალაქეთა ცხოვრების რეალური დონის შესახებ ბერიამ საბჭოთა ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებზე უკეთ იცოდა: მოუგვარებელი საცხოვრებელი პირობები, პირველი მოხმარების საქონლის ნაკლებობა, გლეხების გაღატაკება. ბერია გამოდიოდა სამხედრო ხარჯების შემცირებისა და ძვირად ღირებული მშენებლობების კონსერვაციის მოთხოვნით. მან წამოაყენა წინადადება სახალხო მეურნეობის მართვაში პარტიის ჩარევის მინიმუმამდე დაყვანის შესახებ. დაიწყო რესპუბლიკებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ეროვნული კადრების, ანუ მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების დაწინაურება.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ბერიას გამოსვლა სამგლოვიარო მიტინგზე


ასე აშენებდნენ სოციალიზმს


ბერიას დაპატიმრების ორგანიზატორები — ხრუშჩოვი და ჟუკოვი

ბა სსრკ-ის მიერ მხარდაჭერილ ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის მიმდინარე ომის შეწყვეტისთვის, სამხრეთ კორეას აშშ სამხედრო დახმარებას უწევდა. ბერიამ ასევე დაიწყო იუგოსლავიასთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენაზე ზრუნვა. სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებში ბერიასა და იუგოსლავიის ლიდერ **იოსიფ ბროზ ტიტოს** შორის ურთიერთობის დაძაბვამ ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ მტრულად განაწყო: საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე აშშ-ის გავლენის ზონაში მოექცა, ბერია კი შეეცადა ამ საგარეო-პოლიტიკური პრობლემის მოგვარებას.

**საერთაშორისო პოლიტიკის მეორე უმწვავეს საკითხად დამარცხებული გერმანიის ბედის განსაზღვრა რჩებოდა. იალტასა და პოტსდამში მიღებული შეთანხმებების მიხედვით, იგი უნდა აღმდგარიყო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, რომელიც არც ერთ სამხედრო ბლოკში არ იქნებოდა გაერთიანებული, მაგრამ ისტორიამ სხვაგვარად ინება.**

**1953 წელს გერმანია ორად იყო გაყოფილი — აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიებად. ბერია ამ ქვეყნის გაერთიანების მომხრე იყო, თანაც, რაც შეიძლება მალე. მისი აზრით, ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვას.**

იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში მოექცა და საბჭოთა ჯარების მიერ იქნა ოკუპირებული. საბჭოთა დიპლომატები არაერთგზის შეეცადნენ გერმანიის მთლიანობის აღდგენას, მაგრამ აშშ და დიდი ბრიტანეთი უარს ამბობდნენ, რადგან თავიანთი სამხედრო ბაზების განსალაგებლად სსრკ-ის საზღვრებთან ახლოს ტერიტორიები სჭირდებოდათ.

1949 წლის სექტემბერში აშშ-დიდი ბრიტანეთის ოკუპაციის ზონაში შექმნეს ახალი სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საბჭოთა მთავრობამ პასუხად იმავე წლის ოქტომბერში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაყალიბა.

**ბერია მთავრობის წევრებს სთავაზობდა საბჭოთა სახელმწიფო სისტემის მასშტაბურ გარდაქმნას. ეს წინადადებები მისი ლიკვიდაციის შემდეგ განხორციელდა.**

**ბერიას აქტიურობამ შეაშფოთა ხრუშჩოვი და პარტიული ბიუროკრატია. ბერიას ქმედებებსა და განცხადებებში მათ დაინახეს ქვეყნის ხელმძღვანელობაში პირველი ადგილის მოპოვების სურვილი და მისწრაფება. ამასთანავე, ბერია ფლობდა მაკომპრომენტირებელ მასალებს საბჭოთა ლიდერებზე ოციანი წლებიდან მოყოლებული.**

**სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბერია დარწმუნებული იყო თავის უვნებლობაში. ხრუშჩოვს სერიოზულად არ აღიქვამდა, ხოლო თავისი უახლოესი მეგობრის, გიორგი მალენკოვის, მხრიდან ღალატს აბსოლუტურად გამორიცხავდა.**

**მაგრამ ხრუშჩოვმა, რომელიც განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულ პირობებში აწყობდა შეთქმულებას ბერიას წინააღმდეგ, მალენკოვის გადაბირება შეძლო.**

თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა არმიის მხარდაჭერის უზრუნველყოფა მოახერხა. მარშალი **ჟუკოვიც** შეთქმულთა მხარეს დადგა.

ლავრენტი ბერიას დაპატიმრება და სიკვდილი დღემდე დისკუსიის საგნად რჩება. **ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 26 ივნისს ბერია საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დასასწრებლად მიიწვიეს. მას ბრალად დასდეს ბურჟუაზიული გადაგვარება და სახელმწიფო გადატრიალების მომზადება. ხრუშჩოვის მიერ მიცემული ნიშნისთანავე სხდომათა დარბაზში შევიდა შეიარაღებული სამხედროების ჯგუფი. ბერია დააპატიმრეს და მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის მიწისქვეშა ბუნკერში გამოამწყვდიეს, სადაც იგი ნახევარი წლის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდა, მაგრამ ბევრს არ სჯერა, რომ მართლაც ასე იყო. სერგო ბერია დარწმუნებული იყო, რომ მამამისი დაპატიმრებისთანავე მოკლეს. ხოლო დააპატიმრეს არა კრემლში, არამედ მის სახლში, მალაია ნიკიტსკაიას ქუჩაზე. მეორე ვერსიით, ბერია დახვრიტეს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანამდე დიდი ხნით ადრე.**

ბერიას საქმეში ბევრი უცნაურობა და შეუთავსებლობაა. მაგალითად, მისი დაპატიმრების დადგენილება გამოწერილია 1953 წლის 8 ივლისს, ანუ დაპატიმრების ოფიციალური თარიღიდან 12 დღის გასვლის შემდეგ. საქმის მასალებში არ არის ბერიას ფოტოსურათები და მისი თითების ანაბეჭდები, რაც საბჭოთა საქმის წარმოებაში აბსოლუტურად დაუშვებელი იყო. არ არის პირში წაყენების არც ერთი ოქმი, არც ერთ დოკუმენტზე არ არის ბერიას ხელმოწერა.

თვითმხილველები აცხადებენ, რომ ბუნკერიდან, რომელშიც თითქოს მოთავსებული იყო პატიმარი, დაკითხვებზე გამოჰყავდათ პირსახოცით სახედაფარული კაცი, რომელსაც ბერიას შლიაპა ეხურა.

**ბევრი მათგანი, ვინც 1953 წლის 29 დეკემბერს ესწრებოდა ლავრენტი ბერიას სასამართლოს, ამტკიცებდა, რომ ცოცხალი ბრალდებული იქ არ უნახავთ. იმ პროცესზე ბერიას ან მის ორეულს ბრალად დასდეს დიდი ბრიტანეთის სასარგებლოდ წარმოებული ჯაშუშობა, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და სხვა დანაშაულები.**

მაგრამ ამ სასამართლო სხდომამდე დიდი ხნით ადრე, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხრუშჩოვმა იგი ავანტიურისტად და დიდ ინტრიგანად მონათლა, დამსწრეთ შეახსენა მისი საქმიანობა მუსავატელთა კონტრდაზვერვაში და შემდეგ განაცხადა: „მოხერხებულობა, თავხედობა და ურცხვობა ბერიას ძირითადი თვისებებია“.

**ხრუშჩოვის მმართველობის წლებში პრესასა და ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალებით ბერიას დემონიზება მოხდა, მას, როგორც მთავარ დამნაშავეს, დაბრალდა ყველა მასობრივი რეპრესიის განხორციელება. იმ ეპოქის ყველა ცოდვა მას აჰკიდეს**

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მხარი აუბეს ცენტრალურმა გაზეთებმა. პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომელმაც ააფორიაქა საბჭოთა მოქალაქეები: ბერია თითქოს ძალადობდა ქალებზე და არც არასრულწლოვან გოგოებზე ამბობდა უარს. მოარული ხმების მიხედვით, მათ მოსკოვის ქუჩებში იჭერდნენ შინსახკომის თანამშრომლები და მინისტრთან შინ მიჰყავდათ.

მორალური გახრწნის ბრალდება ხალხში სწრაფად გავრცელდა და სხვა ბრალდებებთან შედარებით ყველაზე ცხოველუნარიანი აღმოჩნდა.

სუსტი სქესი ბერიას მართლაც უყვარდა, მაგრამ ეს შეხვედრები ორმხრივი თანხმობით ხდებოდა...

ბერიას დაპატიმრების შესახებ ცნობის გამოქვეყნების მეორე დღესვე ვინმე **ვალენტინა დროზდოვამ** პროკურატურაში განცხადება შეიტანა. იგი ჩიოდა, რომ ოთხი წლის წინათ, როცა 16 წლისა იყო, ბერიამ გააუპატიურა და ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით განაგრძობდა მასთან ცხოვრებას.

როგორც შემდეგ გაირკვა, დროზდოვა წლების განმავლობაში ბერიას საყვარელი იყო, მათ გოგოც შეეძინათ, პროკურატურას კი იმიტომ მიმართა, რომ შეეშინდა, არ წაერთმიათ შვილი, რომლის მამაც სახელმწიფო დამნაშავედ გამოაცხადეს. სასამართლო ასეთი დეტალებით არ დაინტერესდა — მცირეწლოვანების გახრწნა, რომელიც ბერიას წაუყენეს, დამტკიცებულად ითვლებოდა...

**ბერიას ცოლი ნინო გეგეჭკორი და მისი ვაჟი სერგო ლეფორტოვოს ციხეში გამოამწყვდიეს. არც ერთ მათგანს ახლობელი ადამიანის წინააღმდეგ ჩვენება არ მიუცია. ასე მოიქცნენ ბერიას უახლოესი თანამებრძოლნიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, დააპატიმრეს.**

1953 წლის 24 დეკემბერს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა მასალა ბერიასა და სხვების სისხლის სამართლის ბრალდებით გასამართლების შესახებ. პუბლიკაციაში ჩამოთვლილი იყო ბერიასა და კიდევ 6 ბრალდებულის დანაშაულები და ქვეყნდებოდა განაჩენი — დახვრეტა. მუქი შრიფტით იყო დაბეჭდილი: **„განაჩენი აღსრულებულია“.**

სად არის დამარხული ბერია, დღემდე არავინ იცის. ოფიციალურად ითვლება, რომ მისი ცხედარი დონის ახალი სასაფლაოს ერთ-ერთ საერთო სამარხში არის დაკრძალული, მაგრამ გვამის კრემაციის დამადასტურებელი ცნობა არსად ჩანს.

1952 წელს გამოვიდა დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ბერიასადმი მიძღვნილი სტატია მისი პორტრეტით. 1954 წელს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ხელმომწერებმა მოულოდნელად მიიღეს წერილი რედაქციისგან: მათ დაბეჯითებით ურჩევდნენ მაკრატლით ამოეჭრათ ბერიასადმი მიძღვნილი გვერდები და ჩაეწებებინათ სხვა გვერდები, რომლებიც იმავე წერილით იყო დაგზავნილი.

**ხრუშჩოვის მმართველობის წლებში პრესასა და ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალებით ბერიას დემონიზება მოხდა, მას, როგორც მთავარ დამნაშავეს, დაბრალდა ყველა მასობრივი რეპრესიის განხორციელება. იმ ეპოქის ყველა ცოდვა მას აჰკიდეს.**

2002 წლის მაისში რუსეთის ფედერაციის სამხედრო კოლეგიამ საბოლოოდ მიიჩნია ლავრენტი ბერია პირად, რომელსაც რეაბილიტაცია არასოდეს შეეხება. მასობრივ რეპრესიებში თანამონაწილეობამ და ხალხთა დეპორტაციის ორგანიზებამ გადაწონა ყველაფერი, რაც კი ბერიამ ქვეყანას გაუკეთა: ომისა და ომის შემდგომ წლებში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, ატომური ბომბის, ბაქტეოროლოგიური იარაღისა და სარაკეტო-კოსმოსური ჯარების შესაქმნელად მასშტაბური სამუშაოების ორგანიზება, რომლის გარეშეც საბჭოთა კავშირი ვერ დაამყარებდა სამხედრო პარიტეტს შეერთებულ შტატებთან.

დაივიწყეს გულაგში რეჟიმის შერბილება, უსამართლოდ მსჯავრდებულთა პირველი რეაბილიტაციებიც და საბჭოთა კავშირის მმართველობის სისტემის დემოკრატიზაციის მცდელობაც.

მომდევნო თაობებისთვის იგი წარმოდგა, როგორც შურიანი ტირანი, რომელიც სისხლში ახრჩობდა თავის მტრებს.

ფილმის საგაზეთო ვარიანტი მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**



გაზეთ „პრავდას“ 1953 წლის 24 დეკემბრის ნომერი



ბერიას საყვარელი ვალენტინა დროზდოვა


ლავრენტი ბერია ოჯახის წევრებთან ერთად

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თბილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს და თან ვინმე მშრომელს და ხეირიანს პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს მარტო იმისთვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოდ რატომ არ დაღოღიალობსო. სადაც გინდათ, იშრომეთ, სადაც გსურდეთ, ისწავლეთ, რაც გინდა, ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ“.**

# წყევლაკრულვიანი საკითხავი

**ჩვენმა სამოციანელებმა და ხალხოსნებმა ბრწყინვალედ გააშუქეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რთული პრობლემები და უდიდესი როლი შეასრულეს ამ ურთიერთობათა განმტკიცებაში. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, ყველგან და ყოველთვის სამშობლოს პროგრესის, მისი აწმყოსა და მომავლის ინტერესებიდან გამოდიოდნენ, იბრძოდნენ რუს ხალხთან, მოწინავე რუსეთთან მეგობრული კავშირის განსამტკიცებლად, რომლის გარეშე მათ წარმოუდგენლად მიაჩნდათ საქართველოს წინსვლა და განვითარება. მათ, შეიძლება ითქვას, ბრძოლა უხდებოდათ ორ ფრონტზე — მეფის მოხელეებისა და ქართველი ფსევდოპატრიოტების წინააღმდეგ.**



ნიკო ნიკოლაძე

ორ ფრონტზე ბრძოლა დღესაც გრძელდება. თუ ნაციონალისტურად განწყობილი ქართველი „პატრიოტები“ მაშინ განსაკუთრებით მკაცრად ესხმოდნენ თავს **ნიკო ნიკოლაძეს**, რადგან გამოჩენილი პუბლიცისტი ხშირად საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწეობდა და რუსულ პრესაში აქტიურად თანამშრომლობდა, თანამედროვე ვაიპატრიოტებიც დღესაც იმავეს აკეთებენ ვითომდა მამულის საკეთილდღეოდ — ისტორიის გაყალბებით ცდილობენ, ქართველი ერის მეხსიერებიდან ამოშალონ ის დიდი პროგრესი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ნიკო ნიკოლაძეს არაერთხელ გაუცია დასაბუთებული საკადრისი პასუხი ამ ვაიპატრიოტებისთვის და, შესაძლოა, ბევრისთვის თვალიც აუხელია, მაგრამ დღევანდელი „გამოსოროსებული“ მანქურთები (მანქურთი იდეალური მონაა, რომელსაც ყველაფერი დავიწყებული აქვს — საკუთარი წარსული, ენა, ისტორია, დედ-მამასაც კი ვერ ცნობს — რედ.) გადამთიელი ბატონის გოშიები არიან და მხოლოდ მის ბრძანებებს ასრულებენ.

**„მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ,** — წერდა ნიკო ნიკოლაძე თავის **„სალამში“** 1876 წელს, — **მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა, სხვისთვის თაყვანი არ მიცია...** მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყანაში ბევრ ალმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა.

მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით.

**...მიმაჩნია, რომ გინდ ქართულ ენაზე გემსახუროს შენ კაცმა, გინდ თათრულზე, ოღონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა აღადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს, — სულერთია. ამ აზრით, მე სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული ნიადაგ შენი ერთგული, შენი მსახური ვიყავი“** (ტ. IV. გვ. 361-362).

თავის პოლემიკურ სტატიაში **„მამულის სიყვარული და მსახურება“** იგი წერდა:

„ნუთუ, მაგალითად, კარგს იზამდნენ ილ. ჭავჭავაძის მრჩევლები, 1856 წ. რუსეთში წასვლა რომ დაეშალათ მისთვის და ეთქვათ, სჯობს ქართულად გამოიზარდო, რომ ქართველობის გრძნობა არ დაგეკარგოსო, ნუთუ ამით სარგებლობას მოუტანდნენ ისინი საქართველოს?!“

ასევე სალად და დამაჯერებლად მსჯელობს ნ. ნიკოლაძე ენის საკითხზეც:

„კაცმა რომ თქვას, მარტო რუსულ ან მარტო ევროპულ ენებზე უნდა ვსწეროთ, ქართული კი სრულიად მივატოვოთო, — ეს, რასაკვირველია, სიბრიყვე იქნება. ჩვენი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის მოყვარეთაგან ორგვარ შრომას მოითხოვს: ერთის მხრით, ჩვენ უნდა ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლად, მისი გონების გასახსნელად, მისი ხასიათის გასამაგრებლად. უეჭველია, რომ ამგვარი შრომა მარტო ქართულს ენაზე შეიძლება, მაგრამ ამასთანავე ჩვენვე უნდა ვშრომობდეთ რუსულს და სხვა ენებზედაც. იმ აზრით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება და სურვილი გავაცნოთ“.

სხვა წერილებში *(„უკაჟო მაჭახელას“)* ნიკო ნიკოლაძე მთელ ქართველობას ორ ნაწილად ყოფს: ერთნი მხოლოდ თავისი ეგოისტური, პირადი სარგებლობისთვის ზრუნავენ, მეორეთ კი „საკუთარ სარგებლობაზე უმალ საზოგადო სიკეთე და მამულის სიყვარული მიუძღვით“ წინ. პირველნი, სადაც გინდა ცხოვრობდნენ — სამშობლოში თუ მის საზღვრებს მიღმა, „ყველგან და ყოველთვის მუქთი მჭამლები და უხეირო წევრები იქნებიან თავიანთი ქვეყნისათვის...

**...სიბრიყვეა, ერთი რომელიმე ურიგო და უნიჭო კაცი თბილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრეოდეს და თან ვინმე მშრომელს და ხეირიანს პირს, რომელიც პარიჟის ბიბლიოთეკაში შრომობს, მამულის უსიყვარულობას აბრალებდეს მარტო იმისთვის, რომ საქართველოში ჩემსავით უსარგებლოდ რატომ არ დაღოღიალობსო. სადაც გინდათ იშრომეთ, სადაც გსურდეთ ისწავლეთ, რაც გინდა ჰქენით, ოღონდ კი თქვენი მამული გიყვარდეთ, ოღონდ კი მის სასარგებლოდ იშრომეთ, ოღონდ კი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მისი სახელის გადიდებაზე, მისი კეთილდღეობის მოახლოებაზე იმეცადინეთ“** (ტ. IV, გვ. 551-553).

დღეს რამდენი ურიგო და უნიჭო კაცი „თბილისის მოედანზე უსარგებლოთ დაეთრევა“, უსარგებლოდ ყოფნას კიდევ ვინღა ჩივის, ქართული მენტალობის, ტრადიციების ამოძირკვისთვის გულმოდგინედ რომ არ ირჯებოდეს. აგერ ახლა, რამდენიმე დღის წინათ, ქართველი მართლმადიდებლები ოჯახის სიწმინდის დღეს აღნიშნავდნენ, ვაიპატრიოტები კი სოდომ-გომორული ცოდვის პროპაგანდით იყვნენ დაკავებულნი — ლგბტ-თა „უფლებების დაცვით“, რომლებსაც არავინ არაფერს ერჩის, თუ „საკუთარ კანში“ დაეტევიან და თავიანთ ბინძურ ზრახვებს მხოლოდ ერთმანეთს გაუზიარებენ. აი ეს საკითხი არ იდგა ნიკო ნიკოლაძის დროინდელ საქართველოში, პედერასტები ქორწინების და ბავშვების შვილად აყვანის მოთხოვნებს არ უყენებდნენ ნორმალურ საზოგადოებას, იცოდნენ, რომ ეს არანორმალური იქნებოდა. ნიკო ნიკოლაძისა და სხვა პარტიოტთათვის მთავარი საპოლემიკო თემა მამულის სიყვარული და მსახურება იყო, იმის მიუხედავად, სად იქნებოდნენ — შინ თუ გარეთ:

**„მართალია, ჩვენის ქვეყნისთვის ის უფრო ემჯობინება, რომ მისი ჩინებულად ნასწავლნი და დახელოვნებულნი შვილები მასშივე შრომობდნენ, დანარჩენ მის შვილებს პირდაპირ ეხმარებოდენ, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, მე ოცდაათს შინაურს უმეცარს ერთი „გასული“ ნასწავლი მირჩევნია. ...სხვა რომ არ იყოს რა, ჩვენებური კაცი, რუსეთში პროფესორად გამხდარი, ერთს ჩვენებურს სტუდენტს ხელს მაინც გაუწყობს, ერთს ჩვენს ყმაწვილს მაინც დაიფარავს და შემწეობას მისცემს თავის გავლენით“**(ტ. IV, გვ. 551-553).

1857-1861 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში ოცდაათზე მეტი ქართველი ჭაბუკი სწავლობდა. სწორედ პეტერბურგში აღიზარდა ქართველ სამოციანელთა შესანიშნავი პლეადა — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეები, კირილე ლორთქიფანიძე და ქართული კულტურის სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. პეტერბურგის უნივერსიტეტსა და ქართველ სამოციანელთა შესახებ შემდეგ ნომერში გიამბობთ.



# ბორის პასტერნაკი: არსად მივდივარ, მე თქვენს სახლში დავრჩი!

**სერგეი ესენინი, ანდრეი ბელი, ვიქტორ გოლცევი, იური ტინიანოვი, პავლე ანტოკოლსკი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ლეონიდ ლეონოვი, ბორის პასტერნაკი... — ეს იმ ცნობილ ადამიანთა სახელებია, რომლებიც უზომოდ შეყვარებულნი იყვნენ საქართველოზე და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, ქართველ მეგობრებთან სტუმრად ჩამოსულიყვნენ.**

ცალკე ისტორიაა ბორის პასტერნაკი და საქართველო. მან ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში, შემდეგ კი დევნის პერიოდში, 1959 წელს, მეორე სამშობლო ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. იგი, საქართველოსთან და ქართველ პოეტებთან ურთიერთობით, შეიძლება ითქვას, მეორედ დაიბადა. პირველი სტუმრობის შემდეგ გამოცემულ მის პოეტურ კრებულს ასეც ერქვა — „მეორედ დაბადება“.

ბორის პასტერნაკმა შესანიშნავად თარგმნა ქართველი პოეტების ნაწარმოებები, განსაკუთრებით ეს ბარათაშვილის შემოქმედებაზე ითქმის.

პასტერნაკს გაუმართლა ქართველ მთარგმნელებშიც. XX საუკუნის არც ერთი დიდი რომანი არ არის ქართულად ორჯერ თარგმნილი, „ექიმ ჟივაგოს“ ორი განსხვავებული თარგმანი კი, **აკაკი ბრეგაძისა** და **ნოდარ ნონიაშვილის** მიერ შესრულებული, თითქმის ერთდროულად გამოვიდა. სხვადასხვა დროს პასტერნაკის ლექსები თარგმნეს **სიმონ ჩიქოვანმა, თამაზ ჩხენკელმა, მორის ფოცხიშვილმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა, ირაკლი სურგულაძემ, თედო ბექიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ და სხვებმა.**

პასტერნაკი ოთხჯერ იყო საქართველოში.

პირველი, ყველაზე შთამბეჭდავი ვიზიტი 1931 წლის ზაფხულში შედგა. 13 ივლისს მან რუსული და ქართული კლასიკური ლიტერატურიდან კარგად ნაცნობი მარშრუტი გამოიარა — ჩრდილოეთ კავკასიიდან, დარიალისა და მლეთის გავლით. 14 ივლისს, გამთენიისას, იგი თბილისში იყო, საღამოს პაოლო იაშვილსა და სხვა ცისფერყანწელებს შეხვდა.

მეორე დღეს ქართველ მეგობრებთან ერთად მცხეთას ესტუმრა, მოინახულა ჯვარი; აგვისტოში კი კოჯორში ისვენებდა, სასტუმრო „კურორტის“ მე-8 ნომერში. კოჯრიდან პოეტი აბასთუმანში წაიყვანეს, შემდეგ — ბორჯომსა და ბაკურიანში, სადაც იმხანად **გიორგი ლეონიძე** ისვენებდა, ბოლო წერტილი ქობულეთი იყო, იქ პაოლო იაშვილი მასპინძლობდა პასტერნაკს.

ამ პერიოდიდან პასტერნაკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველომ. მან გამოსცა წიგნი **„ლექსები საქართველოზე, ქართველი პოეტები“.**

მოგვიანებით მისი ქართველი მეგობრები რეპრესიებს შეეწირნენ, მაგრამ პასტერნაკი ბოლომდე ერთგული დარჩა მათი — ტიციანსა და პაოლო იაშვილს ხშირად დიდი გულისტკივილით იხსენებდა. სიკვდილამდე ბალიშის ქვეშ ჰქონდა ტიციან ტაბიძის წერილები და მეგობრობას აგრძელებდა მის ოჯახთან. ის, რომ „ექიმი ჟივაგოს“ წერა მან ტიციანის ფურცლებზე დაიწყო, რომლებზეც, 1937 წლის რეპრესიები რომ არა, ტიციანი, ალბათ, არა ერთ შედევრს შექმნიდა და შესძენდა ქართული პოეზიის საგანძურს... მაგრამ არ დასცალდა, ნინა ტაბიძემ კი ისინი ბორისს უსახსოვრა. ბუნებრივია, პასტერნაკისთვის ეს მხოლოდ ფურცლები არ იყო.

და შეიქმნა რომანი „ექიმი ჟივაგო“, ნაწარმოები, რომელმაც კლასიკური რუსული პროზა დაასრულა, შეცვალა ქვეყანა და ადამიანები. მაშინდელმა ოფიციოზმა ამ ნაწარმოებს ატომური ლიტერატურული ბომბი უწოდა. ის ყველაზე დიდი „სამხილი“ აღმოჩნდა 68 წლის პასტერნაკის წინააღმდეგ. მწერალი აიძულეს, უარი ეთქვა ნობელის პრემიაზე და „პრავდაში“ გამოაქვეყნებინეს ერთგვარი მონანიების წერილიც.

1959 წლის თებერვალ-მარტში პასტერნაკი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში. თბილისიდან გამგზავრებისას კი დაძრული მატარებლიდან გადმოსძახა ნინო ტაბიძეს: „ნინა, არსად მივდივარ, მე თქვენს სახლში დავრჩი, იქ მეძებეთ!“. პასტერნაკი დღესაც იქ არის — ტიციან ტაბიძის სახლში, სადაც მას თბილად იგონებენ და ტიციანის შვილიშვილის, პროფესორ **ნიკოლოზ ანდრიაძის** ოჯახი მეგობრობას განაგრძობს ბორის პასტერნაკის შთამომავლებთან.

ფილიმონ ქორიძემ ეროვნულ-საეკლესიო საგანძურის — ქართული გალობის გადასარჩენად უარი თქვა უპრეცენდენტოდ სახელოვან და წარმატებულ საოპერო მომღერლის კარიერაზე. უფლისა და მამულის სიყვარულით აღვსილმა თავისი ცხოვრება, პირადი თუ ოჯახის კეთილდღეობა შესწირა ქართული გალობის გადარჩენას.

ეს უნდა გვახსოვდეს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკვდავი სახელები: წმიდა ფილიმონ მგალობელი

ფილიმონ ქორიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც შეძლო ქართული სულისა და კულტურის გადარჩენა, აღორძინება, განვითარება და ახალი სიცოცხლით შემოსვა. აღმოსავლეთ საქართველოში 2000-მდე სამგალობლო ნიმუში კარბელაშვილებმა, ხოლო დასავლეთში 5000-ზე მეტი ქართული საგალობელი ქორიძემ და კერესელიძემ შეაგროვეს. ეს ადამიანები რომ არა, საუკუნოდ გაქრებოდა მსოფლიო კულტურაში ჩვენი ერის მიერ შეტანილი ყველაზე დიდი სულიერი საგანძური.

საქართველოს ეკლესიამ, მისმა წმიდა სინოდმა ფილიმონ ქორიძეს, კანონიზაციის შემდეგ, უწოდა წმიდა ფილიმონ მგალობელი, ერისთვის თავდადებული.

ფილიმონ ქორიძემ ეროვნულ-საეკლესიო საგანძურის — ქართული გალობის გადასარჩენად უარი თქვა უპრეცენდენტოდ სახელოვან და წარმატებულ საოპერო მომღერლის კარიერაზე. უფლისა და მამულის სიყვარულით აღვსილმა თავისი ცხოვრება, პირადი თუ ოჯახის კეთილდღეობა შესწირა ქართული გალობის გადარჩენას.

ფილიმონ ქორიძე იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მუსიკოსი, რომელმაც იტალიაში მიიღო სისტემური ევროპული მუსიკალური განათლება. ის იყო პირველი ქართველი საოპერო მომღერალი, რომელიც უდიდესი წარმატებითა და აღიარებით გამოდიოდა ევროპისა და ამერიკის საოპერო სცენებზე.





ფილიმონ ქორიძე

ფილიმონ ქორიძე იყო პირველი ქართველი პროფესიონალი მუსიკოსი, რომელმაც იტალიაში მიიღო სისტემური ევროპული მუსიკალური განათლება. ის იყო პირველი ქართველი საოპერო მომღერალი, რომელიც უდიდესი წარმატებითა და აღიარებით გამოდიოდა ევროპისა და ამერიკის საოპერო სცენებზე

ფილიმონ ქორიძე დაიბადა 1835 წელს, გურიაში, სოფელ გამოჩინებულში, მღვდლის — იესე ქორიძის ოჯახში. გალობის ნიჭითა და ულამაზესი ხმით დაჯილდოებული პატარა ფილიმონი ადრეული წლებიდანვე გამოირჩეოდა საგალობლების ცოდნით.

1855 წელს ფილიმონმა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ კი სრულიად შეცვალა ფილიმონ ქორიძის ცხოვრება:

ერთხელ სტუმრად მყოფმა ფილიმონ ქორიძემ რამდენიმე იტალიელი გაიცნო, ისინი იმხანად თბილისის საოპერო თეატრის დასში მონაწილეობდნენ (იტალიიდან მოწვეული დასი თბილისის ოპერაში 1851-1872 წლებში გამოდიოდა). ქართული პურობის წესისამებრ, სუფრასთან ფილიმონმა სხვა ქართველებთან ერთად, რამდენიმე საგალობელი, ხალხური სიმღერა და რომანსი შეასრულა. მომღერლის ბანმა იტალიელები აღაფრთოვანა. **„ამ ხმით თქვენ ქვეყანას დაიმონებთ“,** — აღტაცებას ვერ მალავდა იტალიელი დირიჟორი.

იტალიელები ისე დაინტერესდნენ ფილიმონის უნიკალური მუსიკალურ-ვოკალური მონაცემებით, რომ მის მოსასმენად სიონის საკათედრო ტაძარში მივიდნენ. წირვის შემდეგ დირიჟორმა ფილიმონს ურჩია: **„არ შემიძლია თვალი არ აგიხილოთ. თქვენი ხმა დიდი და არაჩვეულებრივი განძია... მკერდში სამჭედლოს საბერველი გაქვთ, ამ საბერვლის მოხმარება კი არ იცით. სერიოზულად გირჩევთ, საოპერო სიმღერა ისწავლოთ. აქ თქვენი შესაფერი მასწავლებელი არ გვეგულება. წადით იტალიაში! თქვენი ხმის პატრონს იქ საუკეთესო პროფესორები უფასოდ გასწავლიან. მაშინ დიდი მომღერალი გახდებით**“.

1868 წელს ფილიმონი დაოჯახდა ვინმე ხანჯალაძის ქალზე (სახელი უცნობია). მეუღლის ოჯახის დახმარებით მისი ოცნება ასრულდა — შეძლო იტალიაში, მილანში, გამგზავრება და განათლების მიღება.

იტალიაში ქორიძის პირველ საკონცერტო გამოსვლებს დიდი წარმატებები ჰქონდა. ამავე პერიოდში ქორიძე კოლეგების დასთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. მას ყველგან მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ.

**ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ შედგა ფილიმონ ქორიძის დებიუტი მილანის თეატრ ლა სკალაში. დებიუტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ქართველი მუსიკოსი იტალიის ყველაზე ცნობილი და აღიარებული ბანი გახდა.**

1870 წელს ფილიმონს გარდაეცვალა მეუღლე. ის საქართველოში ჩამოვიდა და ერთხანს სამშობლოში დარჩა.

1872 წელს ფილიმონ ქორიძე მიიწვიეს პეტერბურგში, საიმპერატორო თეატრში. რუსულმა საზოგადოებამ ფილიმონი თავიდან მოწონებით მიიღო. მაგრამ ცოტა ხანში იტალიურად მომღერალი პირველი ქართველის მიმართ კეთილგანწყობა უარყოფითი დამოკიდებულებით შეიცვალა — მას აღიარებდნენ იტაhლიური რეპერტუარის კარგ შემსრულებლად, მაგრამ უწუნებდნენ რუსული საოპერო მუსიკის ცოდნასა და საშემსრულებლო ოსტატობას.

ამ მძიმე პერიოდში ახალგაზრდა მოღვაწისათვის ღვთისგან მოვლენილი ნუგეში აღმოჩნდა უკრაინელი სენატორის ქალიშვილის, ზინაიდა ვოროზეცის, თანაგრძნობა და გულისხმიერება. 1873 წელს ფილიმონმა და ზინაიდამ იქორწინეს.

1874 წელს მეუღლეები იტალიაში ჩავიდნენ. ქართველი მომღერლის არნახული წარმატების ამბავი საქართველოშიც ჩამოვიდა.

საყოველთაოდ აღიარებულ მომღერალს ევროპაში გამოჩენილი ხელოვანის პატივი და დიდება არ აკლდა. ჰქონდა უზრუნველი და საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ მას მოსვენებას მხოლოდ ერთი რამ აკარგვინებდა — სამშობლოში ყოფნის დაუოკებელი სურვილი.

1881-1883 წლებში ფილიმონ ქორიძე გასტროლებით მიიწვიეს თბილისის საოპერო თეატრში, ამავე წელს იგი ოჯახთან ერთად ბრუნდება საქართველოში და თბილისში სახლდება.

აი, როგორ ყვება თავად წმიდა ფილიმონი საგალობელთა გადარჩენის პროცესში თავისი ჩართვის ამბავს:

**„1870-1880 წლებში ტფილისის სამღვდელოებას აღეძრა ლაპარაკი ქართული გალობის ნოტებზედ გადაღების შესახებ, რომლის განსახორციელებლადაც შეედგინათ კომიტეტი და მგალობლებიც მოეწვიათ, მაგრამ რადგანაც ვითომცდა მცოდნე კაცებს გადაეწყვიტათ, რომ ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღება შეუძლებელიაო, ამისთვის საქმე ჩაშლილიყო და დავიწყებას მისცემოდა. 1880-1883 წლების საოპერო სეზონებში მიწვეული ვიყავ მე ევროპიდან ტფილისის თეატრში. შევასრულე თუ არა ვადა სამსახურისა და დავაპირე ევროპაში წასვლა, ამ დროს მოვიდა ჩემთან რამდენიმე ქართველი მგალობელი და მკითხეს: „შესაძლებელია თუ არა ქართული გალობის გადაღება ნოტებზეო?“ — „ძალიან ადვილად-მეთქი“, — ვუპასუხე. იმათ ეჭვის თვალით შემომხედეს. „მობრძანდით ხვალ, მიგალობეთ, რაც გინდათ და მაშინ შეიტყობთ, რაც მოხდება-მეთქი“, — ვუთხარი. მოვიდნენ, იგალობეს, დავაწყვე ნოტებზე და ვუგალობე მათი ნათქვამი და ფორტეპიანოზედ გავაგონე ახლად დაწერილი გალობები. მაშინ დარწმუნდნენ რომ ქართული გალობის ნოტებზედ დაწყობა შესაძლებელი ყოფილა.**

**რუსული და ქართული გაზეთებიც დიდი თანაგრძნობით იხსენიებდნენ ამ სასიამოვნო მოვლენას. საქმე დადგა ისე, რომ გალობის წერა ტფილისში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებისა გამო ეს აღარ მოხდა. დაიწერა საგალობლები დიდის სიფრთხილით, მოიწონა საზოგადოებამ და სცნო მისი სინამდვილე. ცოტაოდენი დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ სოფელი რას ამბობს? არ სწამს. ის ჩვენებური არ იქნებაო. ხალხის ასეთმა ეჭვმა და ურწმენელობამ მაიძულა, სოფელშიც მომესმენინებინა ნოტებზედ დაწყობილი გალობა. სამი თუ ოთხი წელი ვიარე სხვადასხვა სოფლებში: ბევრგან გავაჩაღე წირვის გალობა, რომლის მოსმენისთანავე ხალხის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა“** (ფილიმონ ქორიძე. ივერია, 1899 წლის 12 ნოემბერი).

ამ საქმეში ფილიმონის თანამდგომლები, წმიდა ილია ჭავჭავაძესთან და წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსთან ერთად, იყვნენ დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ილია კიკნაველიძე, ალექსანდრე ბერიძე და სხვები.

ქართული საგალობლების ნოტირებას ფილიმონ ქორიძე 1882 წელს შეუდგა. ფილიმონმა გადაწყვიტა, მგალობელ-მომღერალთა გუნდი ჩამოეყალიბებინა, რათა მის მიერ ჩაწერილი საგალობლები შეესრულებინა, გაევრცელებინა და ხალხისათვის შეეყვარებინა. მართლაც, ჩამოყალიბდა ასეთი გუნდი, რომელთან ერთად შრომას ფილიმონი გაასკეცებული ენერგიითა და გატაცებით შეუდგა.

ამრიგად, **ცხოვრება ადამიანისა, რომელსაც ელოდებოდა იტალიის წამყვანი თეატრები, სრულიად შეიცვალა — ევროპული საოპერო კარიერა დაივიწყა და თავისი სამშობლოს მეჭირნახულედ, მისი საუნჯის მცველად იქცა.**

**1887 წელს ფილიმონმა გადასცა წმიდა გაბრიელს აღთქმული 400 საგალობლისაგან შემდგარი კრებული.**

საგალობლებისა და სიმღერების ჩაწერის საქმეს ფილიმონი სიცოცხლის ბოლომდე უდიდესი პასუხისმგებლობითა და თავდადებით ეკიდებოდა.

ქორიძემ შეადგინდა და „ძმობასთან“ ერთად გამოსცა „სახელმძღვანელო ნოტებისა და მისი კანონების შესწავლისათვის“.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში დიდი მოღვაწის ცხოვრება უსახსრო და მატერიალური შეჭირვებული იყო. გამოუცნობია ადამიანის ბედი — იტალიის გამორჩეული მაესტრო თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ინსტრუმენტების აწყობით ირჩენდა თავს, ქართული მუსიკალური საუნჯის გადამრჩენელი ლუკმაპურის მოსაპოვებლად იბრძოდა. ასეთი გარემოებები ფილიმონ ქორიძის მოღვაწეობის კიდევ ერთი ეკლიანი გვირგვინი იყო. ამ ყველაფრის მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე ქართული გალობის გადარჩენას ემსახურა.

დიდმა მოღვაწემ საგალობლების გამოცემა გადაწყვიტა. ვინაიდან, საქართველოში ეს ვერ ხერხდებოდა, იტალიელებს დაუკავშირდა და თვითონ აპირებდა ნოტების იტალიაში წაღებას, რადგანაც ეშინოდა, ფოსტას გზაში არ დაეკარგა.

ევროპაში წასვლის წინ ფილიმონი ბახმაროში გაემგზავრა. სამწუხაროდ, ცხენით მგზავრობისას ძველი უნაგირისაგან დაშავებულა, სისხლი მოსწამვლია და სულ რაღაც ორ დღეში გარდაცვლილა, 1911 წლის 12 ივლისს.

ფილიმონ ქორიძე ბახმაროდან ჩამოსვენებისთანავე ოზურგეთში, ხის ეკლესიაში დაუსვენებიათ. ღვაწლმოსილი მამულიშვილი ეკლესიის სიახლოვეს მდებარე სასაფლაოზე დიდი პატივით დაუკრძალავთ.

გვერდები მოამზადა **დარეჯან ანდრიაძემ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართული ენა ლამის წალეკოს ინგლისურმა სიტყვებმა: ტენდერი, თინეიჯერი, მენეჯერი, მენეჯმენტი, კასტინგი, ინგრედიენტები, ბეგრაუნდი, პროვაიდერი, პრომოუშენი, კრეატიული, ბრენდი, ბენდი, სმაილი, დისტრიბუტორი, ტრენინგი, ლაივი, ამბადასორიალი, თოქშოუ, შოუ, პრაიმტაიმი, ნაითშოუ, ფიფლმეტრი, ბორდი... საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტმა გვამცნო — ექვსი ბორდელი ვიყავითო. რა მშვენიერი წინადადებაა, არა?**

# «რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს»...

**ეს ჭეშმარიტება „შვილებთან“ ბრძოლისას დიდ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს, დასცდა და ამ აზრის ქვეტექსტი, ეტყობა, არც გახუნდება. რა ენა წახდესო და, ჩვენს თვალწინ, კარგა ხანია, დაიწყო ჩვენი მშობლიური ენის წახდენა თავისივე ღვიძლი შვილების მოწადინებითა თუ მცდელობით.**

დიდმა ნიკო მარმა ბრძანა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“.

ამ „მსოფლიო ენას“, ვფიქრობ, ისე ვანდალურად ვექცევით, ისე დაუფიქრებლად თავს ვახვევთ უცხო სიტყვებსა თუ გამოთქმებს, გონიერი ადამიანი თუ დაფიქრდება, სიგიჟემდეც მივა. ჩემ მიერ მოხმობილი სიტყვები თუ გამოთქმები საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების ნააზრევიდანაა, რაც უფრო საშიშ მოვლენად მიმაჩნია...

თვალსა და ხელს შუა იკარგება სიტყვები — **კარგია, მშვენიერია, ლამაზია, დიდებულია, მრავლისმთქმელია, სწორუპოვარია, განუმეორებელია** და ა.შ. მათ ნაცვლად ისმის: **მაგარია, ძაან მაგარია, უმაგრესია, მაგარი გოგო ხარ, მაგარი ბიჭი ხარ, ძაან მაგრობაა.** ამ სიტყვას, რატომღაც, სიამოვნებით იყენებს დიდი თუ პატარა, განსწავლული თუ განუსწავლელი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ბავშვებს ხომ, კარგა ხანია, პირზე აკერიათ. აი, ცნობილი ჟურნალისტის ნააზრევი: **„მოდაშია** ეკლესიაზე თავდასხმები და ყველაზე **მაგარი პროდვინუტი** ისაა, ვინც „ფბ“-ზე ან მედიაში ღიად ლანძღავს პატრიარქსა და ეკლესიას... საოცრებათა ქვეყანა ვართ რა... პოლიტიკურ რანგში აიყვანეს უკვე ადამიანების რწმენა და რა ვიცი... ძალიან **მაგრობაა** ეს ნეტავ?“ ეს ჟურნალისტი, რომელსაც **მეთქი**-სა და **თქო**-ს ფუნქციები ვერ გაურჩევია, იმასაც ბრძანებდა, მოსამართლე **დაკავდეს** თაროზე შემოდებული საქმეებითო. **დაკავდეს** კი, მოგეხსენებათ, რუსულის კალკია... უცხო სიტყვებითა და კალკირებული მეტყველებით თავს ნუ მოვიწონებთ, იგი ჩვენი ლექსიკის სიღარიბეზე მეტყველებს.

ბოლო ორი ათეული წელია, უხვად შემოდის ჩვენში ინგლისური ლექსიკა. ვის ესაჭიროება ეს? ჩამორჩენილობა რომ არ დაგვწამონ? იქნებ, ჩამორჩენილობა სწორედ ის არის, შენი რომ ვერ გაგითავისებია და სხვისას ეპოტინები? ნამდვილის ნაცვლად ხშირად იყენებენ სიტყვა **„ავთენტურს“.** უკვე მოგახსენეთ რატომ — ყველას დაანახვო, — ეს სიტყვა შენც იცი... აი, ეს არის ჩამორჩენილობა!

მსახიობი ქალბატონი ბრძანებს: „მიუხედავად ჩემი **დაკავებულობისა**, ბავშვებს ზღაპრებს ვუკითხავ“. ქალბატონო მსახიობო, თქვენც გმართებთ სწორად და ქართულად ბრძანოთ: **მოუცლელობის მიუხედავად** და არა **დაკავებულობის** მიუხედავად, მით უფრო, რომ ამ **დაკავებულობას** სხვადასხვა მნიშვნელობითაც იყენებს მავანი.

თვალსაჩინო თანამდებობის პირი ბრძანებს: „გასულ წელს იყო წარმატებები“ და ამ აზრს ლოგიკურად უნდა მოსდევდეს „წარუმატებლობანი“, მაგრამ ამის ნაცვლად ამბობს გამოწვევებიო. ეს სიტყვა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა აზრით გამოიყენება. ვინ, რატომ მოიგონა ეს სიტყვა, ვინ იცის?! ეტყობა, რაღაც სიტყვა თარგმნეს ინგლისურიდან და ეს გაუგებარი სიტყვა მიიღეს. გამოწვევა შეიძლება დუელში, აგრეთვე, — წვევამდელების გაწვევა არმიაში.

ქართული ენა ლამის წალეკოს ინგლისურმა სიტყვებმა: **ტენდერი, თინეიჯერი, მენეჯერი, მენეჯმენტი, კასტინგი, ინგრედიენტები, ბეგრაუნდი, პროვაიდერი, პრომოუშენი, კრეატიული, ბრენდი, ბენდი, სმაილი, დისტრიბუტორი, ტრენინგი, ლაივი, ამბადასორიალი, თოქშოუ, შოუ, პრაიმტაიმი, ნაითშოუ, ფიფლმეტრი, ბორდი...** საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტმა გვამცნო, — ექვსი **ბორდელი** ვიყავითო. რა მშვენიერი წინადადებაა, არა? ერთი ცნობილი ჟურნალისტი გვიმტკიცებდა, მითვალთვალებენო და ტელეეკრანიდან ამ მოთვალთვალეებს მიმართა, — რა გინდათ ჩემგან, **დაკავდით** სხვა საქმით, მე თავი დამანებეთო. მრცხვენია, რომ ჟურნალისტებს ეს **დაკავდით** ისე აქვთ ჩაჭედილი გონებაში, რომ ამ კალკირებულ სიტყვას ვერ იშორებენ.

აი, „ქართული სიტყვები თუ გამოთქმები“, რომლებსაც უკვე დაპყრობილი აქვს სივრცე: **„ამ ბიზნესით ცნობადობა გაიზრდება“, „ფაქტობრივად სახეზეა“,** ამ „ფაქტობრივის“ გადამკიდენი ვკარგავთ მშვენიერ, ტევად სიტყვას — არსებითად. **„ნარკოტიკის ამოღება“, „იყო თანხვედრაში“, „აღმოჩენა გააკეთა“, „ესენი არიან კლინიკები“, „საჩუქარი გაუკეთა“,** სიძვირე-სიიაფის ნაცვლად ისმის **„მაღალი ფასები, დაბალი ფასები“**, „პოლიტიკით **დაკავდა“**, „პოლიტიკაში წავიდა“,



თითქოს პოლიტიკა ქალაქი ან ქვეყანა იყოს და იქ მიდიოდეს ადამიანი. **„არასწორი ნაბიჯი გააკეთა“, „ეს კანონი შესაბამისობაში არ მოდის“... „მე თავის დროზე გავაჟღერე“,** ჩემი ცოდვა იმას, ვინც ეს **„გაჟღერება“** ყველაფერს მიუსადაგა, გაჟღერება ხომ მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებისა შეიძლება? **„ბუნებაში არ არსებობს“** ამბობს ზოგიერთი. რა იცი, რა არსებობს და რა არ არსებობს ბუნებაში? — სწორედ უცნაურია! ნაცვლად მშვენიერი სიტყვისა „მიმაჩნია“, სისტემატურად ისმის „მე ვთვლი“, ესეც „ია სჩიტაიუს“ კალკია. ითვლიან ბატებს, ძროხებსა და ა.შ. „თბილისიდან **ვიდრე** ქუთაისამდე“ რა შუაშია აქ ზედმეტი „ვიდრე“? „უძლიერესის სტატუსს **ატარებს**“, „ეზოს დასუფთავებას **აწარმოებდა**“, თავისუფლებაზე **უშვებენ**“, „ახალი თაობის ყავა“, ყავა გასულიერებულია და თაობაც ჰყოლია, ასევეა „ახალი თაობის მობილურები“, **„მოგზაურობაში გაემგზავრა“, „პოლიტიზირებული“, „მექანიზირებული“,** „ნასვამ **მდგომარეობაში“**, „არაკანონიერ **ქმედებებს ჩადიან“,** ძალიან ხშირად ისმის: „ვაუ“ და უამრავი ამდაგვარი უმსგავსობა...

ხშირად ისმის, აგრეთვე, სამარცხვინო გამოთქმები: „კარგი ბავშვებია“, „დიდებული ადამიანებია“, „ეს ის ადამიანებია“, „ეს არიან“, ამ ე.წ. წინადადებებით ადამიანები, არც მეტი, არც ნაკლები, უსულო საგნებად არიან გადაქცეულნი.

ძალზე მიღებულია ამა თუ იმ ადამიანის დახასიათებისას მათი გაზვიადებული წარმოჩენა: ლეგენდარულია, გრანდიოზულია, ფანტასტი(კ)ურია... უსასრულოდ შეიძლება ამ უმსგავსობებზე საუბარი.

ტელეეკრანები სავსეა ინგლისური წარწერებით. რას ნიშნავს **„ვებნიუსი“, „პალიტრანიუსი?“** ნუთუ ჩვენმა „მსოფლიო მნიშვნელობის“ ენამ შესატყვისი ვერ მოუნახა მათ? თუ ნაბრძანები არ გაქვთ, რატომ, რატომ ამცრობთ მშობლიურ ენას და, თუ ნაბრძანები გაქვთ, როგორ შეიძლება ასეთი უგუნური ბრძანების აღსრულება?! რატომ ძალადობთ მშობლიურ ენაზე? **„ათი საქართველოს მოქალაქე“... რა ბედნიერებაა, ათი საქართველო ყოფილა ქვეყნად!**

სკოლიდან მოირბენდა ხოლმე ჩემი პირველკლასელი შვილიშვილი და, რომ გავეხარებინე, მეუბნებოდა, მასწავლებელმა „სმაილი“ დამიწერაო. „სმაილი“ ღიმილი ყოფილა, რა თქმა უნდა, ინგლისურად. ხედავთ? ბავშვების ინგლისურით მოწამვლას პირველი კლასიდანვე იწყებენ... ვაი, ჩვენს უბედურებას...

ჟურნალისტი ეკითხება ბავშვს: **ვინ** გინდა გამოხვიდე? ამ კითხვის ლოგიკური პასუხი იქნებოდა: მინდა გამოვიდე ვაჟა-ფშაველა, მაკედონელი, ჩაპლინი, ნაპოლეონი და ა.შ. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ბავშვმა სწორად და სხარტად უპასუხა, — რა მინდა გამოვიდე და ექიმიო. ჟურნალისტების ასეთი მიუტევებელი შეცდომები იშვიათობა როდია.

ასე ჩიქორთულად მოსაუბრეთ მიმართავდა დიდი პოეტი: **„ილაპარაკეთ, გევედრებით, ოღონდ ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“.**

პრემიერმა რამდენჯერმე გაგვახარა, როცა გვამცნო: ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო. ეტყობა, სტრატეგიული პარტნიორობისას, პარტნიორი ქვეყნები ერთმანეთის ენას გახელებული სწავლობენ; ჩანს, ამერიკაც ქართულის სწავლაშია ჩართულიმეთქი. ეს აზრი რომ გავუმხილე, სიცილით დიდხანს იყო ჩაბჟირებული ჩემი მეგობარი, — მეტი საქმე არა აქვთ ამერიკელებს, ჩვენი ენა ისწავლონო! **მაშ, რა გამოდის, სტრატეგიული პარტნიორობა იგივე ბატონყმობაა? ხვალ რომ ჩინეთმა დაგვიპყროს, ჩინური ენა როგორ და რანაირად უნდა ისწავლო? თუმცა, ქართველები ისეთი ნიჭიერები ვართ, ადვილად ვსწავლობთ ბატონის ენას.** ვაი, ჩვენს გაძლებას!

## მუხლებისა და ბარძაყების გამოფენა

ცალკე საუბრის თემაა ის სიშიშვლე და ურცხვობა, რომელიც ასე ხშირად ჩანს ტელეეკრანზე. ქალები აჩვენებენ მუხლებს, ბარძაყებს და ა.შ. ეტყობა, ესეც ნაბრძანებია ოკეანის გაღმიდან... ზის ქალი სტუდიაში და მთელი გულმოდგინებით აჩენს ყველაფერს, რაც სწორედ რომ დასაფარია. ჩანს, ყველაფერი მართლა პირწმინდად უნდა აითვისო „სტრატეგიული პარტნიორისა“. ლამაზისა და მშვენიერის ნაცვლად ქალთა ბაგეებიდან მხოლოდ და მხოლოდ ისმის — „სექსუალურია!“. არანაირი სირცხვილი და მოკრძალება — რა, ჩამორჩენილები ხომ არ არიან?!..

ამ დამშეულ ქვეყანაში სირცხვილია და უხერხული ნაირნაირი კერძების მზადება სტუდიებში. ამას უყურებს საცოდავი, მშიერი მოსახლეობა და ვფიქრობ, უნდა აიკრძალოს ადამიანების თუნდაც ამგვარი დამცირება.

საინტერესოა, რას არქმევენ ქართველები თავიანთ შვილებს ან რას ირქმევენ ისინი თვითონ: ნანკა, ნანიკო, ნანუკა, ლიკა, რუსა, რუსკა, თეკო, ეკო, თეკუნა, ეკუნა, ეთო, ეთიკო, ქეთა, ქეთუსია, ქეთათო, ნუკა, ვახო, გიკა, გუკა, გოკა, ოთო, თაზო, ზუკა, ვიკა, იკა, ბუკა, ვაკო, ვატო, შაკო, დიმა, აჩიკო... ნოდარი რომ გქვია და თავს ნოდიკოდ გვამცნობ, ან ვახტანგი გქვია და ვახოდ გვეცნობი, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. მარინა-ირინა ხომ, დიდი ხანია, დამკვიდრდა ჩვენში.

წარმოვიდგინოთ **დავით აღმაშენებელი** დათიკო ან დათო აღმაშენებლად, თამარ მეფე — თამრიკო მეფედ, **დემეტრე თავდადებული** — დიტო-მიტო თავდადებულად, **ქეთევან წამებული** — ქეთუსია წამებულად, **გიორგი ბრწყინვალე** — გოგა ბრწყინვალედ, — როდემდე ამდენი სისულელე და იწილო-ბიწილო?

ისევ დიდი პოეტი მახსენდება თავისი **„ჯერ ვითვლებით ქართველებად, თუ არ გაგვაესკიმოსეთ“-ი.** ვაი, რომ ჩვენივე „დიდი ქართველების“ ფრიადი მცდელობით აღარა გვაკლია „გაესკიმოსებას“.

საქართველოს მოსახლეობის მესამედი საარსებო საშუალების მოსაპოვებლად სხვა ქვეყნებშია გაკრეფილი, ვინც აქ დავრჩით, ისინიც ასე ვიქცევით — არაქართულად, ურცხვად და ასე საძაგლად ვმეტყველებთ, მეტი რაღაა საჭირო ერის გადაშენებისთვის? ვაი, რომ ეს პროცესი დღითიდღე თვალსაჩინო ხდება, ხელისუფლება კი ტკბება თავისი ხელის უფლებით და არის თავისთვის, ხალხიც... თავისთვის!

**აი «ქართული სიტყვები თუ გამოთქმები», რომლებსაც უკვე დაპყრობილი აქვს სივრცე: «ამ ბიზნესით ცნობადობა გაიზრდება», «ფაქტობრივად სახეზეა», ამ «ფაქტობრივის» გადამკიდენი ვკარგავთ მშვენიერ, ტევად სიტყვას — არსებითად. «ნარკოტიკის ამოღება», «იყო თანხვედრაში», «აღმოჩენა გააკეთა», «ესენი არიან კლინიკები», «საჩუქარი გაუკეთა», სიძვირე-სიიაფის ნაცვლად ისმის «მაღალი ფასები, დაბალი ფასები», «პოლიტიკით დაკავდა», «პოლიტიკაში წავიდა», თითქოს პოლიტიკა ქალაქი ან ქვეყანა იყოს და იქ მიდიოდეს ადამიანი. «არასწორი ნაბიჯი გააკეთა», «ეს კანონი შესაბამისობაში არ მოდის»... «მე თავის დროზე გავაჟღერე», ჩემი ცოდვა იმას, ვინც ეს «გაჟღერება» ყველაფერს მიუსადაგა, გაჟღერება ხომ მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებისა შეიძლება?**

**ბელა შალვაშვილი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბლის ნაყოფი მოითხოვს ფაქიზად და ფრთხილად კრეფას. სპეციფიკური ჯიშების გარდა (მშრალი მოკრეფის ჯიშები — ტეჩლოვანი და სხვ.) აუცილებელია ყუნწით მოკრეფა. ბლის ნაყოფი არათანაბრად მწიფდება, ამიტომ მიზანშეწონილია მისი ორ ვადაში კრეფა. მოკრეფილი ნაყოფის გაჩერება სიცხეში და მაღალ ტემპერატურაზე მიზანშეუწონელია. ბლის ხანგრძლივი შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის აუცილებელია ნაყოფის სწრაფი გაცივება (მოკრეფიდან არაუგვიანეს 3-4 საათისა) სხვადასხვა მეთოდით (ჰიდროგაცივება, ვაკუუმგაცივება და სხვ.).**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

> რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი.**

# ბლის კულტურა, გაშენება და მოვლა

**ბალი კურკოვანი კულტურების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. როგორც ადრეული საზაფხულო ხილი, წარმატებით მოყავთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ნახევარსფეროებში. ბლის ბაღების ფართობები მსოფლიოში 150 000 ჰა აღწევს. ხოლო წლიური გლობალური წარმოება შეადგენს 2,4-2,5 მილიონ ტონას . ბლის მთავარი მწარმოებელი ქვეყნებია — თურქეთი (494 325 ტონა), აშშ (301 205 ტონა), ირანი (200 000 ტონა) და იტალია (131 175 ტონა). საქართველოში ბლის წარმოება 2 700 (2015)-5 600 (2013) ტონის ფარგლებშია.**

ბალი მდიდარია ადამიანისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის საკვები ელემენტებით. ნაყოფში ხსნადი მშრალი ნივთიერების შემცველობა 10.8–16.8 % ფარგლებში მერყეობს, შაქრების შემცველობა კი — 7.0-10.0%-ს აღწევს. ბლის ნაყოფი შეიცავს პექტინებს, უჯრედანას, ფართო სპექტრის ვიტამინებს, კაროტინს, კაროტინოიდებს, ანთოციანებს და ა.შ. ნაყოფში დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მინერალური ნივთიერებებიც — კალიუმი და მაგნიუმი. ბლის ნაყოფი სასარგებლოა ანთებითი პროცესების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის.

ბალი უპირატესობას ანიჭებს ნაყოფიერ, კარგი აერაციის უნარის მქონე მსუბუქ ნიადაგებს, ცუდად იტანს მძიმე, ტენიან და გაუარესებული დრენაჟის მქონე ნიადაგებს.

საძირეების შესაბამისად ბალი მოსავალს დარგვიდან III-IV წელს იძლევა. სრულ მოსავალს მე-5—მე-7 წელს. საშუალო მოსავლიანობა სტანდარტულ ბაღებში შეადგენს 10-12 ტონა/ჰა-ზე, ინტენსიურ ბაღებში — 18-22 ტონა/ჰამდე აღწევს.

სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობის თვალსაზრისით, ბალი მაღალშემოსავლიანი კულტურაა, რადგან მასზე ფასი ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად მაღალია (საბითუმო ფასი 1.8—2.5 ლარი/კგ) და კარგი საბაზრო მოთხოვნითაც ხასიათდება. ბლის მოყვანის დროს მთავარი დანახარჯი კრეფაზე მოდის (0,3-0,4 ლარი/კგ), თუმცა ბაღის კონსტრუქციების შესაბამისი შერჩევისა და მოვლის ღონისძიებების სათანადო გათვალისწინებით ბლის ბაღის გაშენება საკმაოდ მომგებიან აგროწამოწყებას წარმოადგენს.

**ბლის წარმოება ჯიშების შესაბამისად შესაძლებელია, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. სამრეწველო მოსავლის მისაღებად საუკეთესო რეგიონებად კახეთი, შიდა ქართლი და ქვემო ქართლია მიჩნეული. სუპერსაადრეო ბლის წარმოების მაღალი პოტენციალი გააჩნია იმერეთში სამტრედიისა და ვანის რაიონებს.**

## გაშენების სქემები

ბლის ბაღის გაშენების სქემა დამოკიდებულია საძირეებსა და ნარგაობის ტიპზე. ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა, ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტიანი გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია და შრომის ნაყოფიერების გაზრდა.

ამჟამად ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება. ბლის ბაღის გაშენების გავრცელებული სქემებია 6X4,5X3,5X4 და 4X2.5-2,0 მეტრზე. ბლის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომაზე, ასევე ადრეულ გაზაფხულზე.

## ბაღის მოვლა

ბლის ბაღის რიგებს ათავისუფლებენ სარეველებისგან მექანიკური და ქიმიური საშუალებების გამოყენებით. რიგთაშორისებში გამოიყენებენ დაკორდების მეთოდს, რომელიც მიიღწევა სამულჩ-სათიბელას სეზონზე სამ-ოთხჯერადი გამოყენებით ან მიმართავენ კულტივაციას. აუცილებელია ბლის ბაღის სისტემატური მორწყვა, განსაკუთრებით კრეფის დასრულების შემდეგ, მომავალი წლის მაღალი მოსავლის უზრუნველსაყოფად.

ბლის წარმატებული მოყვანა შეუძლებელია მავნებელდაავადებების წინააღმდეგ მიზანმიმართული ინტეგრირებული ღონისძიებების განხორციელების გარეშე. ბალს განსაკუთრებით აზიანებს დაავადებები: **მონილიოზი** და **კლასტეროსპოროზი**, აგრეთვე, **მავნებლები (ბუგრები, ალუბლის ბუზი, ტკიპები).** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონილიოზისგან პროფილაქტიკას, რაც მიიღწევა შესაბამისი ფუნგიციდების (სვიჩი, ტელდორი, სიგნუმი და სხვ.) ყვავილობის წინა და ყვავილობის შემდეგი გამოყენებით. ალუბლის ბუზისა და ბუგრების კონტროლისთვის გამოიყენებენ ფოსფორორგანულ (დურსბანი, ბი-58, აქტელიკი და სხვა) და ნეონიკოტინოიდურ პრეპარატებს (კონფიდორი, აცეტამიპრიდი, აქტარა და სხვა). ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტეგრირებული ბიოკონოტროლის მეთოდებისა (ფერომონების გამოყენება) და მექანიკური ღონისძიებების (ჩამოცვენილი ნაყოფისა და ფოთლების მოგროვება, ანასხლავის დაქუცმაცება და/ან გატანა ბაღიდან) შესაბამის გამოყენებას.



**ბალი მდიდარია ადამიანისთვის სასარგებლო სხვადასხვა სახის საკვები ელემენტებით. ნაყოფში ხსნადი მშრალი ნივთიერების შემცველობა 10.8—16.8 % ფარგლებში მერყეობს, შაქრების შემცველობა კი — 7.0-10.0%-ს აღწევს. ბლის ნაყოფი შეიცავს პექტინებს, უჯრედანას, ფართო სპექტრის ვიტამინებს, კაროტინს, კაროტინოიდებს, ანთოციანებს და ა.შ. ნაყოფში დიდი რაოდენობით აღმოჩენილია მინერალური ნივთიერებებიც — კალიუმი და მაგნიუმი. ბლის ნაყოფი სასარგებლოა ანთებითი პროცესების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის**

## გასხვლა-ფორმირება

ბლის ფორმირებას ახდენენ ცენტრალურ-ლიდერული ან მულტილიდერული წესით. ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელდა „ესპანური ბუჩქის“ ტიპით სხვლა-ფორმირება, რომელიც ხორციელდება მოსვენების პერიოდისა და მწვანე გასხვლის კომბინაციით. ასეთი ტიპით ფორმირებული ხე შედარებით კომპაქტურია და მსხმოიარობაშიც ადრეულად შედის, საძირის მიუხედავად.

## ბლის საძირეები

მოცემული ადგილის შესაბამისად, აუცილებელია საძირეების ზუსტი შერჩევა. ბლის საძირეებად შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც კულტურული ჯიშების ნათესარები, ასევე **ალუბალი, ბალღოჯი** და **ბალამწარა.**

კულტურული ჯიშების ნათესარებიდან იყენებენ საქართველოში გავრცელებული ჯიშების — **დროგანა ყვითელისა და ხარისგულას ნათესარებს.** ბალამწარაზე დამყნილი ჯიშები ძლიერად იზრდება და გვიან შედის მსხმოიარობაში. მაღალადაპტურია, თუმცა ცუდად ეგუება გამკვრივებულ, თიხიან, მწირ, დამლაშებულ ნიადაგებს. რეკომენდებულია სუსტი ზრდის ბლის ჯიშების დასამყნობად. **ბალღოჯზე (Mahaleb)** დამყნობილი ბლის ხეები შედარებით გამძლეა კარბონატობის მიმართ, ხასიათდება ყინვა და გვალვაგამძლეობით, თუმცა ჭარბი ტენის პირობებში მასზე დამყნილი ნერგი სწრაფად ილუპება, ვერ იტანს უმნიშვნელო დამლაშებასაც კი.

კოლტი ბლის ინგლისური სელექციის ნახევრად ძლიერი საძირეა, რომელიც გამოიყენება ხის ზრდის სიძლიერის შეზღუდვისთვის. მგრძნობიარეა მაღალი კარბონატობის მიმართ. საძირე — F12/1 — ბლის ძლიერი ზრდის საძირეა. ხასიათდება დაფესვიანების შედარებით მაღალი უნარით, ამიტომ ამრავლებენ ჰორიზონტალური და ვერტიკალური ამონაყრებით.

**გიზელა 5** (გისელა — „გიესენის სელექციურ მიღწევა“) გერმანული ნაგალა საძირეა. წარმოადგენს ბლის პირველ კომერციულ ნაგალა საძირეს მსოფლიოში, რომელიც ამცირებს ხის ზომას 50%-ით კულტურული ჯიშების ნათესარებთან შედარებით. გიზელა 5 ხასიათდება კარგი თავსებადობით ბლის თითქმის ყველა სამრეწველო ჯიშთან. მასზე დამყნილი მცენარეები მოსავლიანობაში ადრე შედის – დარგვიდან მეორე-მესამე წელს და ხასიათდება რეგულარული მოსავლიანობით.

## ბლის ჯიშები

საქართველოში ბლის ადგილობრივი და ინტროდუცირებული მრავალი ჯიში გვხვდება. თავისი არომატითა და საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა ე.წ გოგრა ბლის ადგილობრივი ჯიშ-პოპულაციები. წარმოებისათვის რეკომენდებულია ჯიშები:

**ხარისგულა** — ხე საშუალო ზრდისაა, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-5 წელს, გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, კარგი ტრანსპორტაბელურობით, ნაყოფი მსხვილია (7.0-7.5გ), გულისებრი ფორმის, მუქი წითელი ფერის, მიმზიდველი სასაქონლო სახის. რბილობი — მკვრივი, წვნიანი, კარგი საგემოვნო თვისებების. ხარისგულა ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში.

**თათრული შავი** — ძველი ყირიმული ჯიშია, ხე ძლიერი ზრდისაა, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან IV-V წელს, გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, მწიფდება ივნისის პირველ ნახევარში, ხასიათდება კარგი ტრანსპორტირებით, ნაყოფი საშუალო სიმსხოსი ან მსხვილია, საკმაოდ განიერი ღარი ნაყოფს ორ ნაწილად ჰყოფს, შეფერვა — მუქი წითელი, შავ ფერში გარდამავალი, რბილობი — წვნიანი და ნაზი, კარგი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა. ფართოდ გავრცელებული ჯიშია.

**დროგანის ყვითელი** — სინონიმი „თეთრი ბალი“, ძველი გერმანული ჯიშია, ხე ძლიერი ზრდისაა, ყვავილობა საგვიანოა, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-4-5 წელს, გამოირჩევა რეგულარული და უხვი მოსავლიანობით, ნაყოფი მსხვილია, მომრგვალო ფორმის, გვერდებიდან შებრტყელებული, შეფერვა ყვითელი, ყუნწი გრძელი, რბილობი მოყვითალო, მკვრივი, გემო მოტკბო, ოდნავი სიმჟავით, კურკა საშუალო სიდიდის. ფართოდ გავრცელებული ჯიშია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

**კორდია** — ჩეხური ჯიში, ხე ძლიერი ზრდისაა, ყვავილობს საშუალო ვადებში, მსხმოიარობაში შედის დარგვიდან IV-V წელს, გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით, მწიფდება ივნისის მესამე დეკადაში. ხასიათდება კარგი ტრანსპორტირებით, ნაყოფი საშუალო სიმსხოსი ან მსხვილია, გულისებრი ფორმის, შეფერვა — მუქი წითელი, რბილობი — მოშავო წითელი, წვნიანი და ნაზი, კარგი საგემოვნო თვისებებით გამოირჩევა.

გარდა ამ ჯიშებისა, სამრეწველო და საკოლექციო ნარგაობებში გვხვდება სხვა ჯიშებიც: **გედელფინგენი, ნაპოლეონი, რაინერი, ბურლატი, რეგინა, გიორგია, ლაპინსი, მორო, ტეჩლოვანი, ცელესტე** და სხვ.

## მოსავლის აღება

ბალი მოსაკრეფად მზად არის, როდესაც მას აქვს დამახასიათებელი წითელი შეფერილობა და ადვილად სცილდება ხეს. ბლის ნაყოფი მოითხოვს ფაქიზად და ფრთხილად კრეფას. სპეციფიკური ჯიშების გარდა (მშრალი მოკრეფის ჯიშები — ტეჩლოვანი და სხვ.) აუცილებელია ყუნწით მოკრეფა. ბლის ნაყოფი არათანაბრად მწიფდება, ამიტომ მიზანშეწონილია მისი ორ ვადაში კრეფა. მოკრეფილი ნაყოფის გაჩერება სიცხეში და მაღალ ტემპერატურაზე მიზანშეუწონელია. ბლის ხანგრძლივი შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის აუცილებელია ნაყოფის სწრაფი გაცივება (მოკრეფიდან არაუგვიანეს 3-4 საათისა) სხვადასხვა მეთოდით (ჰიდროგაცივება, ვაკუუმგაცივება და სხვ.).



**ზვიად ბობოქაშვილი,**
***სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***

გიორგი მდივანი:

# კონსტიტუციით დაკანონებულია მიშიზმი და ბენდუქიძიზმი



**„ახალგაზრდა კომუნისტები“, „საბჭოთა გადმონაშთი“, „დაზეპირებული ლოზუნგები“ — ამ ფრაზებს ისროდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე 2017 წლის 15 მაისს ფილარმონიაში, სადაც დაგეგმილი იყო კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების განხილვა, მაგრამ ხალხის პროტესტის გამო ჩაიშალა. სტუდენტებმა საპარლამენტო უმრავლესობას კონსტიტუციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა მოსთხოვეს, ამან კი პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გააღიზიანა... მომხდარზე გვესაუბრება ახალგაზრდა პოლიტოლოგი გიორგი მდივანი.**

**— 15 მაისს ფილარმონიაში კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები უნდა განეხილათ. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს ცვლილებები გააპროტესტა და პარლამენტის წევრებს საუბრის ნება არ მისცა. ამან გააღიზიანა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და ახალგაზრდებს, რომლებიც საპროტესტო აქციაში მონაწილეობდნენ, კომუნისტები და საბჭოთა გადმონაშთები უწოდა...**

— **ირაკლი კობახიძე** რამ გააბრაზა, არ ვიცი, მაგრამ მე, როგორც ახალგაზრდა, მართლაც ძალიან გავბრაზდი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარემ ასე მიმართა იქ დამსწრე ახალგაზრდებს. სტუდენტებს კომუნისტურ იდეებზე არ უსაუბრიათ, მაგრამ, რომც ესაუბრათ, მერე რა?.. ეს ხდებოდა კომუნისტების აშენებულ შენობაში. **ფილარმონია ვასილ მჟავანაძემ ააშენა, ერთ-ერთმა თვალსაჩინო კომუნისტმა. და, საერთოდ, საქართველოში არსებული არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურის 80% კომუნისტების აშენებულია.**

ახალგაზრდებს აღმაშფოთებელი არაფერი უთქვამთ. მათ მკაფიოდ განაცხადეს, რომ კონსტიტუციიდან უნდა ამოიღონ 94-ე მუხლი, აგრეთვე, დაუშვებელია მიწის გაყიდვა. ეს ლოგიკური იყო. თვითონ იმ ქვეყნებში, რომლებისგანაც მაგალითს ხშირად ვიღებთ, ასეთი კანონები არ აქვთ. ვერ ნახავთ ქვეყანას, რომლის კანონშიც 94-ე მუხლის მსგავსი ჩანაწერია. კონსტიტუციის ამ მუხლით დაკანონებულია მიშიზმი და ბენდუქიძიზმი. 94-ე მუხლის თანახმად, მთავრობას არ შეუძლია შეცვალოს საგადასახადო პოლიტიკა და თავისი სურვილისამებრ წარმართოს ფისკალური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს, არსებულის გარდა, სხვა ტიპის გადასახადის შემოღებას, მაგალითად, ისეთის, როგორიც არის ეკოლოგიური ან ფუფუნების გადასახადი, არ შეუძლია პროგრესული საშემოსავლო გადასახადის დაწესება. მოკლედ, აღნიშნული მუხლის თანახმად, მთავრობას წართმეული აქვს უფლება, განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა. პრობლემებია, ბიუჯეტის ნაწილშიც, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. **ფილარმონიაში ახალგაზრდები კომუნისტურს არაფერს ითხოვდნენ, ისინი ამბობდნენ, რომ ამოქმედდეს შრომის ინსპექცია და ეს კონსტიტუციაში აისახოს, მაგრამ ხელისუფლება ამის გაკეთებას არ აპირებს, არც მას შემდეგ, რაც ტყიბულში 4 მეშახტე დაიღუპა. ეს იმიტომ ხდება, რომ საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობაზე არ არიან ორიენტირებულები და მათთვის უმთავრესი ბიზნესინტერესების გატარებაა.**

## «არ შეიძლება ავადმყოფი ბედნუქუძის თვალსაზრისით ვიცხოვროთ, არ შეიძლება ყველაფერი გავყიდოთ, სინდისის ჩათვლით»

მივუბრუნდები ისევ ირაკლი კობახიძის ფრაზებს. თუ ბატონ პარლამენტის თავმჯდომარეს სურს, დემოკრატიულ საქართველოში ვიცხოვროთ, არ შეიძლება ადამიანების დაყოფა არც ეთნიკური ნიშნით, არც ორიენტაციით და, მით უმეტეს, არ შეიძლება პოლიტიკური თვალსაზრისის მიხედვით.

**— სოციალიზმისა და კომუნიზმის „ნიშნები“ მხოლოდ საქართველოში შეიმჩნევა? რატომ აშინებს პარლამენტის თავმჯდომარეს ეს პოლიტიკური მიმართულება?**

— **„ქართული ოცნება“ რომელ ჯგუფთანაც არის გაერთიანებული ევროპარლამენტში, იქ სოციალისტებიც შედიან და კომუნისტებიც.** მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში სოციალისტები ლიდერობენ. კობახიძემ ამ ფრაზების სროლით საკუთარი უცოდინარობა გამოაჩინა. გადახედოს, ვინ არიან ესპანეთში მოძრაობა „პოდემოსის“ წევრები, გერმანიაში — „დე ლინკის“. მემარცხენეები წამყვან პოზიციებზე არიან ბალტიისპირეთში, სკანდინავიის ქვეყნებში და აქ კობახიძეს რატომ უნდა ასეთი ძალების მარგინალიზაცია, ვიცი. **მთავრობაც და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებიც ხვდებიან, რომ ხალხი მემარცხენეობისკენ იხრება, სწორედ ამის ჩახშობა სურთ, რაც ხელისუფლებასაც და კერძო ბიზნესსაც სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანს.**

ილია ჭავჭავაძის ხსენება, ვფიქრობ, პოპულისტური იყო, რადგან ვერ მივხვდი, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ილია რა შუაში იყო. **მიწას ყიდი, ხალხზე არ ფიქრობ და ილიას ახსენებ? ეს წარმოუდგენელი, მიუტევებელი დემაგოგიაა.**

ბევრ ქვეყანაში მხოლოდ მიწის გაყიდვა კი არ იკრძალება, არამედ შენობისა და ოთახებისაც. მაგალითად, შვეიცარიაში აპარტამენტს ვერ იყიდი. ხელისუფლების წარმომადგენლების ასეთი საქციელი იმაზე მეტყველებს, რომ პატრიოტული სულისკვეთებით არ მოქმედებენ და ვიღაცის დაკვეთის შემსრულებლები არიან. სამარცხვინოა, გადაწყვეტილების ასე მიღება, დემოკრატიის პირობებში ასე არ ხდება. რეფერენდუმზე უნდა გავიდეს ეს საკითხი. მიწა უნიკალური რამ არის, რაც დრო გადის, მეტი ფასი ედება. ამიტომაც არის, რომ საზღვარგარეთ მიწის გაყიდვა ხელაღებით არ ხდება. არ შეიძლება ავადმყოფი ბედნუქუძის თვალსაზრისით ვიცხოვროთ, არ შეიძლება ყველაფერი გავყიდოთ სინდისის ჩათვლით.

**— მიწის გაყიდვა ხომ არ გააჩენს სხვა პრობლემებს, მაგალითად, შემოგვეპარებიან თუ არა ქვეყანაში ტერორისტები, თუ ამის კონტროლი შესაძლებელია?**

— აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა განუკითხავად დაარიგა. შესაძლოა, ის ადამიანები აქ არ ცხოვრობენ, მაგრამ მოქალაქეები არიან და გაურკვეველი წარმოშობის ფულიც აქვთ, რომლითაც მიწის ყიდვას შეძლებენ. მიწა თუ გაიყიდება, მყიდველის ვინაობა უნდა ვიცოდეთ. **თუ ხელისუფლებას არ სურს, კატეგორიულად აკრძალოს მიწის გაყიდვა, ის მაინც უნდა გააკეთოს, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია ჰქონდეს მესაკუთრის შესახებ, იცოდეს, რა გეგმები აქვს და რა პერსპექტივები. მოქალაქეობის მიღების პროცესიც გასაკონტროლებელია, კანონები შესაცვლელია.** სააკაშვილმა ბევრი ნაღმი დაგვიტოვა და ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს. მოქალაქეებზე იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ტერორიზმია, მიწის მიყიდვა საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს, მაგრამ მეეჭვება, რაიმეს გაკეთება შეძლონ. რამდენიმე თვის წინათ თვით პრემიერმა გამოთქვა უკმაყოფილება იმ ბორდელებზე, რომლებსაც უცხოელები ფლობენ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. უკანონო პროსტიტუციის აკრძალვაც ვერ შეძლეს.

ახალგაზრდები ჯერ მოთმინებით ვუყურებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. **ამაზრზენია ხელისუფალთა ქმედების ყურება, მათი მოსმენა. ამაზრზენი იყო პარლამენტის თავმჯდომარის პოპულიზმი და დემაგოგია. არ გაბედონ სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმა, არ გაბედონ პოლიტიკური თვალსაზრისის გამო ადამიანების მარგინალიზაცია!** რაც შეეხება კომუნიზმს, თუ ქვეყანაში არსებობს ოკუპაციის მუზეუმი, სამართლიანობის გამო კარგი იქნებოდა, საბჭოთა აღმშენებლობის მუზეუმიც გაეხსნათ. თაობები უკეთ გაერკვეოდნენ, როდის უფრო მეტი კარგი საქმე გაკეთდა. კომუნისტების მმართველობის პერიოდში ადამიანის ღირსების ასამაღლებლად გაცილებით მეტი კანონი მოქმედებდა, მეტი დაფასება ჰქონდა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეს. ვურჩევ კობახიძეს, გაეცნოს იმდროინდელ კონსტიტუციას, შრომის კანონს და შეადაროს ახლანდელს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# «აშშ ცდილობს, შეაჩეროს პროგრესი ტერორიზმთან ბრძოლაში»

**აშშ და მის მიერ შექმნილი კოალიცია სირიაში თავს დაესხა ამ ქვეყნის სამთავრობო ჯარებს და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მას არ სურს ტერორიზმთან ბრძოლა, პირიქით — სწორედ ტერორისტული ორგანიზაციების — „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ ქაიდას“ — დახმარებისკენ არის მიმართული ამერიკელთა ძალისხმევა.**



გამოცემა rusvesna-მ გაავრცელა სირიის არმიის სარდლობის განცხადება 18 მაისს აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიციის მხრიდან სირიის სამთავრობო ჯარების კოლონის დაბომბვის გამო.

„18 მაისს, 16 საათსა და 30 წუთზე, ე.წ. საერთაშორისო კოალიცია სირიის უდაბნოში, ავტოტრასა ან-ტანფზე თავს დაესხა სირიის არმიის სამხედრო კოლონას, რომელიც შედგებოდა 4 ტანკისგან, 8 პიკაპისგან და 4 ავტომობილისგან, რომლებიც დაკომპლექტებული იყო თვითმავალი საზენიტო მოწყობილობა „შილკით“. არიან დაღუპულები, დაზიანებულია სამხედრო ტექნიკა.

საერთაშორისო სამართლის ნორმების ეს აღმაშფოთებელი დარღვევა მიუთითებს, რომ ამ საერთაშორისო კოალიციის განცხადებები, თითქოს ტერორიზმს ებრძვის, არის სიცრუე და ამტკიცებს, რომ აშშ და პროამერიკული ძალები ცდილობენ, შეაჩერონ პროგრესი რეგიონში ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით. სირიის არმია თავის ტერიტორიაზე ებრძვის ტერორიზმს და უფლება აქვს, განსაზღვროს ოპერაციის მსვლელობა ტერორისტული ორგანიზაციების — „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ, სირიის არმია ერთადერთი ძალაა, რომელიც მოკავშირეებსა და მეგობრებთან ებრძვის ტერორიზმს.

სირიის არმია მზად არის, კვლავაც შეასრულოს თავისი ვალი „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯებჰატ ან-ნუსრასთან“ ბრძოლაში და დაიცვას თავისი ტერიტორია“.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894